

ბინადრობის ნებართვა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2024, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2024, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2024, №4

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2024, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. სასწავლო ბინადრობა

სასწავლო ბინადრობის გაგრძელების საფუძველი	4
სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება	14

2. შრომითი ბინადრობა

შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი	27
შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება	38; 55; 64

3. მოკლევადიანი ბინადრობა

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება	78; 95; 113
---	-------------

4. მუდმივი ბინადრობა

მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება	133; 145; 177
---	---------------

1. სასწავლო ბინადრობა

სასწავლო ბინადრობის გაგრძელების საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-44(კ-23)

25 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ.ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2022 წლის 15 აპრილს ე. ე. ო-იმ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 13 აპრილის №1000771243/5 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ე. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 13 აპრილის №1000771243/5 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ე. ე. ო-ი (დაბ: ... წელი) არის ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 14 დეკემბრის №1000771243 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ე. ე. ო-ის 2021 წლის 24 ნოემბრის №1000771243 განცხადება და გაუგრძელდა საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვა 2023 წლის პირველ ოქტომბრამდე.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 13 აპრილის №1000771243/5 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 14 დეკემბერს №1000771243 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ე. ე. ო-ისათვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებაში სააპელაციო პალატამ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-15 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე, ამავე მუხლის მეორე პუნქტზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველ, მეორე, მე-6 ნაწილებზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, უცხოელის მიმართ სასწავლო ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 14 დეკემბრის №1000771243 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ე. ე. ო-ის 2021 წლის 24 ნოემბრის №1000771243 განცხადება და მას მიეცა საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვა. ადმინისტრაციულმა ორგანომ ე. ე. ო-ის მიმართ გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველ პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

61-ე მუხლის პირველ, მეორე, მე-6 ნაწილებზე, 96-ე მუხლზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-15 მუხლის პირველ პუნქტზე. შესაბამისად, ე. ე. ო-ის მიმართ გამოვლინდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ, მეორე ნაწილებზე და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოთხოვილი მოსარჩელის შესახებ ინფორმაციიდან, ასევე საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სსიპ სახელმწიფო სერვისების ეროვნულ სააგენტოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება იმგვარად არ უნდა გამოეყენებინა, რომ ძალადაკარგულად გამოეცხადებინა ე. ე. ო-ის მიმართ გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტს არ მიუთითებია შესაბამის გარემოებებზე და არ წარმოუდგენია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულებები, რომლებიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს. შესაბამისად, სახეზე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების საა-

გენტომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

კასატორი თვლის, რომ საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე მატერიალური სამართლის ნორმები არსებითად არასწორად განიმარტა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რამაც გამოორიცხა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. სააგენტოს 2022 წლის 13 აპრილის №1000771243/5 გადაწყვეტილება მიღებულია კანონიერების პრინციპის დაცვით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მოთხოვნათა დაცვით.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-15 მუხლის პირველ პუნქტზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველ პუნქტზე. კასატორის განმარტებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო გადაწყვეტილება აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. ამასთანავე, დოკუმენტები რომლებიც საფუძვლად დაედო სააგენტოს 2022 წლის 13 აპრილის №1000771243/5 გადაწყვეტილების მომზადებას, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაასახელოს კონკრეტული გარემოება, რომელიც გახდა აღნიშნული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების წინაპირობა. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა მიღებული. მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 394-ე მუხლის „ე“, „ე1“ ქვეპუნქტების დარღვევას, რაც წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2023 წლის 15 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი. ამავე სასამართლოს 2023 წლის 5 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მე-15 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასწავლო ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით. ამავე კანონის 21-ე მუხლი ადგენს უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადანაცვების წესის“ მე-15 მუხლი ადგენს საქართველოში ბინადრობის ნებართვის ვადის შეწყვეტისა და გაგრძელების პირობებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის ამოწურვისას. სააგენტო უფლებამოსილია, შეუწყვიტოს უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა, თუ მისთვის ცნობილი გახდება კანონ-

ნის 21-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის შესახებ. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ორგანოები და იურიდიული და/ან ფიზიკური პირები ვალდებული არიან, სააგენტოს აცნობონ უცხოელისთვის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ვალდებულია, ჩაატაროს ადმინისტრაციულ წარმოება და მხედველობაში მიიღოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან გამოთხოვილი ინფორმაცია, უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოში უცხოელი პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ. ამასთანავე, უცხოელისათვის საქართველოში მინიჭებული ბინადრობის ნებართვის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, უპირობოდ არ გულისხმობს ამგვარი უფლებამოსილების გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებას. სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, შეამოწმოს, ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით და კანონის მიზნის უგულვებელყოფით. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები. ამასთან, გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 14 დეკემბრის №1000771243 გადაწყვეტილებით ე. ე. ო-ის გაუზრძელდა საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვა 2023 წლის პირველ ოქტომბრამდე.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 13 აპრილის №1000771243/5 გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი, მეორე მე-6 ნაწილების, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავ-

რობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2022 წლის 13 აპრილიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 14 დეკემბერს №1000771243 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ე. ე. ო-ის სახელზე საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 14 დეკემბერს №1000771243 გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი საფუძველი გახდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფაა. კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შექმნას სამართლებრივი გარანტიები. ამასთანავე, კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი მიუთითებს, რომ საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტისას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, შეაპირისპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით, კონტრდაზვერვით საქმიანობად მიიჩნევა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გა-

მოვლენა და თავიდან აცილება. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის შესაძლო ზიანის მიყენების ფაქტის დადგენისას და მოსარჩელისათვის მინიჭებული ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ დასკვნის გაკეთებისას, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო დაეყრდნო სწორედ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ შესაბამის ინფორმაციას. თავის მხრივ, კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მოამზადა დასკვნა, რომელსაც საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხის გადანყვეტიისათვის, აუცილებელია იმ ინფორმაციის გაცნობა და შესწავლა, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის გაკეთების მიზეზი გახდა. ამ მიზნით, საკასაციო სასამართლომ, ქვედა ინსტანციის სასამართლოების ანალოგიურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია და დეტალურად გაეცნო მას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვინაიდან საქმეზე გამოთხოვილი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მისი შინაარსი მხარეებს გააცნოს და სასამართლო გადანყვეტილებაში ასახოს. საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის არსებობის პირობებში, სააგენტო უფ-

ლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილება, ე. ე. ო-ისათვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ გამოცემული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 14 დეკემბერს №1000771243 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული უფლებამოსილება განხორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. შესაბამისად, უსაფუძვლოა ასევე სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამდენად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ე. ო-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, ე. ე. ო-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით, უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. ამასთანავე, ე. ე. ო-ის უნდა დაეკისროს მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელა-

ციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 (ას ორმოცდაათი) ლარისა და საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. ე. ო-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ე. ე. ო-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით, ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;
5. ე. ე. ო-ის დაეკისროს მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 (ას ორმოცდაათი) ლარისა და საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის
თქმის კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1038(კ-22)

13 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ს-უმ 2019 წლის 22 ოქტომბერს სარჩელით მიმართა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-
ას, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-
ტოს მიმართ და „ს. ს-უს სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცე-
მის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე“
ამავე სააგენტოს 2019 წლის 25 სექტემბრის №1000684789 გადან-
ყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე, მოპასუხისთვის ს. ს-უს 2019
წლის 16 სექტემბრის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის
თაობაზე განცხადების წარმოების განახლების დავალება მოით-
ხოვა.

სარჩელის თანახმად, ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩე-
ლის განცხადება განუხილველად დატოვა სათანადო დასაბუთე-
ბის გარეშე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მას დაევალა ბინადრობის
ნებართვის მოპოვების მიზნით შეტანილი განცხადების დროისათ-
ვის საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დო-
კუმენტის წარდგენა (სააგენტოსთვის საქართველოში კანონიერად
ყოფნის ვადის ამოწურვამდე 40 კალენდარული დღით) თუმცა ვი-
ნაიდან, 2019 წლის 17 სექტემბერს მან ხელახლა გადმოკვეთა საზ-
ღვარი, საქართველოს მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბ-
ლიკის მთავრობას შორის ორდინალური პასპორტების მფლობელ-
თათვის ვიზების ორმხრივად გაუქმების შესახებ შეთანხმების (03/
11/20106.) მე-2 მუხლის შესაბამისად, ხარვეზის დადგენის დღის-
თვის მას ჰქონდა საქართველოში ლეგალურად ყოფნისათვის დარ-

ჩენილი 45 კალენდარული დღე და შესაბამისად აღარ არსებობდა ხარვეზის დადგენის სამართლებრივი საფუძვლები.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ 2019 წლის 17 სექტემბრის ხარვეზის შესახებ გადაწყვეტილება არ ჩაჰბარებია ოფიციალური წესით და არც სხვა რაიმე ფორმით ყოფილა მისთვის ცნობილი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლით განმტკიცებულ პრინციპთან. კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ამ უფლების რეალიზებისთვის კი, პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ს. ს-უს საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2019 წლის 16 სექტემბერს ს. ს-უმ სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოპოვების მიზნით განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

ს. ს-უს განაცხადის განხილვის მიზნით დაევალა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის კანონით განსაზღვრული ინფორმაციის – საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტისა და სასამართლობის შესახებ ცნობის წარდგენა 2019 წლის 25 სექტემბრამდე. აღნიშნული გადაწყვეტილების ვებგვერდზე განთავსების დროდ დაფიქსირებულია 09.17.2019 წელი. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით რაიმე სახის მტკიცებულება, რაც სასამართლოს შეფასებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, განაცხადის განუხილველად დატოვების საფუძველს ქმნიდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება ს. ს-უმ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით ს. ს-უს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქა-

ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება; ს. ს-უს სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 25 სექტემბრის №1000684789 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა ს. ს-უს სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების ხელახლა განხილვა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს დაევალა ადმინისტრაციულ ორგანოში წარედგინა საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და ირანის ისლამური რესპუბლიკიდან შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სათანადო ორგანოს მიერ დამოწმებული ცნობა ნასამართლობის არარსებობის შესახებ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტისა (ნასამართლობის ცნობის) და საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განცხადების განუხილველად დატოვების შესაძლებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრის შესაბამისად, როდესაც განმცხადებელი არ წარმოადგენს განცხადების განხილვისათვის საჭირო დოკუმენტს, ასეთ შემთხვევაში სააგენტო განცხადებაზე ადგენს ხარვეზს, რადგან შესაძლოა არსებობდეს ისეთი მტკიცებულება, რაზედაც სააგენტოს ინფორმაცია არ აქვს, ხოლო სააგენტოსთვის მიწოდებული ინფორმაცია, თუნდაც შინაგან საქმეთა სამინისტროდან, შესაძლოა შეიცავდეს ტექნიკურ შეცდომას.

კასატორის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ ს. ს-უმ სააგენტოს, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მიმართა საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 40 კალენდარული დღით ადრე, ასევე, არ დასტურდება, მოსარჩელის მიერ, 2019 წლის 17 სექტემბერს საზღვრის გად-

მოკვეთის ფაქტი რაიმე მტკიცებულებით, გარდა მოსარჩელე მხარის ზეპირი ახსნა-განმარტებისა.

კასატორი არ ეთანხმება მსჯელობას, რომლის თანახმად, „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილება არ ითვალისწინებს განცხადების განუხილველად დატოვების შესაძლებლობის ფართო ჩამონათვალს, ადმინისტრაციულმა ორგანომ არ უნდა გამოიყენოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი და არ დატოვოს განცხადება განუხილველად, იმ პირობებში როდესაც, ბინადრობის მაძიებელი პირი არ წარადგენს განცხადების განხილვისთვის აუცილებელ დოკუმენტს, ვინაიდან, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, საკითხის განხილვისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, ზემოაღნიშნულ დადგენილებასთან მიმართებით.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, კასატორს მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ს-უს სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში სადავო საკითხს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისთვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების კანონიერება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტორზე გარემოებებზე:

ს. ს-უ (დაბადებული ... წლის) არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე.

2019 წლის 16 სექტემბერს ს. ს-უმ, სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოპოვების მიზნით, განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 17 სექტემბრის №1000684789/7 გადაწყვეტილებით ს. ს-უს დაევალა განცხადების განხილვისათვის კანონით განსაზღვრული დოკუმენტების (სააგენტოსთვის მიმართვის დღისათვის საქართველოში კანონიერად ყოფნის 40-დღიანი ვადის დამადასტურებელი დოკუმენტის და ნასამართლობის არარსებობის შესახებ შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ცნობის) სააგენტოში წარდგენა 2019 წლის 25 სექტემბრამდე.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 4 ნოემბრის №01/310484 წერილით დგინდება, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების ატივრთვისა და ვებგვერდზე (www.sda.gov.ge) განთავსების დროდ დაფიქსირებულია 2019 წლის 17 სექტემბერი, 16:06:00 საათი.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2019 წლის 17 სექტემბრის №1000684789/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა ს. ს-უსთვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 25 სექტემბრის №1000684789 გადაწყვეტილებით, განსაზღვრულ ვადაში დამატებითი დოკუმენტის/ინფორმაციის წარუდგენლობის გამო, ს. ს-უს 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადება №1000684789, სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე, განუხილველად დარჩა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 11 ოქტომბრის SSG 6 19 00186031 წერილით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს ს. ს-უს შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის IV თავი ადგენს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესსა და პირობებს. მოცემული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვას გაცემს სააგენტო. ამავე კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასწავლო ბინადრობის ნებართვა გაცივმა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ იგი იძებნება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის ან მსჯავრდებულია შესაბამისი განცხადების წარდგენამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩადენილი მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის (თუ ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის) ან მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებამდე.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ აღნიშნული ვადა საკმარისი არ არის წერილობითი ინფორმაციის გასაცემად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიუ-

ლი პირები ამის თაობაზე აცნობებენ სააგენტოს, რის შემდეგაც მათ მიეცემათ დამატებითი ორდლიანი ვადა. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აღნიშნულ ვადებში სააგენტოსათვის საჭირო ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ არ არსებობს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები (გარდა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა) და სააგენტო ვალდებულია საკითხის განხილვა დაასრულოს კანონით განსაზღვრულ ვადაში.

ამავე დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, უცხოელი განცხადებით მმართველობის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), ხოლო სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოპოვების საკითხის განხილვისათვის საჭირო საბუთების ნუსხა მოცემულია ამავე დებულების მე-6 მუხლში. აღნიშნული დადგენილების მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო ყველა დოკუმენტი უნდა იქნეს წარდგენილი განცხადებასთან ერთად. სააგენტო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, დამატებით მოითხოვოს იმ დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც ასაბუთებენ ამ წესით გათვალისწინებულ ცალკეულ ფაქტებსა და გარემოებებს (საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დადგენისათვის). უცხოელს, ასევე, შეუძლია სააგენტოში საკითხის განხილვის პროცესში, თავისი ინიციატივით, წარადგინოს საკითხის განხილვისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტები.

„საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილების მე-6 მუხლი ადგენს სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს. ამ მუხლის თანახმად, სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად, უცხოელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს: ა) დადგენილი ფორმის განცხადება; ბ) უცხოელის სამგზავრო დოკუმენტის ასლი; გ) საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; დ) საქართველოში ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა უცხოელის სწავლის თაობაზე (სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობის მითითებით); ე) უცხო-

ელის და/ან საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე მისი ნათესავის საქართველოში ლეგალური შემოსავლისა და აღნიშნულ პირთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი. შემოსავლად, ასევე, შეიძლება ჩაითვალოს უცხოელის პირად საბანკო ანგარიშზე რიცხული თანხა, რომლის ოდენობაც სასწავლო ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ყოველთვიურად არ უნდა იყოს საქართველოში განსაზღვრულ საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ორჯერად ოდენობაზე ნაკლები; ვ) ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4, ელექტრონული ფორმით; ზ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ამასთან, მითითებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უცხოელი ვალდებულია, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, სააგენტოს მიმართოს საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 40 კალენდარული დღით ადრე. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის, სპეციალური ბინადრობის ნებართვის, დროებითი ბინადრობის ნებართვისა და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის შემთხვევებზე.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით წარდგენილი განცხადება განიხილება ორ სტადიად, კერძოდ, განცხადების დასაშვებობისა და შემდეგ საფუძვლიანობის შემოწმების გზით. დასაშვებობის სტადიაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეამოწმოს ორი კრიტერიუმი: განცხადების წარდგენის ვადის დაცულობა და განცხადების წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობა (წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა).

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემისას დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 40-დღიანი ვადის დაცვის საკლასიფიკაციო საფუძვლების შესახებ და ამასთან ყურადღებას გაამახვილებს, რომ მითითებულ ნორმაში არსებულ საგამონაკლისო შემთხვევებში არ მოიაზრება სასწავლო ბინადრობის ნებართვა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესი“ მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უცხოელის მიერ ბინადრობის მოპოვების მიზნით წარდგენილ განაცხადს თან უნდა ერთოდეს განხილვისათვის საჭირო ყველა საბუთი, მათ

შორის, საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადანყვევებისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა, ხოლო მე-5 ნაწილი ადგენს, რომ თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელის ბინადრობის ნებართვის მოპოვების მიზნით წარდგენილ განაცხადს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დაუდგინდა ხარვეზი, რომლითაც ს. ს-უს დაევალა სააგენტოსთვის მიმართვის დღისათვის საქართველოში კანონიერად ყოფნის 40-დღიანი ვადის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ირანის ისლამური რესპუბლიკიდან ნასამართლობის შესახებ ცნობის წარდგენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხოელისათვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის წესები და ვადები მკაცრად არის რეგლამენტირებული ზემოაღნიშნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. განსაზღვრულია, როგორც დაინტერესებული პირის მიერ განცხადების წარდგენის, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, წარდგენილი განცხადების შესწავლისა და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადა. ამასთან, აღნიშნული ვადების განმსაზღვრელი ჩარჩო გამომდინარეობს თავად უცხოელის საქართველოში ყოფნის სამართლებრივი საფუძვლის დროში შეზღუდული მოქმედების, ვადიანობის ხასიათიდან. დაინტერესებული პირი არ არის

შეზღუდული, შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების პირობების დაკმაყოფილებისთანავე, მიმართოს სააგენტოს ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, თუმცა აღნიშნული ვადა არ შეიძლება იყოს უფრო გვიან, ვიდრე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის ამონაწერის თარიღის დადგომამდე 40 კალენდარული დღე. ამდენად, აღნიშნული ვადის ათვლის წერტილი არის არა გარკვეული მოქმედების, შემთხვევის დადგომა და მისი მომდევნო პერიოდი, არამედ უკვე არსებული მოვლენა, ფაქტი, დაინტერესებული პირისათვის უკვე ცნობილი თარიღი – მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის ამონაწერის მომენტი და, შესაბამისად, ამ თარიღამდე 40 კალენდარული დღე. ეს 40-დღიანი პერიოდი კი მოიცავს სააგენტოს მიერ სრულყოფილი სახით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების პერიოდს.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების თავისებურება გამოიხატება იმგვარად, რომ სახეზეა კონკრეტულად განსაზღვრული თარიღის არსებობა, უცხოელისათვის საქართველოში კანონიერად ყოფნის ამონაწერამდე მინიმუმ 40 დღე. კანონმდებლობაში ამგვარი რეგულაცია უზრუნველყოფს, რომ ათვლის წერტილი, იმპერატივი არის – საქართველოში კანონიერად ყოფნის ამონაწერამდე 40 დღე, რა დრომდეც განმცხადებელს ნებისმიერ დროს აქვს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება (სუსგ საქმეზე №ბზ-704(კ-20)).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, ს. ს-უ საქართველოში შემოვიდა 2019 წლის 20 აგვისტოს და საქართველოში ყოფნა შეეძლო 2019 წლის 4 ოქტომბრის ჩათვლით. შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის მიღების მიზნით, მიემართა არა უგვიანეს 2019 წლის 26 აგვისტოსი, ანუ 2019 წლის 4 ოქტომბრამდე 40 დღით ადრე, თუმცა დადგენილია, რომ მან სსიპ სახელმწიფო სერვისების სააგენტოს განცხადებით დაგვიანებით, კერძოდ, 2019 წლის 16 სექტემბერს მიმართა.

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას ამყარებს იმ არგუმენტით, რომ 2019 წლის 17 სექტემბერს მან ხელმოწერა გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და შესაბამისად, საქართველოს საქართველოს მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის „ორდინალური პასპორტების მფლობელთათვის ვიზების ორმხრივად გაუქმების შესახებ“ შეთანხმების თანახმად, მას ხელახლა აეთვალა საქართველოში კანონიერად ყოფ-

ნის ვადა და ხარვეზის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის (17.09.2019 წ.) მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადა შეადგენდა 45 კალენდარულ დღეს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციულ წარმოების პროცესში არ წარუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა, რომ სააგენტოსთვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მოთხოვნის წარდგენის მომენტისთვის, მას საქართველოში კანონიერად ყოფნის 40 დღე ან მეტი ჰქონდა დარჩენილი. ასევე არც სხვა მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო დეპარტამენტის ცნობის მართებულობას. აღნიშნული მტკიცებულებები მას არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარუდგენია, შესაბამისად, მხოლოდ ახსნა-განმარტება იმ გარემოების სამტკიცებლად, რომ მოსარჩელემ განაცხადი კანონით დადგენილ ვადაში წარადგინა არ ქმნის ამ გარემოების დასადასტურებლად მიჩნევის საკმარის საფუძველს.

ამდენად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ 2019 წლის 16 სექტემბერს მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა ბინადრობის ნებართვის თაობაზე განცხადების წარდგენისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

რაც შეეხება მოსარჩელის განცხადების განუხილველად დატოვების დამატებით საფუძველს – ნასამართლობის შესახებ ცნობის (ირანის ისლამური რესპუბლიკიდან) წარუდგენლობას, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, თუკი უცხოელი იძებნება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის ან მსჯავრდებულია შესაბამისი განცხადების წარდგენამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩადენილი მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის (თუ ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის) ან მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებამდე; („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი) და შესაბამისად მითითებული ნასამართლობის შესახებ ცნობა წარმოადგენს განცხადების განხილვისათვის არსებითად საჭირო დოკუმენტს. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ გაამახვილებს ყურადღებას იმ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საქმის მასალების თანახმად, ხარვეზის შესავსებად დამატებით რაიმე ინფორმაცია/დოკუმენტი, რაც დად-

გენილი ხარვეზს აღმოფხვრიდა, მოსარჩელეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის არ წარუდგენია.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სადავო საკითხის მომწესრიგებელი კანონმდებლობა შეიცავს კონკრეტულ და მკაფიო მოთხოვნებს რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს უცხოელმა ბინადრობის ნებართვის მოპოვების მიზნით და რა ვადაში. ამდენად, იმ პირობებში, როცა ს. ს-უს 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადება არ აკმაყოფილებდა სასწავლო ბინადრობის ნებართვისთვის გაცემისათვის დადგენილ მოთხოვნებს და საქმეში დაცული მასალებით დასტურდება, რომ დაინტერესებულ პირს სააგენტოსთვის კანონით დადგენილ ვადაში არ წარუდგენია სააგენტოს მიერ მოთხოვნილი, ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭირო დოკუმენტები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უფლებამოსილი იყო, საქმეზე დადგენილი გარემოებების, განცხადების განუხილველად დატოვების საფუძვლების კუმულაციურად შეფასების შედეგად, მიეღო გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

გარდა ამისა, უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ ხარვეზის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება მას არ ჩაჰბარებია კანონით გათვალისწინებული წესით. საქმეში დაცულია სამახსოვრო ბარათის ასლი, რომელიც შეიცავს განმცხადებლის ვალდებულებაზე მითითებას, რომ ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე ინფორმაცია მხარეს უნდა მიეღო ინტერნეტგვერდის მეშვეობით, ბარათზე ასევე ფიქსირდება განმცხადებლის ხელმოწერა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხარვეზის დადგენის შესახებ 2019 წლის 4 ნოემბრის №01/310484 წერილის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილება ვებგვერდზე განთავსდა 2019-09-17 წელს, 16:06:00 საათზე. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სააგენტო ვალდებულია აცნობოს უცხოელს განცხადების განხილვის შედეგები ელექტრონული ფორმით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, ცალსახაა, რომ ს. ს-უს ინფორმირებული იყო და ჰქონდა შესაძლებლობა გასცნობოდა მის განცხადებაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ხარვეზის შესახებ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული

განჩინების გაუქმებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, მოსარჩელე ს. ს-უს მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს, მის მიერ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის (300 ლარი) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. ს-უს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოსარჩელე ს. ს-უს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ, დაეკისროს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის (სამასი ლარის) ანაზღაურება;
5. ს. ს-უს მიერ სააპელაციო საჩივარსა და სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 + 150 (250 – ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. შრომითი ბინადრობა

შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-704(კ-20)

12 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 22 მაისს ქ. ვ. რ. პ-ომ სასარჩელო განცხადებით მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 10 მაისის №1000663838 გადაწყვეტილების (ქ. ვ. რ. პ-ოს შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე) ბათილად ცნობა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის ქ. ვ. რ. პ-ოს განცხადების არსებითად განხილვის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. ვ. რ. პ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 10 მაისის №1000663838 გადაწყვეტილება და მოპასუხეს, მოსარჩელის 2019 წლის 3 მაისის განცხადებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2019 წლის 22 აპრილს ქ. ვ.

რ. პ-ომ შრომითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების შესახებ №1000663838 განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

განმცხადებელს დაუდგინდა, ხარვეზი და დაევალა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 10 მაისის №1000663838 გადანაცვლებით განსაზღვრულ ვადაში დამატებითი დოკუმენტის/ინფორმაციის წარუდგენლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული ქ. ვ. რ. პ-ოს შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე განცხადება. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2019 წლის 10 მაისის მიიღო №1000663838 გადანაცვლების მიხედვით ქ. ვ. რ. პ-ოს შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული, ვინაიდან მოსარჩელეს სააგენტოსთვის არ წარუდგენია სააგენტოსთვის მიმართვის დღისთვის, საქართველოში კანონიერად ყოფნის 40- დღიანი ვადის ქონის დამადასტურებელი დოკუმენტი და საქართველოში ლეგალური შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, მოსარჩელემ საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა 2019 წლის 01 მარტს, მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადა განისაზღვრა 90 დღით. მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შრომითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების მიზნით მიმართა 2019 წლის 22 აპრილს ორშაბათს, ვინაიდან, მე-40 დღე ემთხვეოდა შაბათ დღეს (2019 წლის 20 აპრილს) მოსარჩელემ სააგენტოს მიმართა მომდევნო სამუშაო დღეს, რაც უნდა ჩათვლილიყო საქართველოში კანონიერად ყოფნის მე-40 დღედ. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდებოდა, რომ მოსარჩელის მიერ სააგენტოში განცხადება წარდგენილ იქნა კანონით დადგენილ 40-დღიან ვადაში. განცხადების განუხილველად დატოვების მეორე საფუძველს წარმოადგენდა საქართველოში ლეგალური შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა. დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ 2019 წლის 03 მაისის განცხადებით წარდგენილი იქნა ამონაწერი მენარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლითაც დგინდებოდა, რომ შპს „თ...ის“ ერთ-ერთ დირექტორს წარმოადგენდა ქ. ვ. რ. პ-ო. ასევე წარმოდგენილი იყო მოცემულ შპს-ზე ინფორმაციები საანგარიშო თვების მიხედვით განაცემებისა და დასაკავებელი გადასახადის შესახებ, ასევე წარმოდგენილი იყო დეკლარაციები და ბრუნვები, რაც სააგენტოს შეეძლო შეეფასებინა და თუ მი-

იჩნევდა, რომ წარდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდებოდა ლეგალური შემოსავლები, შეეძლო გაეგრძელებინა ხარვეზის შევსების ვადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათთან დაკავშირებით გაკეთებული შეფასებები და აღნიშნა, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ისე მიიღო გადაწყვეტილება ქ. ვ. რ. პ-ოს განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე, რომ შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიერ საბუთები სააგენტოში წარდგენილ იქნა კანონით დადგენილ 40-დღიან ვადაში და აღნიშნული ვადა აითვლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტზე, რომელიც აპელანტს განუსაზღვრავდა ვადის სხვაგვარ დინებას ვერც სასამართლო სხდომაზე იქნა მითითებული აპელანტის მიერ, ამასთან აპელანტმა არ შეაფასა გარემოება თუ რამდენად დასტურდებოდა წარდგენილი დოკუმენტაციით ქ. ვ. რ. პ-ოს ლეგალური შემოსავლები, მაშინ როდესაც შპს „თ...ში“ ქ. ვ. რ. პ-ო ასრულებდა შრომით საქმიანობას დირექტორის თანამდებობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, ქ. ვ. რ. პ-ომ საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა 2019 წლის 01 მარტს. მოსარჩელეს საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადა ჰქონდა 90

დღე, ანუ 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით. დადგენილია, რომ მან სააგენტოს მომართა 22 აპრილს, საზღვრის კვეთიდან 52-ე დღეს, ხოლო 22 აპრილიდან (განცხადებით მომართვიდან) მას დარჩენილი ჰქონდა კანონიერად ყოფნის მხოლოდ 37 დღე. ვინაიდან საზღვრის კვეთის მომენტი სათვით განმცხადებლისთვის ცნობილი იყო, რომ მას საქართველოში კანონიერად ყოფნის 90 დღე ჰქონდა, უნდა განესაზღვრა „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადა და უნდა მოემართა სააგენტოს თვის 40 კალენდარული დღით ადრე, რაც არ განუხორციელებია, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც საზღვრის გადმოკვეთიდან 52 დღის განმავლობაში არაფერი მოუმოქმედებია ბინადრობის ნებართვის ასაღებად.

რაც შეეხება მეორე ხარვეზს, სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ 2019 წლის 03 მაისის განცხადებით წარდგენილ იქნა ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლითაც დადგინდა, რომ შპს „თ...ის“ ერთ-ერთ დირექტორს წარმოადგენდა ქ. ვ. რ. პ.-ო, ასევე წარმოდგენილი იყო მოცემულ შპს-ზე ინფორმაციები საანგარიშო თვებების მიხედვით განაცემებისა და დასაკავებელი გადასახადის შესახებ, ასევე დეკლარაციები და ბრუნვები, რაც სააგენტოს შეეძლო შეეფასებინა და თუ არ მიიჩნევდა, რომ წარდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდებოდა ლეგალური შემოსავლები, შეეძლო გაეგრძელებინა ხარვეზის შევსების ვადა. კასატორი განმარტავს, რომ კომპანიის შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ მიიჩნევა დირექტორის ლეგალურ შემოსავლად. „უცხოელთა და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი და „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, უცხოელმა შრომითი ბინადრობის მოსაპოვებლად სააგენტოში უნდა წარადგინოს მუშაობისა და სამენარმეო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომითი ხელშეკრულება ან სამუშაოზე მიღების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი). ზემოაღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, ნებისმიერი დოკუმენტი, ეს იქნება შრომითი ხელშეკრულება თუ სამუშაოზე მიღების სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი (როგორიცაა ამ შემთხვევა-

ში ამონაწერი მენარმეთა რეესტრიდან) უნდა შეიცავდეს მითითებას ლეგალურ შემოსავალზე, ანუ მასში მითითებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ უცხოელი საქმიანობით იღებს გარკვეულ ანაზღაურებას, რაც ნამდვილად ვერ დასტურდება წარმოდგენილი ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. რაც შეეხება, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციებს, მასში მითითებული არ არის მოსარჩელის სახელი და გვარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო ხარვეზს შევსებულად ვერ ჩათვლიდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 11 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 22 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ საქმეში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს მოსარჩელის, ქ. ვ. რ. პ-ოს შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების, საქართველოში კანონიერად ყოფნის 40-დღიანი ვადის ქონის დამადასტურებელი დოკუმენტისა და საქართველოში ლეგალური შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის საფუძვლით, განუხილველად დატოვების კანონიერება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2019 წლის 22 აპრილს ქ. ვ. რ. პ-ომ შრომითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების შესახებ №1000663838 განცხადებით მიმართა სსიპ

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2019 წლის 23 აპრილის №1000663838/7 გადაწყვეტილებით ქ. ვ. რ. პ.-ოს განუმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოვლინდა, რომ წარმოსადგენი იყო საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემისთვის გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამავე დროს, სააგენტოსთვის მომართვის დღისთვის, საქართველოში კანონიერად ყოფნის 40-დღიანი ვადის ქონის დამადასტურებელი დოკუმენტი); საქართველოში ლეგალური შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის და მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. ვ. რ. პ.-ოს დაევალა აღნიშნული ხარვეზით დადგენილი დოკუმენტების წარდგენა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში 2019 წლის 03 მაისამდე.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 23 აპრილის №1000663838/7 აქტით მოსარჩელეს დაევალა დამატებით 2019 წლის 03 მაისამდე წარედგინა შპს „თ...ის“ სამეწარმეო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები (საბანკო ბრუნვების, ხელფასის ჩარიცხვის, გადასახადების გადახდის, დეკლარაციების წარმოდგენის, საბაჟო ოპერაციების, ანგარიშ-ფაქტურების, ზედნადებების გამოწერა-მიღების ან/და სხვა დოკუმენტები კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის დასადასტურებლად).

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 25 აპრილის №1000663838/7 გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოვლინდა, რომ წარსადგენი იყო 1. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. სააგენტოსთვის მიმართვის დღისთვის, საქართველოში კანონიერად ყოფნის 40-დღიანი ვადის ქონის დამადასტურებელი დოკუმენტი; 3. საქართველოში ლეგალური შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. განმცხადებელს ასევე ეცნობა, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტის/ინფორმაციის მითითებულ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება განცხადების განუხილ-

ველად დატოვების თაობაზე.

2019 წლის 03 მაისს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ №99116 განცხადებით მიმართა მოსარჩელე ქ. ვ. რ. პ-ომ და წარადგინა დამატებითი დოკუმენტები. კერძოდ, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ინფორმაცია საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დასაკავებელი გადასახადის შესახებ. შემოსავლების სამსახურის წერილი შპს „თ...ის“ სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 10 მაისის №1000663838 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში დამატებითი დოკუმენტის/ინფორმაციის წარუდგენლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული ქ. ვ. რ. პ-ოს შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე განცხადება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას (მუხლი 1.2). მოცემული კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საფუძვლებია, მათ შორის – საქართველოს ვიზა და საქართველოში ბინადრობის ნებართვა. ბინადრობის ნებართვის სახეებიდან ერთ-ერთია – შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანზე (მუხლი 15.ა). საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვას გაცემს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ამავე კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილია, რომ საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის (სადა-

ვო პერიოდში მოქმედი რედაქციის) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, უცხოელი განცხადებით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილია, რომ უცხოელი ვალდებულია, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, სააგენტოს მიმართოს საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 40 კალენდარული დღით ადრე. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის, სპეციალური ბინადრობის ნებართვის, დროებითი ბინადრობის ნებართვისა და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის შემთხვევებზე.

მითითებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს შრომითი ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას, მათ შორის არის საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის და მუშაობისა და სამენარმეო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომითი ხელშეკრულება ან სამუშაოზე მიღების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი); თუ აღნიშნული დოკუმენტებით ვერ დასტურდება უცხოელის ლეგალური შემოსავალი, შემოსავლად, ასევე, შეიძლება ჩაითვალოს უცხოელის პირად საბანკო ანგარიშზე რიცხული თანხა, რომლის ოდენობაც შრომითი ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ყოველთვიურად არ უნდა იყოს საქართველოში განსაზღვრულ საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ორჯერად ოდენობაზე ნაკლები.

ამავე წესის მე-13 მუხლით განსაზღვრულია, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადანყვეტის წესი და ვადები. ამ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო ყველა დოკუმენტი უნდა იქნეს წარდგენილი განცხადებასთან ერთად. სააგენტო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, დამატებით მოითხოვოს იმ დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც ასაბუთებენ ამ წესით გათვალისწინებულ ცალკეულ ფაქტებსა და გარემოებებს (საკითხის განხილვისა და გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დადგენისათვის). უცხოელს, ასევე, შეუძლია სააგენტოში საკითხის განხილვის პროცესში, თავისი ინიციატივით, წარადგინოს საკითხის განხილვისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტები. საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად ან მისი მოქმედების ვა-

დის გასაგრძელებლად, განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოსათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარდგენიდან 30 დღეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხოელისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის წესები და ვადები მკაცრად არის რეგლამენტირებული ზემოაღნიშნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. განსაზღვრულია, როგორც დაინტერესებული პირის მიერ განცხადების წარდგენის, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, წარდგენილი განცხადების შესწავლისა და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადა. ამასთან, აღნიშნული ვადების განმსაზღვრელი ჩარჩო გამომდინარეობს თავად უცხოელის საქართველოში ყოფნის სამართლებრივი საფუძვლის დროში შეზღუდული მოქმედების, ვადიანობის ხასიათიდან. დაინტერესებული პირი არ არის შეზღუდული, შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების პირობების დაკმაყოფილებისთანავე, მიმართოს სააგენტოს ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, თუმცა აღნიშნული ვადა არ შეიძლება იყოს უფრო გვიან, ვიდრე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის ამონურვის თარიღის დადგომამდე 40 კალენდარული დღე. ამდენად, აღნიშნული ვადის ათვლის წერტილი არის არა გარკვეული მოქმედების, შემთხვევის დადგომა და მისი მომდევნო პერიოდი, არამედ უკვე არსებული მოვლენა, ფაქტი, დაინტერესებული პირისათვის უკვე ცნობილი თარიღი – მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის ამონურვის მომენტი და შესაბამისად ამ თარიღამდე 40 კალენდარული დღე. ეს 40-დღიანი პერიოდი კი მოიცავს სააგენტოს მიერ სრულყოფილი სახით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების პერიოდს.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი თავისებურება გამოიხატება იმგვარად, რომ სახეზეა კონკრეტულად განსაზღვრული თარიღის არსებობა, უცხოელისათვის საქართველოში კანონიერად ყოფნის ამონურვამდე მინიმუმ 40 დღე. კანონმდებლობაში ამგვარი რეგულაცია უზრუნველყოფს, რომ ათვლის წერტილი, იმპერატივი არის – საქართველოში კანონიერად ყოფნის ამონურვამდე 40 დღე, რა დრომდეც განმცხადებელს ნებისმიერ დროს აქვს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ქ. ვ. რ. პ-ო საქართველოში კანონიერად იმყოფებოდა ქუვეითის ვიზის საფუძველზე, რომლითაც შემოვიდა 2019 წლის 1 მარტს და საქართველოში ყოფნა შეეძ-

ლო 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით. შესაბამისად, მოსარჩელეს შეეძლო სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის მიემართა არაუგვიანეს 2019 წლის 20 აპრილისა, ანუ 2019 წლის 30 მაისამდე 40 დღით ადრე. საქმეზე კი დადგენილია, რომ მოსარჩელემ ადმინისტრაციულ ორგანოს 2019 წლის 22 აპრილს მიმართა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, 2019 წლის 20 აპრილი იყო შაბათი, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, კანონმდებლობის ექსპლიციტური დათქმის შესაბამისად, ეს გარემოება არ შეიძლება გახდეს მოსარჩელის სასარგებლოდ ვადის ცვლილების საფუძველი, ვინაიდან, კანონმდებლობით განსაზღვრულ იმპერატიულ მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის დასრულებამდე მინიმუმ 40 დღით ადრე მიმართვა წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ ქ. ვ. რ. პ-ოს შრომითი ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის არაუგვიანეს 2019 წლის 20 აპრილამდე უნდა მიემართა. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 10 მაისის №1000663838 გადაწყვეტილება, ქ. ვ. რ. პ-ოს შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არ არსებობს მისი ბათილად ცნობის და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ აღარ არსებობს ქ. ვ. რ. პ-ოს შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების სხვა საფუძვლების კანონიერების შემოწმების საფუძველი, რამდენადაც მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვისათვის განსაზღვრული ვადის დარღვევა უკვე ქმნიდა მისი განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავდროულად მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხა-

რის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, მოსარჩელე ქ. ვ. რ. პ-ოს მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს, მის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 ლარის (300 ლარი და 150 ლარი) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ქ. ვ. რ. პ-ოს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოსარჩელე ქ. ვ. რ. პ-ოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 ლარის (300 ლარი და 150 ლარი) ანაზღაურება;
5. ქ. ვ. რ. პ-ოს მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარის ოდენობით დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის
თქმის კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-907(კ-20)

26 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ს-მა 23.01.2019წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ სააგენტოს 26.12.2018წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის ირანის მოქალაქე, იგი ლეგალურად არის დასაქმებული საქართველოში, 2018 წლის ოქტომბრიდან შრომით ურთიერთობაშია შპს „რ...ასთან“, მუშაობს პროექტის დიზაინერის პოზიციაზე, იღებს შრომით ანაზღაურებას და აკმაყოფილებს შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ ყველა წინაპირობას, რის გამო გაურკვეველია მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები. ს. ს-ი თვლის, რომ არ ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შემცველ საქმიანობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.03.2019წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „რ...ასა“ და ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე – ს. ს-ს შორის 26.10.2018წ. გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად დასაქმებული კისრულობს პროექტის დიზაინერის თანამდებობრივი უფლებამოსილების შესრულების ვალდებულებას და მისი ხელფასი შეადგენს 600 ლარს (საშემოსავლო გადასახადის გა-

მოკლებით). ს. ს-ი საქართველოში შემოვიდა 16.12.2018წ., სასაზღვრო გამშვებ პუნქტ – თბილისის აეროპორტის საშუალებით. ს. ს-მა 17.12.2018წ. განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 24.12.2018წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ს. ს-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. სსიპ შემოსავლების სამსახურმა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აცნობა, რომ შპს „რ...ას“ ბოლო 1 წლის განმავლობაში უფიქსირდებოდა დეკლარაციების გადაგზავნა, თანხების გადახდა, მიღებული ელ.ანგარიშ-ფაქტურები, მიღებული ზედნადებები, ხოლო განხორციელებული სასაქონლო ოპერაციები არ ფიქსირდებოდა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 26.12.2018წ. გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ს. ს-ის განცხადება იმ დასაბუთებით, რომ ს. ს-ის მიმართ არსებობდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. სასამართლომ აღნიშნა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი ანესრიგებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას. კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ბინადრობის ნებართვა გაციემა საქართველოში სამენარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანზე. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი წარმოიშობა, თუ უცხოელი ახორციელებს სახელმწიფო უსაფ-

რობების ან/და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შემცველ საქმიანობას. საქართველოს მთავრობის 01.09.2014 წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესით“ განსაზღვრულია უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები. წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, უცხოელი განცხადებით მიმართავს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. შრომითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების საკითხის განხილვისათვის საჭირო საბუთების ნუსხა მოცემულია ამავე წესის მე-5 მუხლში. წესის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას. საქმის მასალებით ირკვევა, რომ აღნიშნული ნორმის შესაბამისად სააგენტომ, ს. ს-ისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, ინფორმაცია გამოითხოვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, რომელმაც მიზანშეწონილად მიიჩნია ბინადრობის ნებართვის გაცემა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით, შესაბამისად, სააგენტომ ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ს. ს-ის განცხადება არ დააკმაყოფილა. სასამართლომ მიუთითა „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის პირველ მუხლზე, მე-6 მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებზე, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტზე, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტზე, მე-6, მე-7 მუხლებზე და აღნიშნა, რომ უცხოელისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დადასტურდა „შეცდომა დისკრეციაში“ – დისკრეციული უფლებამო-

სილების განხორციელების კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილება ან/და ასეთი უფლებამოსილების მინიჭების მიზნის უგულებელყოფა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, შესაბამისად, გასაჩივრებული აქტის გამოცემისას სააგენტო მოკლებული იყო წერილის საფუძვლად მითითებული გარემოებების და დოკუმენტაციის შემოწმების შესაძლებლობას. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სააგენტოს სადავო აქტის დასაბუთება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით კანონშესაბამისია. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე „ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ“ („Lupsa v. Romania“ განაცხადი №10337/04), რომლის მიხედვით, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით განმცხადებლის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა არასასურველად გამოცხადდა და იგი რუმინეთიდან უნდა გაძევებულიყო იმ საფუძვლით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული საიდუმლო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (39-ე პ.). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ესა თუ ის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, რეგულირების კონკრეტულ სფეროზეა დამოკიდებული. ეროვნულ უშიშროებას დამუქრებული საფრთხე განსხვავდება ხასიათისა და ბუნების მიხედვით და ამიტომ წინასწარ რთული განმსაზღვრელია (37-ე პ.), თუმცა ეროვნული უშიშროების მოსაზრებებზე დამყარებულ ღონისძიებას დაქვემდებარებულ პირს არ უნდა წაერთვას თვითნებობის წინააღმდეგ ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ღონისძიება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რათა ღონისძიების მართლზომიერება გადანსჯიოს და ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობა გამოირიცხოს (მე-40 პ.). ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო გადაწყვეტის ბრძანების მხოლოდ ფორმალური შემოწმებით შემოიფარგლა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პროკურატურას ეროვნული სასამართლოსთვის იმ დანაშაულის შესახებ, რომლის ჩადენაშიც განმცხადებელი იყო ეჭვმიტანილი, დეტალები არ უც-

ნობეზია, სასამართლო არ გასცდენია პროკურატურის ვარაუდებს და არ შეუმონმებია, ეროვნული უშიშროებისთვის საფრთხის არსებობა (41-ე პ.), ვინაიდან განმცხადებელს არ მიუღია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და ეროვნული სასამართლოსგან მინიმალური დაცვა თვითნებობის წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მის პირად ცხოვრებაში ჩარევა, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (42-ე, 44-ე პ.). საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად. ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარედგინა მხოლოდ სასამართლოს და არ დაერთო საქმეს, ამასთანავე, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე ამ ნაწილში დახურულ სასამართლო სხდომაზე საიდუმლო ინფორმაციის შესწავლა და შემოწმება განხორციელდა კანონით დადგენილი წესით სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებულმა ფაქტებმა ასახვა ვერ ჰპოვა სასამართლო გადაწყვეტილებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 26.12.2018წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ს. ს-ისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭების საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.03.2019წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ს. ს-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.2019წ. განჩინებით ს. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. პალატამ დამატებით მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე „ლენდერი შვედეთის წინააღმდეგ“ (Leander v. Sweden), რომლითაც დადგინდა ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი აპლიკანტის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით, რაც პალატის მოსაზრებით ასევე ადასტურებს იმას, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ფართო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული აქტი, რომელიც გამოიცა სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის ბინადრობის

ნებართვის მიზანშეწონილობის საკითხზე შესაბამისი უწყებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისია. პალატამ მიუთითა ასევე საქმეზე „კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ“ (Klass and others v. Germany, 06.09.1978წ.), რომელშიც ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, აპლიკანტის მიერ გასაჩივრებული კანონი (შეზღუდვები ელექტრონული ფოსტის და ტელეკომუნიკაციის საიდუმლოებაზე) სასამართლომ მიიჩნია საჭიროდ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე და დანაშაულისა და არეულობის პრევენციის მიზნით. გარდა ამისა, საქმეზე „სეგერშტედტ-უიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (Segerstedt-Wiberg and others v. Sweden, 26.06.2006წ.) ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის ინტერესებს უპირატესობა მიენიჭა აპლიკანტის ინტერესებთან შედარებით, რომელიც ითხოვდა დაცვის პოლიციაში მასზე არსებული საქმის მასალების გადაცემას. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა, ს. ს-მა ვერ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ს. ს-ის მიერ. კასატორმა მიუთითა სზაკ-ის 60¹, 53.5, 81-ე, 96-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოპასუხემ ვერ წარმოადგინა მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერების დამდგენი მტკიცებულებები. დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძველების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ ს. ს-ი არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, მასსა და შპს „რ...ს“ შორის 26.10.2018წ. გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება 3 წლის მოქმედების ვადით, შემდგომი გაგრძელების პერსპექტივით. ს. ს-ი საქართველოში შემოვიდა 16.12.2018წ., ხოლო 17.12.2018წ. განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შრომითი

ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით. საკითხის გადაწყვეტის მიზნით სააგენტომ 18.12.2018წ. წერილით ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, რომლის 24.12.2018წ. წერილობითი პასუხით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ს. ს-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 26.12.2018წ. გადაწყვეტილებით ს. ს-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა იმ დასაბუთებით, რომ ს. ს-ის მიმართ არსებობდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. სსიპ შემოსავლების სამსახურის №21-11/31549 ცნობის თანახმად, შპს „რ...ს“ ბოლო 1 წლის განმავლობაში უფიქსირდება დეკლარაციების გადაგზავნა, თანხების გადახდა, მიღებული ელ. ანგარიშ-ფაქტურები, მიღებული ზედნადებები, ხოლო განხორციელებული სასაქონლო ოპერაციები არ ფიქსირდება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოში უცხოელის შემოსვლა თუ გარკვეული დროით ყოფნა, მათ შორის საქართველოში დასაქმებისას, არ არის აბსოლუტური უფლება, სათანადო საფუძვლების არსებობისას აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, ამ მიმართულებით სახელმწიფოს შეფასების ფართო ფარგლები აქვს, მით უფრო მაშინ, როდესაც დღის წესრიგში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საკითხი დგას. ის, რომ სახელმწიფოს მასზე დაკისრებული საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულებიდან გამომდინარე აქვს თავის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, დარჩენის და ყოფნის ხანგრძლივობის კონტროლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა: კონვენცია არ ახდენს კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლისა და ყოფნის უფლების უზრუნველყოფას (იხ. მაგ. 20.06.2002წ. „Al-Nashif v. Bulgaria“ (§114), 06.12.2007წ. „Liu v. Russia“ (§49), 28.06.2011წ. „Nunez v. Norway“ (§66), 21.06.1988წ. „Berrehab v. the Netherlands“ (§28), 03.10.2014წ. „Jeunesse v. The Netherlands“ (§100), 13.12.2012წ. „De Souza Ribeiro v. France“ (§77), 24.04.1996წ. „Boughanemi v. France“ (§41) და სხვ.), თუმცა სახელმწიფოს მიერ უცხოელთა მიმართ განხორციელებული ქმედებები სათანადო ნორმატიულ საფუძველს უნდა ეფუძნებოდეს. საქართველოში უცხოელთა შემოსვლის, ყოფნის და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და

მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი, რომლის თანახმად საქართველოში შემოსვლის და ყოფნის ერთ-ერთი საფუძველია ბინადრობის ნებართვა (მე-5 მუხ. „ბ“ ქვ.პ.), მისი გაცემა ხდება საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, უკეთეს იგი კანონით განსაზღვრულ წინაპირობებს აკმაყოფილებს (14.1 მუხ.). კანონის მე-15 მუხლი ადგენს ბინადრობის სახეებსა და კონკრეტული სახის ბინადრობის ნებართვის გაცემის ფორმალურ წინაპირობებს. კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის სახეებს შორის სახელდება შრომითი ბინადრობის ნებართვა. ს. ს-ის მიერ სააგენტოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით განცხადების წარდგენისას და სადავო 26.12.2018წ. აქტის გამოცემისას მოქმედი რედაქციის მიხედვით, ნორმატიულად დაშვებული იყო შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა საქართველოში სამენარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანზე. დადგენილია, რომ მოსარჩელსა და შპს „რ...ს“ შორის დადებული იქნა შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა მოსარჩელის, როგორც დასაქმებულის უფლება-მოვალეობები, მის მიერ ყოველთვიურად მისაღები სარგო. სააგენტოს სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელის დასაქმებისა და რეალურად მუშაობის ფაქტი, ხოლო სსიპ შემოსავლების სამსახურმა დაადასტურა შპს „რ...ს“ საგადასახადო აქტივობა, კერძოდ: დეკლარაციების გადაგზავნა, თანხების გადახდა, ელ. ანგარიშ-ფაქტურებისა და ზედნადებების მიღება. გასათვალისწინებელია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სამივე ინტანციის სასამართლოში წარდგენილი იქნა შესაგებელი, თუმცა არც ერთი მათგანი არ შეიცავს რაიმე სახის პრეტენზიას მოსარჩელის რეალურად დასაქმების ფაქტთან დაკავშირებით, არ ხდება მითითება კომპანიის საქმიანობის ფიქტიურ ხასიათზე, შრომითი ხელშეკრულების შინაარსის გაზიარების დაუშვებლობაზე და სხვ.. ამდენად, უდავოა, რომ ს. ს-ი აკმაყოფილებდა შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის ნორმატიულად დადგენილ ფორმალურ წინაპირობებს. მართალია, კანონით დადგენილი ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი იმთავითვე არ წარმოშობს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ვალდებულებას, თუმცა იმ პირობებში, როდესაც სააგენტოში წარდგენილ განცხადების ფორმალურ ხარვეზებზე მითითება არ ხდება და ბინადრობის კონკრეტული სახის გაცემისთვის ნორმატიულად დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილება სადავო არ არის, ბინადრობის გაცემაზე უარი მომეტე-

ბულ დასაბუთებას საჭიროებს. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიცია სადავო აქტის მართლზომიერებასთან დაკავშირებით ეფუძნება მხოლოდ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნის პირობებში სააგენტო მოკლებული იყო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააგენტოს მოსაზრებას კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის პირობებში დადებითი გადანყვეტილების მიღების შეუძლებლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხზე გადანყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომლის დასკვნაც არის სააგენტოს გადანყვეტილების განმსაზღვრელი ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფაქტორი, დაინტერესებული პირისათვის სამართლებრივ შედეგს ინვეეს არა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა, არამედ საქმის გარემოებების გამოკლვევის, მათ შორის აღნიშნული დასკვნის შეფასების, დაპირისპირებულ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად სააგენტოს მიერ მიღებული გადანყვეტილება. მხოლოდ ის გარემოება, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილის თანახმად, უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონელია, არ ასაბუთებს სააგენტოს გადანყვეტილების კანონშესაბამისად მიღებას. საკითხის გადანყვეტის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლოა დასჭირდეს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან გარკვეული ინფორმაციისა და მონაცემების გამოთხოვა, რომელთაც შესაძლოა განმსაზღვრელი მნიშვნელობა მიენიჭოთ საკითხის გადანყვეტისას, თუმცა ეს არ გულისხმობს საკითხზე გადანყვეტილების მიმღებად იმ ორგანოს მიჩნევას, რომელმაც მხოლოდ სათანადო ინფორმაციის მიწოდება მოახდინა. უკეთეს საკითხზე გადანყვეტილების მიმღები ორგანო სრულად დამოკიდებულია სხვა სუბიექტის მიერ მიწოდებულ მოსაზრებებზე იმდაგვარად, რომ მას ამ მოსაზრებებისგან განსხვავებული გადანყვეტილების მიღება არ შეუძლია, მაშინ იგი რეალურად აღარც არის გადანყვეტილების მიმღები ორგანო. თავისი ნორმატიული უფლებამოსილებებიდან გამომდინარე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის განმარტებები სახელმწიფო უშიშროების თუ საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შექმნის შესახებ რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია, თუმცა არ გამოირიცხება სააგენტოს,

როგორც უცხოელისათვის ბინადრობის მინიჭების საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსაზრებების გაზიარებაზე უარის თქმა ან მათი გაზიარების მიუხედავად, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, პროპორციულობის პრინციპის დაცვით გადაწყვეტილების კერძო ინტერესების სასარგებლოდ მიღება. ამდენად, ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობაზე მსჯელობისას სააგენტოს ევალება არა მხოლოდ ბინადრობის ნებართვის გაცემის ფორმალური ნესების დაცვა, არამედ საკითხის შინაარსობრივი შესწავლაც.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად (კანონის 17.10 მუხ.). საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მიხედვით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად სააგენტო ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში, გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან (13.5 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, რომლის წერილით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით, რომლებიც ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას უცხოელის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი ნესრიგისთვის საფრთხის შემქმნელი საქმიანობის განხორციელებისას. საკასაციო სასამართლოს მიერ 15.06.2021წ. №ბს-907(კ-20) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევას. საკასაციო პალატა გაცნო კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსს, საქმეში დაცულ მასალებს და მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები არ არსებობს. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით („ა“, „გ“ ქვ.პ.) გათვალისწინებული

სამართლებრივი შედეგის დასადგომად – ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად უნდა დადასტურდეს ნორმითვე გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა, კერძოდ, საქართველოში უცხოელის ყოფნით ქვეყნის უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა. არსებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში ს. ს-ის საქართველოში ყოფნით ქვეყნის უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა არ დასტურდება, რაც სააგენტოს სადავო აქტის არამართლზომიერებას ადასტურებს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ: არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ („ა“ ქვ.პ.) ან/და უცხოელი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს („გ“ ქვ.პ.). თავის მხრივ სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან, სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან, ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან ან ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (18.2 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი ეთქვა სწორედ სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის მიზნით, თუმცა საქმის მასალებით და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციით მსგავსი საფუძვლების არსებობა არ დასტურდება. კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის

გაცემის მიზანშეუწონლობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული, წერილი არ შეიცავს ისეთი სახის ინფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად. უფრო მეტიც, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის შინაარსი ფაქტობრივად საფუძველს აცლის სადავო აქტს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის თანახმად, კანონითვე დადგენილი გამონაკლისის გარდა საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორიც – საქართველოს მოქალაქეს (1-ლი პ.), საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს (მე-3 პ.). ამდენად, ბინადრობის ნებართვის გაცემით სახელმწიფოსა და უცხოელს შორის ჩამოყალიბებული სამართალურთიერთობის შედეგად, სახელმწიფო უცხოელის მიმართ გარკვეული ვალდებულებებით იტვირთება. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემა ხდება არა ერთეულ შემთხვევებში, არამედ ჯამურად მრავალ პირზე, შესაძლოა მოხდეს სახელმწიფოს დამატებითი ვალდებულებებით გადატვირთვა, რაც სახელმწიფოს შეზღუდული რესურსის მხედველობაში მიღებით არ იქნება საჯარო ინტერესის შესაბამისი. ზემოაღნიშნულის გარდა მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სხვა არაერთი ინტერესი, რომლის დაცვასაც სახელმწიფოში უცხოელის ყოფნის რეგულირება ემსახურება. ქვეყანაში უცხოელთა შემოსვლისა და ყოფნის რეგულირება ხორციელდება არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის, სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და დანაშაულთან ბრძოლის მიზნით (19.01.2012წ. „Popov v. France“ (§137)). საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს, არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 25.4 მუხ.). შესაბამისად, უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემისას ყოველთვის არსებობს საჯარო ინტერესი, რომლის დაცვის საჭიროებაზე მითითებაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, თუმცა რომელიმე საჯარო ინტერესზე აბსტრაქტული მითითება როგორც წესი არ ქმნის უცხოელისთვის

ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სათანადო, თვით-კმარ დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად უთითებს ისეთ საჯარო ინტერესზე, როგორიცაა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, თუმცა არ დგინდება მოსარჩელის საქართველოში მუშაობით აღნიშნული საჯარო ინტერესის რეალიზებისთვის საფრთხის შექმნა. სახელმწიფო უშიშროების საფრთხე ფარდობითი კატეგორიის ცნებაა, მას არ ახასიათებს აბსოლუტური გასაზღვრულობა, თუმცა იმისთვის, რომ მასზე მითითებით უცხოელს საქართველოში ყოფნაზე ეთქვას უარი, აუცილებელია მოსალოდნელობის გარკვეული ვარაუდი შეიქმნას, განსახილველ შემთხვევაში მსგავსი გონივრული ვარაუდის არსებობა არ დგინდება. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ სასამართლოს სათანადო კონტროლის სფეროდან აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება არ გამოირიცხება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ დასაბუთებისას მან ტერმინი „სახელმწიფო უსაფრთხოება“ მოიშველია ან თავის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მიუთითა. თავის მხრივ, სასამართლოს სათანადო კონტროლი არა მხოლოდ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გაცნობას, არამედ მის შეფასებას, იდენტიფიცირებადი კერძო და საჯარო ინტერესების შეპირისპირებას და, დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციის გაზიარებაზე უარსაც მოიაზრებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქმეზე დადგენილია სადავო საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, ამასთანავე, არ დასტურდება ს. ს-ის სახელზე შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძვლების არსებობა, საკასაციო პალატა თვლის, რომ იკვეთება სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლები. ამასთანავე, სარჩელის დაკმაყოფილების დამაბრკოლებელ გარემოებას არ ქმნის ის, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ამჟამად მოქმედი რედაქცია შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის დამატებით წინაპირობებს ადგენს, ხოლო ს. ს-ის მოთხოვნის საფუძველიანობა ამ პირობებთან შესაბამისობის კუთხით არ შეფასებულა. ს. ს-მა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს განცხადებით 17.12.2018წ. მიმართა, სადავო აქტი 26.12.2018წ. გამოიცა, ხოლო „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი

მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი განსხვავებული რედაქციით 30.05.2019წ. (№4741) ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა. შესაბამისად, სადავო 26.12.2018წ. აქტის კანონიერება და ს. ს-ის 17.12.2018წ. განცხადების დაკმაყოფილების წინაპირობების არსებობა სწორედ ამ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის მხედველობაში მიღებით უნდა მოხდეს. მართალია, სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ევალეზა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, თუმცა ეს აქტი ს. ს-ის 17.12.2018წ. განცხადებაში ასახულ მოთხოვნაზე პასუხია. ამასთანავე, სააგენტოს არ ევალეზა დამატებითი გარემოებების გამოკვლევა, ადმინისტრაციული წარმოების ხელახლა ჩატარება და სხვ.. წინამდებარე გადაწყვეტილებით საკასაციო პალატა ბათილად ცნობს ს. ს-ის 17.12.2018წ. განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილებას და ავალეზს ორგანოს კონკრეტული შინაარსის აქტის გამოცემას, რის გამო კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის რედაქციის ცვლილება არ არის განსახილველი დავისთვის მნიშვნელობის მქონე, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ არ დგინდება ნორმის ახალი რედაქციით ს. ს-ის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მართებულობას არ ადასტურებს სააპელაციო პალატის მითითება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე („Segersted-Wiberg and oth. v Sweden“, „Klass and oth. v Germany“). საქმეზე Segersted-Wiberg and oth. v Sweden განიმარტა, რომ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს პოლიციის სახელმწიფო საიდუმლო რეესტრი, რომელიც შექმნილი იქნება ეროვნული უშიშროების დასაცავად და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. განიმარტა ასევე, რომ ინფორმაციის გამჟღავნება დააზარალებდა სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, შესაბამისად, ამ საიდუმლო ინფორმაციასთან კერძო პირთა დაშვებაზე უარი გამართლებული იყო, ეროვნული უშიშროებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზები გადასწონიდა ინდივიდთა ინტერესებს გასცნობოდნენ უშიშროების პოლიციის საიდუმლო რეესტრში მათ შესახებ არსებულ სრულ ინფორმაციას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი დავის საგნიდან გამომდინარე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ასახული განმარტებების ციტირება არარელევანტურია, რადგან მიმდინარე დავის საგანს არ შეადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მოსარჩელის შესახებ არსებული საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოების საკითხი, სასარჩელო მოთხოვნას არ შეად-

გენს ამ ინფორმაციის ღიაობის უზრუნველყოფა, მაშინ როდესაც Segersted-Wiberg and oth. v Sweden საქმეზე ეროვნული და ევროპული სასამართლოების განხილვის საგანს შეადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოში დაინტერესებულ პირთა შესახებ დაცულ ინფორმაციასთან ამავე პირთა დაშვებაზე უარის თქმის მართებულობა. განსახილველი დავა წყდება იმ მოცემულობის მხედველობაში მიღებით, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველად არსებული ინფორმაცია, რომელმაც გამოიწვია ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევა, გასაიდუმლოებულია და მისი გასაიდუმლოების საკითხი განსახილველი დავის საგანს არ შეადგენს. ანალოგიური მსჯელობის განვითარება შესაძლებელია აგრეთვე სააპელაციო პალატის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს „Klass and oth. v Germany“ გადაწყვეტილების მითითებასთან დაკავშირებითაც. აღნიშნულ დავაში მომჩივნები არამართებულად მიიჩნევდნენ სახელმწიფოს მიერ ისეთი ნორმატიული მოწესრიგების დადგენას, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევდა ინდივიდებისთვის წინასწარი ან შემდგომი შეტყობინების გარეშე ფარული მიყურადებისა თუ თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებას. საქმის განხილვისას ევროპულმა სასამართლომ განმარტებები გააკეთა სახელმწიფოს ხელში ეროვნული უშიშროების დაცვის მიზნებისათვის ეფექტიანი ღონისძიებების არსებობის საჭიროებაზე, ფარული მიყურადებისა და თვალთვალის გარკვეულ პირობებში დაშვების აუცილებლობაზე, დასაშვებობის წინაპირობეზე, სახელმწიფოს ფართო მიხედულების ფარგლებზე, აღნიშნულ ღონისძიებებზე ქმედითი კონტროლის განხორციელების საჭიროებაზე და სხვ.. „Klass and oth. v Germany“-ს საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, გაურკვეველია რა კუთხით ასაბუთებს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა განსახილველ დავაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. სადავო არ არის ის გარემოება, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის ეფექტიანი დაცვის მიზნით გარკვეული ფარული ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა, თუმცა გაურკვეველია ამ დებულების რელევანტურობა განსახილველ დავასთან მიმართებით. საკაპაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო შეზღუდულია დავის ფარგლებით, რომელსაც დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე მოსარჩელე განსაზღვრავს (სასკ-ის 3.1 მუხ., სსკ-ის 3.1 მუხ.). განსახილველი დავის

საგანს შეადგენს მხოლოდ ს. ს-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება და არა „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის 6.1 მუხლის შესაბამისად საიდუმლოდ მიჩნეული ინფორმაციის განსაიდუმლოების, მოსარჩელის ასეთ ინფორმაციასთან დაშვების, მიყურადების, თვალთვალის საკითხი. ამასთანავე, საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კერძო პირის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან არდაშვება იმთავითვე არ გულისხმობს ადმინისტრაციული წარმოების ხარვეზს თუ მიღებული აქტის არამართლობიერებას. როდესაც სადავო გადაწყვეტილებები ექვემდებარება სრულ სასამართლო კონტროლს, რა დროსაც სასამართლო ახდენს საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებას, ასეთ დროს პირის მიერ სათანადო შესაგებლის წარდგენის შეუძლებლობის მიუხედავად, უცხო ქვეყნის მოქალაქის უფლება დაცვის გარეშე არ რჩება, რადგან სასამართლო აფასებს არა მხოლოდ საჯარო ინტერესს, არამედ კერძო პირის ინტერესებსაც, რის შემდეგაც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, თუმცა ინფორმაციის საიდუმლოების გათვალისწინებით სათანადო დასაბუთების დეტალური ასახვა გადაწყვეტილების ტექსტში არ ხდება. საიდუმლოების დაცვა ილუზორული იქნებოდა, თუ საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტის გაცნობით გახდებოდა ცნობილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით სათანადოდ არ არის დასაბუთებული ს. ს-ის სარჩელის უსაფუძვლობა, ამასთანავე, საქმის მასალებითა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციით დასტურდება ს. ს-ის სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობების არსებობა, დგინდება, რომ ს. ს-თან მიმართებით კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებები არ არის სახეზე.

რაც შეეხება სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თუ საკასაციო სასამართლოს გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, იგი შესაბამისად ცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც (სსკ-ის 53.4 მუხ.). სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. სასამართლო ხარჯები მოიცავს სახელმწიფო ბაჟს (სსკ-ის 37-ე მუხ.). ამდენად, ვინაიდან სარჩელი კმაყოფილდება, მოპასუხეს უნდა დაე-

კისროს მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი, მეოთხე ნაწილებით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ა ვ ა მ ა რ ე ბ ა:

1. ს. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.2019წ. განჩინება და საქმეზე მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ს. ს-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 26.12.2018წ. №1000644482 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დავალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ს. ს-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ს. მ-ის (პ.ნ. ...) სასარგებლოდ დაეკისროს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 (ასი) ლარის ანაზღაურება;
6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნ. ბ-ის (პ.ნ. ...) სასარგებლოდ დაეკისროს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის
თქმის კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1219(კ-22)

30 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ნ-მა წარმომადგენლის მეშვეობით 2021 წლის 23 მარტს სარ-
ჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისე-
ბის განვითარების სააგენტოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სსიპ
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 21
თებერვლის №1000740704 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და
მ. ნ-ისთვის შრომით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მო-
პასუხისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე დაახლოებით 7 წელია საქარ-
თველოში კანონიერად იმყოფება და მუშაობს საწარმოში მენეჯე-
რის პოზიციაზე. 2021 წელს, ვიდრე ბინადრობის ნებართვას ვადა
გაუვიდოდა, ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართა სახელმწი-
ფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რომელმაც 2021 წლის
21 თებერვლის გადაწყვეტილებით უკანონოდ უთხრა უარი მოთ-
ხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიის 2021 წლის 06 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ
დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. ნ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ნ-ის
სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021

წლის 06 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 21 თებერვლის №1000740704 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა მ. ნ-ისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლზე და აღნიშნა, რომ ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად უცხოელზე, რომელიც სააგენტოს წარუდგენს საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტს, აგრეთვე ცნობას, რომლითაც დასტურდება, რომ მის მიერ საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი/შრომის ანაზღაურება არ არის საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები, და რომლის დამსაქმებელი საწარმოს/დაფუძნებული საწარმოს (გარდა საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულებისა) წლიური ბრუნვა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე 50 000 ლარზე ნაკლები არ არის. უცხოელის დამსაქმებელი/დაფუძნებული საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულების წლიური ბრუნვა ამ მუხლის მიზნებისათვის არის არანაკლებ 35 000 ლარისა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე. ამავე კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით აღნიშნა, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონელობის შესახებ ან თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. სწორედ ამ ნორმებზე მითითებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა, რაც გახდა სააგენტოს მიერ სადავო აქტის გამოცემის საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზ-

ვერვის დეპარტამენტის წერილი არ შეიცავდა ისეთი შინაარსის ინფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე არ დაადასტურდა ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

კასატორის, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი; სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს. უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

კასატორი აღნიშნავს, რომ შეასრულა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია, რომლის გათვალისწინებითაც, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მართებულად უთხრა უარი მოსარჩელეს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში

იქნა მიღებული.

2022 წლის 05 დეკემბერს მ. ნ-ის წარმომადგენელმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარადგინა საკასაციო შესაგებელი. საკასაციო შესაგებელის ავტორის მოსაზრებით, როდესაც დავა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარეობს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საჩივრები თუ შესაგებლები არის შაბლონური, იცვლება მხოლოდ განაცხადის ნომრები, თარიღები და სახელი და გვარები, რაც განპირობებულია იმით, რომ კომპეტენტური ორგანოს დასკვნა საიდუმლოა როგორც განმცხადებლისთვის, ასევე თვით სააგენტოსთვის, რაც ავტომატურად აწესებს გარკვეულ ჩარჩოებს, რომელიც იწვევს შეჯიბრებითობის პრინციპის ერთგვარ შეზღუდვას. მ. ნ-ის წარმომადგენელი საკასაციო შესაგებელში აღნიშნავს, რომ მსგავსი კატეგორიის დავები საკასაციო წესით გასაჩივრებას არ უნდა ექვემდებარებოდეს და სააპელაციო ინსტანცია უნდა იყოს საბოლოო ინსტანცია. შესაგებელის ავტორი ეთანხმება სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არსებითად სწორად განწყვიტა სადავო საკითხი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 07 მარტის განჩინებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად, ამასთან გადაწყდა საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 21 თებერვლის №1000740704 გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მ. ნ-ს უარი ეთქვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე; შესაბამისად, სასამარ-

თლოს მსჯელობის საგანია მიღებული გადაწყვეტილება ემყარება თუ არა ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს, იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად უცხოელზე, რომელიც სააგენტოს წარუდგენს საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტს, აგრეთვე ცნობას, რომლითაც დასტურდება, რომ მის მიერ საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი/შრომის ანაზღაურება არ არის საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები, და რომლის დამსაქმებელი საწარმოს/დაფუძნებული საწარმოს (გარდა საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულებისა) წლიური ბრუნვა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე 50 000 ლარზე ნაკლები არ არის. უცხოელის დამსაქმებელი/დაფუძნებული საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულების წლიური ბრუნვა ამ მუხლის მიზნებისათვის არის არანაკლებ 35 000 ლარისა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს ითვალისწინებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი უარის თქმის საფუძვლად ადგენს ისეთი საქმიანობის განხორციელების დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესი“ მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვა-

ლისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 12 თებერვლის №1000740704/1 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 19 თებერვლის №SSG 2 21 00021243 წერილით, შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე მითითებით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა მ. ნ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა, რის საფუძველზეც გამოიწა სადავო აქტი.

საკასაციო სასამართლოს მიერ 2022 წლის 30 დეკემბრის №ბს-1219(კ-22) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა.

საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, ხაზგასმით აღნიშნავს და ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილში (დასკვნაში) მოყვანილი ფაქტების არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო მოსარჩელისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნ-

ქტების დაცვით (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20¹ მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადანაცვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის შეფასება ხდება სასამართლოს მიერ, რა დროსაც სასამართლო ხელმძღვანელობს მისი შინაგანი რწმენით, აღწერილი საფრთხის რეალიზების ალბათობის შეფასებით, დასკვნის დასაბუთებულობის, გონივრულობისა და სანდოობის შემოწმებით, აგრეთვე საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით. ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნები კმაყოფილდება, იმთავითვე არ გულისხმობს მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ერთი და იგივე გადანაცვეტილების მიღებას, ვინაიდან სასამართლოს გადანაცვეტილებას სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად საფუძვლად უდევს მოსარჩელის შესახებ კონტრდაზვერვის დეპარტამენტში არსებული ინფორმაცია, რომელიც განსხვავდება თითოეულ კონკრეტულ საქმეზე, რადგან იცვლება ინფორმაციის სუბიექტი.

მართალია, მოცემულ შემთხვევაში იზღუდება მ. ნ-ის შრომითი უფლება (დასაქმებულია შპს „ჯ...“-ში წარმოების მენეჯერის პოზიციაზე), ვინაიდან იგი ვალდებულია გადანაცვეტილების აღსრულებიდან გამომდინარე დატოვოს საქართველო, თუმცა საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ შეზღუდვას საფუძვლად უდევს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გამოიხატება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაში. სახელმწიფოებს არ ეკრძალებათ უცხოელთა ქვეყანაში შესვლისა და იქ დარჩენის ხანგრძლივობის რეგულირება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდთა უფლებებში ჩარევა იყოს აუცილებელი და მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული (*Berrehab v. The Netherlands*). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მთავრობას უფლება აქვს დაადგინოს ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი განმცხადებლის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით (*Case of Leander v. Sweden*). ამასთან, ეროვნული უშიშროების მოსაზრებებზე დამყარებულ ღონისძიებას დაქვემდებარებულ პირს არ უნდა წაერთვას თვითნებობის წინააღმდეგ ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ღონისძიება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი და ობიექტური ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რათა ღონისძიების მართლზომიერება გადანაცვით და ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობა გამოირიცხოს (*Case of Lupsa v. Romania*). კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოს აქვს თავისუფლება აკონტროლოს მის ტერიტორიაზე

უცხოელის შემოსვლის, ბინადრობისა და გაძევების საკითხები (Case of Khasanov and Rakhmanov v. Russia, 2022, §93).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, ასევე უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამდენად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად, მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მ. ნ-ის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჯამში 250 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად, მასვე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 300 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქარ-

თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მ. ნ-ს (პასპორტის №...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს სააგენტოს მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ

№ბს-1241(კ-22)

15 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. გ. რ-ზმა წარმომადგენლის მეშვეობით 2021 წლის 29 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ, რომლითაც ე. გ. რ-

ზის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 08 დეკემბრის №1000769162 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ე. გ. რ-ზის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ განხილვის მოპასუხისთვის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის წარმომადგენელი სარჩელში აღნიშნავდა, რომ კუბის რესპუბლიკის მოქალაქე ე. გ. რ-ზი დასაქმებულია შპს „ს...ში“ IT სპეციალისტის თანამდებობაზე, შესაბამისად, მასთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება ერთი წლის ვადით, 2022 წლის 01 ნოემბრამდე. მოსარჩელის წარმომადგენელი მიუთითებდა, რომ ე. გ. რ-ზს 2-ჯერ უკვე მოპოვებული ჰქონდა შრომითი ბინადრობის ნებართვა. 2018 წლის 08 ნოემბერს ე. გ. რ-ზმა განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოში ლეგალურად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 36 კალენდარული დღით ადრე. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2021 წლის 10 ნოემბერს მოსარჩელეს განცხადებაზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა საქართველოში კანონიერად ყოფნის 40-დღიანი ვადის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით მოსარჩელემ, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლის რჩევით, 2021 წლის 26 ნოემბერს გადაკვეთა საქართველო-რუსეთის საზღვარი და შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, რის შედეგადაც კუბის რესპუბლიკის მოქალაქეს ჩაერთო საქართველოში კანონიერად ყოფნის 90-დღიანი ვადა. 2021 წლის 29 ნოემბერს ე. გ. რ-ზმა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით წარადგინა საქართველოში საზღვრის კვეთის მტკიცებულება. მოსარჩელის წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად დამატებით წარდგენილი დოკუმენტისა, რომლის თანახმად, ე. გ. რ-ზის საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი იყო 88 კალენდარული დღე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ განმცხადებელს იმავე საფუძველზე დაუდგინა ხარვეზი, ხოლო 2021 წლის 08 დეკემბერს მიიღო სადავო გადაწყვეტილება, რომლითაც ე. გ. რ-ზის განცხადება შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე დარჩა განუხილველი.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა წარადგინა შესაგებელი, სადაც აღნიშნავდა, რომ არ არსებობდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 08 დეკემბრის №1000769162 გადაწყვეტილე-

ბის ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, ვინაიდან გადაწყვეტილება მომზადებული და გამოცემული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ე. გ. რ-ზის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 08 დეკემბრის №1000769162 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა ე. გ. რ-ზის განცხადების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად უცხოელი ვალდებულია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით სააგენტოს მიმართოს საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 40 კალენდარული დღით ადრე. აღნიშნული ქვეპუნქტი ასევე შეიცავს გამოჩენის შემთხვევებს, როდესაც ბინადრობის მაძიებელზე არ ვრცელდება 40-დღიანი ვადის შეზღუდვა; კერძოდ, აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება, მათ შორის, დროებითი ბინადრობის ნებართვის შემთხვევებზე. სასამართლომ აგრეთვე მიუთითა ამავე წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად კანონის მე-15 მუხლის „ა“ – „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვები პირველად გაიცემა 6 თვიდან 1 წლამდე ვადით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნორმის ლოგიკური და სისტემური განმარტების მეთოდით შეფასების შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შრომითი ბინადრობის ნებართვა წარმოადგენდა დროებით ბინადრობის ნებართვას. შესაბამისად, მასზე „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მოსარჩელეს შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე განცხადების განხილვაზე უარი უთხრა იმ საფუძველით, რომელიც გათვალისწინებული არ იყო დროებითი – შრომითი ბინადრობის ნებართვისთვის, შესაბამისად, არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დამატებით აღნიშნა, რომ მოსარჩელეს რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთის საფუძველზე 2021 წლის 27 ნოემბერს წარმოეშვა საქართველოში კანონიერად ყოფნის 90-დღიანი ვადა, შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე მას უკვე გააჩნდა 40 კალენდარულ დღეზე მეტი საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა მოითხოვა. ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევდა, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას, შესაბამისად არ დაეთანხმა სასამართლოს მსჯელობას კონკრეტულ შემთხვევაზე „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი შეზღუდვის გაუფრცვლევლობის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები. სააპელაციო პალატამაც მიიჩნია, რომ შრომითი ბინადრობის ნებართვა წარმოადგენდა დროებითი ბინადრობის ნებართვას, რომელზეც არ ვრცელდებოდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-3 მუხლის მე-4

პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

კასატორის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლის მითითებით, საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გასაცემად უცხოელმა სააგენტოში უნდა წარმოადგინოს საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულია თუ რა წარმომადგენს საქართველოში შემოსვლისა და კანონიერად ყოფნის საფუძვლებს, კერძოდ ესენია: ა) საქართველოს ვიზა; ბ) საქართველოში ბინადრობის ნებართვა; გ) საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირის დროებითი ბინადრობის მოწმობა; დ) დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა; ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები. ამასთანავე კუბის რესპუბლიკა არ შედის საქართველოს მთავრობის №255 დადგენილებით განსაზღვრულ იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა.

კასატორის წარმომადგენელი მიუთითებს საქმეში დაცულ მტკიცებულებებზე და აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილია მხოლოდ საქართველოს ბინადრობის მოწმობა, რომლის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 14 დეკემბერი, შესაბამისად ბინადრობის ნებართვაზე განაცხადის წარდგენის დროისთვის მას დარჩენილი ჰქონდა საქართველოში კანონიერად ყოფნის 37 დღე. ამდენად, უცხოელი ვერ აკმაყოფილებდა დარგის მარეგულირებელი კანონმდებლობის იმ მოთხოვნას, რომელიც განმცხადებელს ავალდებულებდა საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით მიემართა საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 40 დღით ადრე.

ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 323-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, რომელთა თანახმად, საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, ხოლო სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და ამასთანავე, არასწორად განმარტა კანონი. განსახილ-

ველ შემთხვევაში, სააგენტოს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ საქმის ქვედა ინსტანციებში განხილვის ეტაპზე მატერიალური სამართლის ნორმები არსებითად არასწორად განიმარტა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რამაც გამოიწვია საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. კერძოდ, სასამართლოებმა არასწორად განმარტეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული დროებითი ბინადრობის ნებართვა და მიუთითეს, რომ მასში მოიაზრებოდა შრომითი ბინადრობის ნებართვაც, ვინაიდან კანონმდებლობა დროებითი სახის ბინადრობის ნებართვად განსაზღვრავდა, მათ შორის, შრომით ბინადრობასაც, თუმცა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა აგრეთვე ცალკე ბინადრობის კატეგორიად გამოყოფს დროებით ბინადრობის ნებართვას. კერძოდ, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი განმარტავს, რომ დროებითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელზე, რომელსაც „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს მსხვერპლის სტატუსი. ამდენად, კანონი ბინადრობის ნებართვებს შორის ცალკე კატეგორიად გამოყოფს დროებით ბინადრობის ნებართვას.

კასატორის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ განჩინებაში არსად არის მითითებული, თუ კანონით გათვალისწინებული რომელი ნორმა დაარღვია სააგენტომ მოცემული გადაწყვეტილების მომზადების დროს. სასამართლო ვალდებულია კონტროლი განახორციელოს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე, კერძოდ, სწორად განმარტავს თუ არა ადმინისტრაციული ორგანო კანონს, სწორად იყენებს თუ არა მას და სწორად იკვლევს თუ არა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებს. სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სასამართლოს ქმედება წარმოადგენს უხეშ ჩარევას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას მიკუთვნებულ სფეროში, ვინაიდან სწორედ სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება გამოიკვლიოს, შეისწავლოს და შეაფასოს ის ფაქტობრივი გარემოებები, შეესაბამება თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭილია კანონიე-

რების პრინციპით, რაც გულისხმობს უფლებამოსილების განხორციელებას მხოლოდ კანონის საფუძველზე და დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. იმ შემთხვევაში, თუ დაუშვებთ კანონის გვერდის ავლით ბინადრობის ნებართვის უცხოელებზე გაცემას, აღნიშნული გამოინვევს მსუსხავ ეფექტს მსგავსი კატეგორიის საქმეებში. შედეგად მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დადგენილების ჩანაწერი, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით სააგენტოსთვის, საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ვადის ამონურვამდე 40 კალენდარული დღით ადრე მიმართვის ვალდებულების თაობაზე, იქნება მხოლოდ ფორმალური ჩანაწერი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის განჩინება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, შესაბამისად უნდა გაუქმდეს და სრულად უნდა ეთქვას მოსარჩელეს უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 03 მაისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 06 ივნისის განჩინებით დადგინდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრის განხილვა მხარეთა დასწრებით, 2023 წლის 15 ივნისს 11:00 საათზე.

ე. გ. რ-ზის წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნეს და მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკ-

მაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს ბინადრობის მაძიებლის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის 40 კალენდარული დღით ადრე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის მიმართვის გავრცელება შრომითი ბინადრობის ნებართვაზე და ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ე. გ. რ-ზის მიერ საზღვრის კვეთის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის პირობებში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ განცხადების განუხილველად დატოვების უფლებამოსილება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას. აღნიშნული კანონის მიხედვით, უცხოელთა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საფუძვლებია: საქართველოს ვიზა; საქართველოში ბინადრობის ნებართვა; საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირის დროებითი ბინადრობის მოწმობა; დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები (მუხლი 5).

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გაცემს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. სწორედ ბინადრობის ნებართვა წარმოადგენს სააგენტოს მხრიდან უცხოელზე შესაბამის ბინადრობის მოწმობის გაცემის საფუძველს, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეცი-

ული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს, იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, საქართველოში გაიცემა შემდეგი სახის ბინადრობის ნებართვები: შრომითი ბინადრობის ნებართვა, სასწავლო ბინადრობის ნებართვა, ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით, საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა, მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა, სპეციალური ბინადრობის ნებართვა, მუდმივი ცხოვრების ნებართვა, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა, დროებითი ბინადრობის ნებართვა, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა და უვადო ბინადრობის ნებართვა. მითითებული კანონის მე-16 მუხლიდან გამომდინარე, განსაზღვრულია ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადები, ასევე ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების პროცედურები.

იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო საკითხი შეეხება შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ მოსარჩელის განცხადების განუხილველად დატოვებას, საკასაციო პალატა მხოლოდ ამ სახის ბინადრობის ნებართვის გაცემის ფაქტობრივ და სამართლებრივ წინაპირობებზე მსჯელობით შემოიფარგლება.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად უცხოელზე, რომელიც სააგენტოს წარუდგენს საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტს, აგრეთვე ცნობას, რომლითაც დასტურდება, რომ მის მიერ საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი/შრომის ანაზღაურება არ არის საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები, და რომლის დამსაქმებელი საწარმოს/დაფუძნებული საწარმოს (გარდა საგანმანათლებლო ან სამედიცინო დანესებულებისა) წლიური

ბრუნვა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე 50 000 ლარზე ნაკლები არ არის. უცხოელის დამსაქმებელი/დაფუძნებული საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულების წლიური ბრუნვა ამ მუხლის მიზნებისათვის არის არანაკლებ 35 000 ლარისა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე.

კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესი“ (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესსა და პირობებს (მუხლი 1).

მითითებული წესის მე-5 მუხლი ადგენს შრომითი ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, შრომითი ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად უცხოელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს: ა) დადგენილი ფორმის განცხადება; ბ) უცხოელის სამგზავრო დოკუმენტის ასლი; გ) საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; დ) მუშაობისა და სამეწარმეო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომითი ხელშეკრულება ან სამუშაოზე მიღების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი); დ') ცნობა, საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავლის/შრომის ანაზღაურებისა და დამსაქმებელი სანარმოს/დაფუძნებული სანარმოს (გარდა საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულებისა) წლიური ბრუნვის შესახებ; ე) ფერადი ფოტოსურათი; ვ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. გარდა აღნიშნული დოკუმენტებისა, წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, სააგენტო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, დამატებით მოითხოვოს იმ დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც ასაბუთებენ ამ წესით გათვალისწინებულ ცალკეულ ფაქტებსა და გარემოებებს (საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დადგენისათვის).

მითითებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უცხოელი ვალდებულია, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გა-

ცემის მოთხოვნით, სააგენტოს მიმართოს საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 40 კალენდარული დღით ადრე. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის, სპეციალური ბინადრობის ნებართვის, დროებითი ბინადრობის ნებართვისა და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის შემთხვევებზე.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემისას წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაცვის სავალდებულობის შესახებ და მიიჩნევს, რომ მითითებულ ნორმაში არსებულ საგამონაკლისო შემთხვევებში არ მოიაზრება შრომითი ბინადრობის ნებართვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებელი ამ ნორმაში მითითებულ დროებითი ბინადრობის ნებართვაში გულისხმობს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ დროებით ბინადრობის ნებართვას, როგორც ბინადრობის ერთ-ერთ სახეს (გაიცემა უცხოელზე, რომელსაც „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს მსხვერპლის სტატუსი) და არა ზოგადად, კონკრეტული ვადით (დროებით) გაცემულ ყველა სახის ბინადრობის ნებართვას. ამ მსჯელობის მართებულობას ასევე ადასტურებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თავდაპირველი რედაქცია, რომელიც ამ ვადის დაცვას საგამონაკლისო წესით არ ავრცელებდა მხოლოდ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლსა ან დაზარალებულ პირზე, სპეციალური ბინადრობის ნებართვის მაძიებელთა შემთხვევაში.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2015 წლის 20 მარტს №3344 კანონით შევიდა ცვლილება, რომლის შედეგადაც კანონის მე-15 მუხლში („ი“ ქვ.პუნ.) ახალი ბინადრობის ნებართვის სახედ გათვალისწინებული იქნა დროებითი ბინადრობის ნებართვა. აღნიშნული ცვლილება დაედო საფუძვლად საქართველოს მთავრობის №520 დადგენილებაში 2015 წლის 10 ნოემბრის №574 დადგენილებით განხორციელებულ ცვლილებას, რომლის თანახმად, წესის მე-3 მუხლის მე-4 ქვეპუნქტში 40-დღიანი ვადის დაცვის ვალდებულება არ იქნა გათვალისწინებული ასევე დროებითი ბინად-

რობის ნებართვის მაძიებელ პირზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს კანონმდებლის ნამდვილი მიზნის, განზრახვის ადეკვატურად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს, კერძოდ, ყოველი ნორმა განმარტებული უნდა იქნეს არა ფრაგმენტულად, არამედ სისტემური და ტელეოლოგიური მეთოდებით, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა (სუსგ საქმეზე №ბს-479-459(კ-10), 21.10.2010წ.).

ამდენად, საკასაციო პალატა არ ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემისას წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაუვრცელებლობის შესახებ, რადგანაც აღნიშნული განმარტება არ გამომდინარეობს კანონმდებლის ნამდვილი მიზნიდან. ამასთან, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობის გათვალისწინების შემთხვევაში, არ იარსებებს შემთხვევა (ბინადრობის ნებართვა), რასთან დაკავშირებითაც შესაძლებელია გავრცელებულიყო ამ ნორმით დადგენილი შეზღუდვა.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების საკითხს, ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით განცხადების განხილვა ექვემდებარება შემდეგ სტადიებს: 1. განცხადების დასაშვებობა; 2. განცხადების საფუძვლიანობა.

განცხადების დასაშვებობის სტადიაზე ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს ორ კრიტერიუმს: 1. განცხადების წარდგენის ვადის დაცულობას და 2. განცხადების წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას (წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა).

განცხადების საფუძვლიანობისას ხდება ბინადრობის ნებართვის საფუძვლების არსებობის შემოწმება (მუხლი 13'), რა სტადიაზეც სააგენტო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, გადაამოწმოს დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია, მიიწვიოს განმცხადებელი და მიიღოს მისგან საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია/ინფორმაცია და ახსნა-განმარტება და სხვა.

საქმეში დაცული მტკიცებულებების საფუძველზე უდავოდ დადგენილია, რომ ე. გ. რ-ზმა საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 37 კალენდარული დღით ადრე მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რაც წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 01.09.2014 წლის №520 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევას, რასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ ე. გ. რ-ზს წარდგენილ განცხადებაზე მართებული დაუდგინა ხარვეზი და 2021 წლის 10 ნოემბრის №1000769162/7 ნერილით დაავალა საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა 2021 წლის 8 დეკემბრამდე.

საქმის მასალებით ისიც დადგენილია, რომ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ე. გ. რ-ზმა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 29 ნოემბერს წარუდგინა საქართველო-რუსეთის საზღვრის კვეთის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შედეგად, მას წარმოეშვა საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის 90-დღიანი კალენდარული ვადა (აღნიშნული დასტურდება აგრეთვე საქმეში დაცული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, რა გარემოებასაც არც კასატორი ხდის სადავოდ). ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ კვლავ წარსადგენი იყო სააგენტოსთვის მიმართვის დღისთვის საქართველოში კანონიერად ყოფნის 40-დღიანი ვადის ქონის დამადასტურებელი დოკუმენტი და 2021 წლის 30 ნოემბრის №1000769162/7 ნერილით ე. გ. რ-ზს დაავალა ამ დოკუმენტის წარმოდგენა 2021 წლის 8 დეკემბრამდე, ხოლო 2021 წლის 08 დეკემბრის №1000769162 გადანყვეტილებით, კანონით დადგენილ ვადაში დამატებითი დოკუმენტის წარუდგენლობის მოტივით, განცხადება დატოვა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ ად-

მინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი საზღვრის კვეთის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოადგენდა ახალ გარემოებას, რომელზეც კანონით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია, შესაბამისად პალატა თვლის, რომ არ არსებობდა ამ დოკუმენტებზე მსჯელობის გარეშე მოსარჩელის განცხადების განუხილველად დატოვების საკანონმდებლო წინაპირობები. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესს, რომლის თანახმად, უცხოელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და მოპოვებული მასალის საფუძველზე, სააგენტოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე. შესაბამისად მართებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხეზე ე. გ. რ-ზის განცხადების განხილვის დავალების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. მოკლევადიანი ბინადრობა

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-440(კ-22)

24 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 22 ივლისს ჟ.დ-იმ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, არის ირანის რესპუბლიკის მოქალაქე, 2021 წლის 1 ივნისს განაცხადით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად. განაცხადს თან ერთვოდა კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა დოკუმენტი. მოსარჩელის საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ...ის ქ. №10, ბ, რომლის ღირებულება შეესაბამება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტსა და საქართველოს მთავრობის №520-ე დადგენილების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს. მოსარჩელის არასრულწლოვანი შვილი – ა. თ-ი სწავლობს საქართველოში, შპს „ა...ში“. მოსარჩელეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 25 ივნისის №1000751414 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე „უცხოელთა და მოქალაქეების არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის

პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

ამდენად, მოსარჩელემ მოკლევადიანი ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 25 ივნისის №1000751414 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის მისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით ჟ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 25 ივნისის №1000751414 გადაწყვეტილება და სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა ჟ.ლ-ისთვის მოკლევადიანი ნებართვის გაცემის თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 25 ივლისის №1000675410 გადაწყვეტილებით ჟ. ლ-ის 2019 წლის 15 ივლისის განცხადება დაკმაყოფილდა და მიეცა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა 2019 წლის 25 ივლისიდან 2020 წლის 25 ივლისამდე. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 06 ივლისის №1000711208 გადაწყვეტილებით ჟ.ლ-ის 2020 წლის 09 ივნისის განცხადება დაკმაყოფილდა და გაუგრძელდა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა 2021 წლის 09 ივლისამდე.

ჟ. ლ-იმ 2021 წლის 01 ივნისს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა მისთვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 2 ივნისს №1000751414/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორმაციის მისაღებად, არსებობდა თუ არა ჟ. ლ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 24 ივნისის №SSG 4 21 00082905 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ჟ. ლ-ისთვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვი-

სეების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 25 ივნისის №1000751414 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე, ირანის ისლამურ რესპუბლიკის მოქალაქე – ჟ. ლ-ის (ძ.ჩ; დაბ. ... წელს, ...ში, პასპორტის №...) 2021 წლის 1 ივნისის №1000751414 განცხადება. განცხადების განხილვისას დადგინდა, რომ ჟ. ლ-ის მიმართ არსებობდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, შესაბამისად, უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

„უცხოელთა და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუნოლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას ასევე თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესით“ განსაზღვრულია უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები. ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის პროცედურა რეგლამენტირებულია ამავე წესის მე-13 მუხლით, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ აღნიშნული ვადა საკმარისი არ არის წერილობითი ინფორმაციის გასაცემად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იური-

დიული პირები ამის თაობაზე აცნობებენ სააგენტოს, რის შემდეგაც მათ მიეცემათ დამატებითი ორდლიანი ვადა. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აღნიშნულ ვადებში სააგენტოსათვის საჭირო ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ არ არსებობს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველები (გარდა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა) და სააგენტო ვალდებულია საკითხის განხილვა დაასრულოს კანონით განსაზღვრულ ვადაში.

სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ასევე მიეთითებინა „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, მე-6-მე-7 მუხლებზე და მიიჩნია, რომ უცხოელისათვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საქალაქო სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის), ასევე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის საფუძველზე მიიჩნია, რომ არ-

სებობდა სარჩელის დაკმაყოფილების და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბინადრობის ნებართვის გაცემის დავალების წინაპირობები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სააგენტოს სადავო გადაწყვეტილების მოტივირება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით, არ შეესაბამება კანონმდებლობას და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 25 ივნისის №1000751414 გადაწყვეტილება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონის დარღვევით იყო გამოცემული, იგი ხელყოფდა ჟ.ლ-ის კანონიერ ინტერესებს, პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელეს, რაც ქმნიდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 მარტის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო საკითხი არსებითად სწორად გადაწყვიტა, სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოება. თავის მხრივ, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე

დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება. სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტს, და მისი ოჯახის წევრებზე. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად. ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. ზემოაღნიშნული წერილის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო ისეთი შინაარსის ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების უზრუნველსაყოფად, ასევე არ დასტურდებოდა მოსარჩელის მხრიდან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, მოპასუხემ სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა ჟ. ლ-ისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისას საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სხვა რაიმე საფუძველი ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია და სათანადოდ არ დაუსაბუთებია. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის საკითხთან დაკავშირებით მოპასუხემ სადავო გადაწყვეტილება დააფუძნა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე და არგუმენ-

ტებზე, რომლებიც სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი არ იყო ადმინისტრაციული წარმოების დროს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 15 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სახელმწიფოს მიერ უცხოელზე ბინადრობის მოწმობის გაცემისას, უზრუნველყოფს მისი უფლებების დაცვას სახელმწიფოს ტერიტორიაზე. კონკრეტული პირისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე მისი კანონიერად ყოფნის პერიოდში ხდება გარკვეული პრივილეგიების მინიჭება. ბინადრობის სამართლებრივი ბუნება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. კასატორის განმარტებით, სასამართლომ მართალია სწორედ იხელმძღვანელა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, თუმცა არასწორად განმარტა იგი. ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კერძო და საჯარო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და ითხოვს მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება. სასამართლომ არ გაითვალისწინა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილება, რევიზია გაუკეთოს საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დამტკიცების შესახებ წესის“ შესაბამისად დადგენილი ვალდებულებებიდან გამომდინარე, სააგენტომ გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია, რის გამოც კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში მოპოვებული დოკუმენტაცია წარმოადგენს სახელმწიფოს საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის

ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი. სააგენტო დაეყრდნო სწორედ კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ როდესაც საკითხე ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. განცხადების განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო საქართველოს კანონმდებლობით შეზღუდულია, მოიპოვოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის გამაბათილებელი მტკიცებულება. გასაჩივრებული განჩინებით არ დგინდება კანონის რომელი მოთხოვნა დაარღვია სააგენტომ, რაც შესაძლოა გამხდარიყო სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 25 ივნისის №1000751414 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 2 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე ჟ. ლ-ი საქართველოში შემოვიდა 2019 წლის 21 დეკემბერს (17:43:01 სთ), სასაზღვრო გამშვებ პუნქტ – თბილისის აეროპორტის საშუალებით. საქ-

მის მასალებში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის 2018 წლის 16 ივნისის მდგომარეობით მომზადებული ამონაწერის თანახმად, უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, ...ის ქუჩა №10, სართული 8, ბინა №....., ფართობი – 127.50 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №... რეგისტრირებულია ჟ.ლ-ის სახელზე. საქმეში წარმოდგენილია 2019 წლის 3 ივლისის მდგომარეობით არსებული უძრავი ქონების შეფასების დასკვნა, რომლის თანახმად ს/კ №... უძრავი ქონება შეფასებულია 280 500 აშშ დოლარად.

დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 2 ივნისის №1000751414/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორმაციის მისაღებად, არსებობდა თუ არა ჟ. ლ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 24 ივნისის №SSG 4 21 00082905 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ჟ.ლ-ისთვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ჟ. ლ-ის საქართველოში ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, დაბადებული ... წლისს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 25 ივნისის №1000751414 სადავო გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ირანის ისლამური რეპუბლიკის მოქალაქე – ჟ.ლ-ის (ძ.ჩ; დაბ. ... წელს, ...ში, პასპორტის №...) 2021 წლის 1 ივნისის №1000751414 განცხადება. განცხადების განხილვისას დადგინდა, რომ ჟ. ლ-ის მიმართ არსებობდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლი, შესაბამისად, მას უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვას გაცემის სააგენტო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელს, რომელსაც აქვს ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე სახის ბინადრობის ნებარ-

თვა, უფლება აქვს, სხვა სახის ბინადრობის ნებართვის მისაღებად სააგენტოს მიმართოს, თუ იგი შესაბამისი სახის ბინადრობის ნებართვის გასაცემად დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მითითებული კანონის მე-15 მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაცივმა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტს. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი კი უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად, ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ

პუნქტზე, რომლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, საქართველოს მოქალაქეობის, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომლის თანახმად „სახელმწიფო უფლებამოსილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად შეიმუშაოს სათანადო საიმეგრაციო პოლიტიკა და განსაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შესვლის, დროებით ან მუდმივად ყოფნის პირობები და წესი. საიმეგრაციო საკითხების რეგულირებისას, მათი პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლება ფართო მიხედულების ზღვრით სარგებლობს.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოსა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს შორის, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, არსებობს განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირი, რაც მრავალ ასპექტში გამოიხატება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). „საქართველოში მცხოვრები უცხოელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფოსთან, ისინი წარმოად-

გენენ ქართული საზოგადოების წევრებს და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ინტენსიურად ექცევიან საქართველოს სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ნორმატიული წესრიგის ფორმირება, როგორც წესი, საქართველოს მოქალაქის თანაბრად ახდენს გავლენას მათ საქმიანობაზე, არსებობასა და განვითარებაზე. დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემას. საზოგადოების წევრებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. სწორედ საქართველოში მცხოვრები უცხოელის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს იმას, რომ კონსტიტუციამ მათ განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის კონტექსტში მნიშვნელოვნად გაუთანაბრა საქართველოს მოქალაქეებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონცისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-94,95).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესია უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სათანადოდ დაცვა. ამგვარად, სწორედ სახელმწიფოა უფლებამოსილი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ რა ფორმით დააარეგულიროს უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი სახელმწიფოში. აღნიშნული ინტერესების დაცვის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტიც, რომელიც მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაზე ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან, ხოლო „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად კი იგი ვალდებულია, რომ ინფორმაცია გამოითხოვოს შესაბამისი ორგანოებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს მსჯელობაზე, რომ „კონსტიტუციური უფლებების... შეზღუდვის შეფასების საზომი, თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზლუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაძეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსაყენად, უფლებამოსილი და რიგ შემთხვევებში ვალდებულია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებე-

ბისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი და ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ამის საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში, სამართალწარმოება ემსახურება იმის გამორკვევას, ჟ. ლ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა აღნიშნული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიება, რამეთუ მოსარჩელის სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციის ფაქტი იმთავითვე არ ქმნიდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის ვალდებულებას, რამდენადაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის შედეგად.

2022 წლის 7 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიმართა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 25 ივნისის №1000751414 გადაწყვეტილებით ჟ.ლ-ის (დაბ.: ... ნ., ...მი, პასპორტის ნომერი: ...) „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 24 ივნისის №SSG 4 21 00082905 წერილი, რომლითაც სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ჟ.ლ-ისთვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 7 სექტემბრის მიმართვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ეთხოვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის წარმოედგინა ინფორმაცია/მასალები (მათ შორის საიდუმლო), რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 24 ივნისის №SSG 4 21 00082905 წერილის გაცემას და მოსარჩელისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მიცემის მიზანშეუწონლად მიჩნევას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის პირველი მუხლის თანახმად კონტრდაზვერვით საქმიანობად მიიჩნევა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები, და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არსებითია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

სასამართლო მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ (*Lupsa v. Romania*, №10337/04). აღნიშნულ საქმეზე, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით, მომჩივნის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძევებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძვლით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (*Lupsa v. Romania*, №10337/04, §39, 08 ივნისი 2006). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტწილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზეა დამოკიდებული. საფრთხეები, რომ-

ლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა რთულია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა წაერთვას თვითნებობის გამოძირიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ სადავო ღონისძიება ზედმინევნით უნდა გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია (იქვე, 37-38).

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 25 ივნისის №1000751414 გადაწყვეტილების კანონიერების შესამოწმებლად, საკასაციო პალატამ კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია, რომელიც მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ნებართვის მისაღებად დამაბრკოლებელი აღმოჩნდა. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონტრდაზვერვის სახელმწიფო სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ბუნების (სახელმწიფო საიდუმლოება) გათვალისწინებით, სასამართლო უფლებამოსილი არ არის გადაწყვეტილებაში ასახოს მისი შინაარსი. საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების გაცნობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის არსებობის პირობებში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიიღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაცია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად ქმნის მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჟ.ღ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა,

რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ჟ.დ-ის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოპასუხის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (150+300) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ჟ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ჟ. დ-ის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს მოპასუხის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-920(კ-21)

22 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: ბინადრობის ნებართვის გაცემა და მოქმედების
ვადის გაგრძელება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ხ-მა 23.04.2020წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სა-
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ საა-
გენტოს 03.04.2020წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და მოკ-
ლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მოპასუხის-
თვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის ირანის ისლამური რესპუბლი-
კის მოქალაქე და საქართველოში საკუთრებაში ერიცხება ქ. თბი-
ლისში, ...ის ქ. №9 კორპუსში მდებარე №36 ბინა. ამ ქონების მოსარ-
ჩელის საკუთრებაში ყოფნის ფაქტის გათვალისწინებით ა. ხ-ის სა-
ხელზე ორჯერ იყო გაცემული მოკლევადიანი ბინადრობის ნებარ-
თვა, მის სახელზე გაცემული იყო აგრეთვე შრომითი ბინადრობის
ნებართვაც. მოსარჩელე აკმაყოფილებს მოკლევადიანი ბინადრო-
ბის ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ წინა-
პირობებს. გაურკვეველია სადავო აქტის გამოცემის ფაქტობრივი
და სამართლებრივი საფუძვლები, მოსარჩელის მოთხოვნის დაკ-
მაყოფილებაზე უარის თქმა მოხდა საქმის გარემოებათა სათანა-
დო გამოკვლევის გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 28.07.2020წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმა-
ყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ხ-ს საკუთ-
რებაში ერიცხება ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №32, №9 კორპუსში მდე-
ბარე 45.45 კვ.მ. ფართის №36 ბინა, რომელიც შპს „ი...ის“ 11.06.2018

ნ. დასკვნის თანახმად შეფასებულია 47 000 აშშ დოლარად. ა. ხ-მა 17.03.2020წ. განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზნით. სააგენტომ 18.03.2020წ. წერილით ინფორმაცია გამოითხოვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან ა. ხ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების შესახებ. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 27.03.2020წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ა. ხ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 03.04.2020წ. გადაწყვეტილებით ა. ხ-ს, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება 100 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტს აღემატება. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. საქართველოს მთავრობის 01.09.2014 წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“¹² მუხლი განსაზღვრავს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოპოვების საკითხის განხილვისათვის საჭირო საბუთების ნუსხას. „წესის“ მე-

13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააგენტომ შეამოწმა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და მიღებული ინფორმაციის შედეგად, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლომ მიუთითა „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის პირველ, მე-6, მე-7 მუხლებზე და აღნიშნა, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 27.03.2020წ. წერილით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. სასამართლომ მიუთითა სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, მე-6, მე-7 მუხლებზე და აღნიშნა, რომ უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სააგენტოს ენიჭება ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თავად მიიღოს გადაწყვეტილება პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დადასტურდა „შეცდომა დისკრეციაში“ – დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილება ან/და იმ მიზნის უგულებელყოფა, რის მისაღწევადაც მას მინიჭებული აქვს იგი. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეს „ლუპსა რუმინე-

თის წინააღმდეგ“ (Lupsa v. Romania, განაცხადი no 10337/04), რომლითაც პროკურატურის ბრძანებით განმცხადებლის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა არასასურველად გამოცხადდა და ის უნდა დაეპორტირებულიყო რუმინეთიდან იმ საფუძვლით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული საიდუმლო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (§39). ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული უშიშროების საფრთხე განსხვავდება ხასიათისა და ბუნების მიხედვით და ამიტომ წინასწარ რთული განმსაზღვრელია (§37), თუმცა უშიშროების მოსაზრებაზე დაყრდნობით პირს არ უნდა წაერთვას თვითნებობის წინააღმდეგ ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ღონისძიება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ. პროკურატურას ეროვნული სასამართლოსთვის იმ დანაშაულის შესახებ, რომლის ჩადენაშიც განმცხადებელი იყო ეჭვმიტანილი, დეტალები არ უცნობებია და სასამართლო არ გასცდენია პროკურატურის ვარაუდებს და არ შეუშინებია მართლა წარმოადგენდა თუ არა განმცხადებელი საფრთხეს უშიშროებისათვის (§41), ვინაიდან განმცხადებელს არ მიუღია აღმასრულებელი ხელისუფლების საგან და ეროვნული სასამართლოსაგან მინიმალური დაცვა თვითნებობის წინააღმდეგ. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები. შესაბამისად, სააგენტო მოკლებული იყო გასაჩივრებული გადანყვეტილების გამოცემისას წერილის საფუძვლად მითითებული გარემოებებისა და დოკუმენტაციის შემოწმების შესაძლებლობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მართებულია სააგენტოს სადავო გადანყვეტილების მოტივირება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით. ამასთან, სასამართლო გაეცნო კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად. ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს, ამასთან, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე ამ წინააღმდეგობა დახურულ სასამართლო სხდომაზე საიდუმლო ინფორმაციის შესწავლა და შემოწმება განხორციელდა კანონით დადგენილი წესით სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მი-

თითებულმა ფაქტებმა ასახვა ვერ ჰპოვა სასამართლო გადაწყვეტილებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.07.2020წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ა. ხ-ის მიერ. აპელანტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან კონტრაზვერვის დეპარტამენტის წერილი არის საიდუმლო, ხოლო სზაკ-ის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევის და ურთიერთშეჯერების შედეგად, სასამართლოს წარდგენილი აქვს სრულყოფილი ინფორმაცია მოსარჩელის შესახებ. აპელანტმა აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიმართ ოთხჯერ უპრობლემოდ გაცა ბინადრობის ნებართვა, ორჯერ-შრომითი, ხოლო ორჯერ-მოკლევადიანი. თუკი აქამდე არც ერთხელ არ არსებობდა ბინადრობის ნებართვისთვის გაცემის დამაბრკოლებელი გარემოება, გაუგებარია რა გარემოება გაჩნდა რამდენიმე თვეში პირის საფრთხის შემცველად მიჩნევისათვის. ნასამართლობის ცნობა ადასტურებს, რომ მოსარჩელე არ არის ძეხნილი ან პასუხისგებაში მიცემული. აპელანტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოსარჩელის საკუთრებაშია უძრავი ქონება, მდენარე თბილისი, ...ის ქ. №32 „ა“, კორპ. №9, ბ.№36, ფართით 45,45 კვ.მ., რომლის ღირებულება ოფიციალური შეფასებით შეადგენს 47 000 აშშ დოლარს, იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელეს არ მიეცემა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, ის ვერ ისარგებლებს საკუთრებით, პირს ვიდრე აქვს საკუთრებაში უძრავი ქონება, მას უფლება აქვს ჰქონდეს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რათა ჰქონდეს იმ ქვეყანაში კანონიერად ყოფნის უფლება, სადაც აქვს საცხოვრებელი ბინა. საქართველოში უცხოელთა უფლებები გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით. ნებართვის მოთხოვნის საფუძვლები დაცულ იქნა, სრულად იყო დაცული საქართველოს მთავრობის 01.09.14წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „წესის“ მოთხოვნები სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.06.2021წ. გადაწყვეტილებით ა. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.07.2020წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 03.04.2020წ. №1000707756 გადაწყვეტილება და სააგენტოს დაევალა ახალი ინ-

დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ა. ხ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ არ მისცა მათ სათანადო სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ორგანოდან გამოითხოვს ინფორმაციას საქართველოში პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ. სააგენტოს ამ ქმედების აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენოს კანონის მე-18 მუხლში მითითებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. სააგენტომ საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „ნესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამოწმა რა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და მიღებული ინფორმაციის შედეგად, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ. ამასთანავე, მითითებულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომელიც კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე დოკუმენტში ვერ აისახებოდა. პალატამ აღნიშნა, რომ უცხოელისათვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. პალატამ აღნიშნა, რომ პრიორიტეტულად მიიჩნევს სახელმწიფო და

საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხებს, თუმცა მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. პალატის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად. ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო წარდგენილი იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებული ფაქტები არ აისახა სასამართლო გადაწყვეტილებაში. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ა. ხ-ს არაერთხელ ჰქონდა ბინადრობის ნებართვა მიღებული: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 11.07.2018წ. გადაწყვეტილებით ა. ხ-ს 2018 წლის 12 ივლისიდან 2019 წლის 12 ივლისამდე მიეცა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა; სააგენტოს 30.05.2019წ. გადაწყვეტილებით ა. ხ-ს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაუგრძელდა 2020 წლის 31 მაისამდე. ამასთანავე, მოსარჩელე რამდენიმე წელია საქართველოში ცხოვრობს, საუბრობს ქართულ ენაზე, არის დასაქმებული, არასდროს ყოფილა ნასამართლევით და არც გამოძიების დაწყების შესახებ არსებობს რაიმე სახის მტკიცებულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა მოსარჩელისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.06.2021წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სააგენტომ ყურადღება გაამახვილა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების სამართლებრივ მნიშვნელობაზე, თანამდევ შედეგებზე და აღნიშნა, რომ ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან ყველაზე მისაღები გადაწყვეტილების შერჩევის შესახებ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის მიხედვით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის

მინიჭება, სააგენტო არ არის უფლებამოსილი გაეცნოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და რევიზია გაუწიოს მას. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის პირობებში სააგენტო მოკლებულია დადებითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. სადავო აქტი გამოცა ნორმატიულად დადგენილი წესების დაცვით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რიგი გარემოებები არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შეფასებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ა. ხ-ი არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც რამდენიმე წელია იმყოფება საქართველოში. ა. ხ-ს საკუთრებაში ერიცხება ქ. თბილისში, ...ის ქ. №32-ში, №9 კორპუსში მდებარე 45,45 კვ.მ. ფართის №36 ბინა. უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ შპს „ი...ის“ მიერ 2018წ. მომზადებული ანგარიშის მიხედვით (ხელმოწერილ გ. ც-ი), ა. ხ-ის საკუთრებაში რიცხული ფართი შეფასებულია 47 000 აშშ დოლარად (115 300 ლარად). დადგენილია აგრეთვე, რომ ა. ხ-ის სახელზე ორჯერ იყო გაცემული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, კერძოდ, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 11.07.2018წ. გადაწყვეტილებით ა. ხ-ის სახელზე გაიცა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა 2019 წლის 12 ივლისამდე მოქმედების ვადით, ხოლო სააგენტოს 30.05.2019წ. გადაწყვეტილებით ა. ხ-ს გაუგრძელდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა 2020 წლის 31 მაისამდე. 17.03.2020წ. ა. ხ-მა კვლავ მიმართა სააგენტოს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოპოვების მიზნით, თუმცა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 03.04.2020წ. სადავო გადაწყვეტილებით მოთხოვ-

ნა არ დაკმაყოფილდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით. სააგენტოს გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 27.03.2020წ. დასკვნა, რომლის მიხედვით კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული ა. ხ-ის სახელზე მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოში უცხოელის შემოსვლა თუ გარკვეული დროით ყოფნა, მათ შორის, საქართველოში მდებარე უძრავ ქონებაზე უცხოელის საკუთრების უფლების ქონის შემთხვევაში, არ არის აბსოლუტური უფლება, სათანადო საფუძვლების არსებობისას აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, ამ მიმართულებით სახელმწიფოს შეფასების ფართო ფარგლები აქვს, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საკითხი უკავშირდება სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას. ის, რომ სახელმწიფოს, მასზე დაკისრებული საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულებიდან გამომდინარე, აქვს თავის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, დარჩენის და ყოფნის ხანგრძლივობის კონტროლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა: კონვენცია არ ახდენს კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლისა და ყოფნის უფლების უზრუნველყოფას (იხ. მაგ. 20.06.2002წ. „Al-Nashif v. Bulgaria“ (§114), 06.12.2007წ. „Liu v. Russia“ (§49), 28.06.2011წ. „Nunez v. Norway“ (§66), 21.06.1988წ. „Berrehab v. the Netherlands“ (§28), 03.10.2014წ. „Jeunesse v. The Netherlands“ (§100), 13.12.2012წ. „De Souza Ribeiro v. France“ (§77), 24.04.1996წ. „Boughanemi v. France“ (§41) და სხვ.), შესაბამისად, ა. ხ-ის მიერ სააპელაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მისთვის გარანტირებული უნდა იყოს საქართველოში ბინადრობა, ვიდრე საკუთრებაში შესაბამისი უძრავი ქონება ერიცხება, საფუძველს მოკლებულია. სათანადო ნორმატიული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას უძრავი ქონების მესაკუთრე უცხოელზე ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, თუმცა სახელმწიფოს მიერ უცხოელთა მიმართ განხორციელებული ქმედებები სათანადო ნორმატიულ საფუძველს უნდა ეფუძნებოდეს. საქართველოში უცხოელთა შემოსვლის, ყოფნის და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეო-

ბის შესახებ“ კანონი, რომლის თანახმად საქართველოში შემოს-
ვლის და ყოფნის ერთ-ერთი საფუძველია ბინადრობის ნებართვა
(მე-5 მუხ. „ბ“ ქვ.პ.), მისი გაცემა ხდება საქართველოში კანონიერი
საფუძველით მყოფ უცხოელზე, უკეთუ იგი კანონით განსაზღვრულ
წინაპირობებს აკმაყოფილებს (14.1 მუხ.). კანონის მე-15 მუხლი ად-
გენს ბინადრობის სახეებსა და კონკრეტული სახის ბინადრობის
ნებართვის გაცემის ფორმალურ წინაპირობებს. კანონის მე-15 მუხ-
ლის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბინადრობის ნებართვის სახეებს
შორის სახელდება მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რომე-
ლიც გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორია-
ზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს სა-
კუთრების უფლება უძრავ ნივთზე, თუმცა მნიშვნელობა ენიჭება
უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას. ამასთანავე, ნორმის სხვა-
დასხვა დროს მოქმედი რედაქცია მოკლევადიანი ბინადრობის ნე-
ბართვის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ
წინაპირობად უცხოელის საკუთრებაში მყოფი უძრავი ნივთის სხვა-
დასხვა ღირებულებაზე უთითებდა. ა. ხ-ის სახელზე მოკლევადია-
ნი ბინადრობის ნებართვა თავდაპირველად გაიცა სააგენტოს
11.07.2018წ. გადანაცვტილებით. „უცხოელთა და მოქალაქეობის
არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანო-
ნის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის ამ პერიოდში მოქმედი რედაქ-
ციის მიხედვით მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემოდა
უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებ-
ლობით დადგენილი წესით ჰქონდა საკუთრების უფლება უძრავ
ნივთზე, რომლის საბაზრო ღირებულება 35000 აშშ დოლარს (ეკვი-
ვალენტს ლარში) აღემატებოდა. შეფასების დასკვნის მიხედვით,
ა. ხ-ის საკუთრებაში რიცხული ფართი 47 000 აშშ დოლარად იყო
შეფასებული, ამდენად, სააგენტოს 11.07.2018წ. გადანაცვტილება
მიღებულ იქნა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის
ნორმატიულად დადგენილი ფორმალური წინაპირობების გათვა-
ლისწინებით. ამის შემდგომ, ვინაიდან მოკლევადიანი ბინადრობის
ნებართვა 2019 წლის 12 ივლისამდე მოქმედებდა, ა. ხ-მა
01.05.2019წ. კვლავ მიმართა სააგენტოს, რომლის 30.05.2019წ. გა-
დანაცვტილებით ა. ხ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და მოსარჩე-
ლეს გაუგრძელდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმე-
დების ვადა. ა. ხ-ის მიერ სააგენტოში 01.05.2019წ. განცხადების
წარდგენისას, ასევე სააგენტოს მიერ ბინადრობის მოქმედების ვა-
დის გაგრძელების შესახებ 30.05.2019წ. გადანაცვტილების გამო-
ცემისას მოქმედი იყო კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის კვლავ
ის რედაქცია, რომელიც მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გა-
ცემის აუცილებელ წინაპირობად უცხოელის საკუთრებაში რიცხუ-

ლი უძრავი ნივთის მინიმალურ საბაზრო ღირებულებად 35 000 აშშ დოლარს ადგენდა. მართალია, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 30.05.2019წ. №4741 კანონით ნორმაში – მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტში შეტანილ იქნა ცვლილება და უძრავი ნივთის მინიმალურ საბაზრო ღირებულებად მიეთითა 100 000 აშშ დოლარი, თუმცა აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან 31-ე დღეს (30.05.2019წ. №4741 კანონის მე-3 მუხ.), ხოლო მისი ოფიციალური წესით გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე 05.06.2019წ. მოხდა. ამდენად, ა. ხ-ისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ამოქმედდა კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის ახალი რედაქცია, რომელიც მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის აუცილებელ წინაპირობად უცხოელის საკუთრებაში რიცხული უძრავი ნივთის მინიმალურ საბაზრო ღირებულებად 100 000 აშშ დოლარს ადგენდა. ნორმის სწორედ ამ რედაქციის მოქმედების პირობებში – 17.03.2020წ. ა. ხ-მა კვლავ მიმართა სააგენტოს, თუმცა საქმის მასალებით ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება განმცხადებლის მოთხოვნა, გაურკვეველია ა. ხ-ი ითხოვდა ბინადრობის მოქმედების ვადის გაგრძელებას თუ ბინადრობის ნებართვის გაცემას. გასათვალისწინებელია, რომ სააგენტოს 30.05.2019წ. გადაწყვეტილებაში, რომლითაც მოსარჩელეს ბინადრობის ნებართვის ვადა გაუგრძელდა, მითითებული იყო, რომ ა. ხ-ი ითხოვდა სახელდობრ ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებას (და არა ბინადრობის ნებართვის გაცემას). ა. ხ-ის 17.03.2020წ. განცხადებაზე მიღებულ იქნა სააგენტოს სადავო 03.04.2020წ. გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სააგენტომ იმსჯელა ა. ხ-ისთვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე, გადაწყვეტილების პირველი პუნქტის მიედვით, არ დაკმაყოფილდა ა. ხ-ის განცხადება მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. ამდენად, ირკვევა, რომ ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ბინადრობის ნებართვის გაცემის ნორმატიულად დადგენილი გამიჯვნის პარალელურად, პრაქტიკაშიც ხდება მათი დიფერენცირება და სააგენტოსათვის მიმართვისას შესაძლებელია ბინადრობის ნებართვის მოქმედების გაგრძელების ან ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნა. სადავო აქტის მიხედვით, ა. ხ-მა მოითხოვა არა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება, არამედ ახალი მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა (სადავო აქტის მიხედვით სააგენტომ განიხილა განცხადება საქართველოში მოკლევად-

დიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე, გადანყვეტილების 1-ლი პუნქტის თანახმად განმცხადებელს უარი ეთქვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვაზე). ამასთანავე, ამ კუთხით მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქმეში დაცული 17.03.2020წ. განცხადების სამახსოვრო ბარათის მიხედვით, სააგენტოში ა. ხ-ის მიერ წარდგენილ განცხადებაზე თანდართული არ ყოფილა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დამდგენი დოკუმენტი.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 17.10 მუხლის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადანყვეტის წესის“ სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი რედაქციის (ისევე როგორც ამჟამად მოქმედი რედაქციის) მიხედვით, ერთმანეთისაგან იმიჯნებოდა ბინადრობის ნებართვის მიღების და ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით უცხოელის მიერ წარდგენილი განცხადება, „წესის“ 3.1 მუხლის თანახმად, უცხოელი განცხადებით მიმართავდა სააგენტოს ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით. ბინადრობის ნებართვის მიღებისა და გაგრძელების შესახებ უცხოელის მოთხოვნები იმიჯნებოდა აგრეთვე „წესის“ სხვა ნორმებშიც, მაგ.: 3.11, 3.2, 3.3, 13.3 მუხ.. ამდენად, სააგენტოსთვის მიმართვისას უცხოელის განცხადებაში სათანადოდ უნდა ყოფილიყო ფორმულირებული მისი მოთხოვნა, უნდა დადგენილიყო უცხოელი ითხოვდა ახალი ბინადრობის ნებართვის გაცემას თუ მის სახელზე უკვე გაცემული ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებას. აღნიშნულ გარემოებას მნიშვნელობა ენიჭებოდა სააგენტოში წარსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის კუთხით. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად უცხოელს სააგენტოში უნდა წარედგინა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ნივთზე, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარს, უცხოელის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე ნივთის საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი (12².1 მუხ. „დ“, „ე“ ქვ.პ.), ბინადრობის მოსაპოვებლად საჭირო ყველა დოკუმენტი წარდგენილი უნდა ყოფილიყო განცხადებასთან ერთად (13.1 მუხ.), თუმცა დაშვებული იყო გამონაკლისიც, კერძოდ, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებისას თუ უცხოელი ინარჩუნებს სა-

კუთრებას იმ უძრავ ნივთზე, რომლის საფუძველზეც გაცემულ იქნა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, იგი თავისუფლდებოდა უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების ხელახალი შეფასების წარდგენის ვალდებულებისგან (15.7 მუხ.). ამდენად, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით წარდგენილ განცხადებას თან უნდა დართოდა ქონების საბაზრო ღირებულების დამდგენი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნილი იყო მხოლოდ ბინადრობის ნებართვის მოქმედების გაგრძელება. გარდა ამისა, უცხოელის მოთხოვნის ზუსტ იდენტიფიცირებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების ფორმალური წინაპირობების კონტექსტში, რადგან როდესაც განცხადებით მოთხოვნილია ბინადრობის ნებართვის გაცემა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია იხელმძღვანელოს განცხადების წარდგენისას მოქმედი კანონმდებლობით, ხოლო გაცემული ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლოა არ არსებობდეს ასეთი საჭიროება, რადგან საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „ნესის“ სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი რედაქციის 15.7 მუხლის მიხედვით, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა გრძელდებოდა იმავე პირობებით, რომლებითაც გაიცა იგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა ა. ხ-ის ის მოთხოვნა, რომელზეც სააგენტოს სადავო აქტი იქნა გამოცემული. უკეთუ ა. ხ-ი ითხოვდა ახალი ბინადრობის ნებართვის გაცემას, როგორც ეს სადავო აქტშია მითითებული, მაშინ მის მიერ სააგენტოში წარდგენილ განცხადებას უნდა დართოდა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დამდგენი დოკუმენტი, რაც არ წარდგენილა, ამავდროულად განცხადება სააგენტოს მიერ დაუბრკოლებლად იქნა წარმოებაში მიღებული, მასზე რაიმე ფორმალური ხარვეზი არ დაფიქსირებულა. ამდენად, საქმეში დაცული მასალებიდან ერთმნიშვნელოვნად ვერ დგინდება ა. ხ-ის მიერ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადების შინაარსი, მისი მოთხოვნის ფორმულირება, სააგენტოში განცხადება წარდგენილია ფორმულარის შევსების გზით, რომელშიც მონიშნულია განმცხადებლის დაინტერესებაში მყოფი ბინადრობის ნებართვის სახე, თუმცა არ არის აღნიშნული ბინადრობის ნებართვის ამ სახესთან მიმართებით განმცხადებლის მოთხოვნა, რის გამო საკასაციო პალატა მოკლებულია საკითხის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას. სააპელაციო სამართლოს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის შედეგად უნდა გამოერკვია აღნიშნული გარემოება და ეხელმძღვა-

ნელა სათანადო ნორმატიული მოწესრიგებით. უკეთუ ა. ხ-ი მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემას და არა მოქმედების ვადის გაგრძელებას ითხოვს, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს 17.03.2020წ. განცხადების წარდგენისას და სადავო 03.04.2020წ. აქტის გამოცემისას მოქმედი ნორმის რედაქცია, რომლის თანახმად, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემოდა საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ნივთის (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატებოდა 100 000 აშშ დოლარს (და არა 35 000 აშშ დოლარს), მესაკუთრე უცხოელზე. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენდა სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხ. „კ“ ქვ.პ.). ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მართალია, საქმეში დაცულია „შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიკაციის ორგანოს“ მიერ შემფასებლის გ. ც-ის შესაბამისობის სერტიფიკატი, თუმცა არ გამოკვლეულა თავად სერტიფიკატის გამცემი სუბიექტი – „შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიკაციის ორგანო“ რამდენად იყო უფლებამოსილი პირის – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურა, სააგენტოში წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შემოწმება პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველ ეტაპზე უნდა დადგინდეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნათა დაცულობა, როგორებიცაა: უფლებამოსილი პირის მიერ განცხადების წარდგენა, სააგენტოში განცხადების კანონით დადგენილი ფორმით შეტანა, ასევე ბინადრობის ნებართვის კონკრეტული სახის გაცემისთვის საჭირო კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარდგენა. უკეთუ აღნიშნული წინაპირობები სახეზეა და არ არსებობს ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ფორმალური საფუძვლები, განცხადება პირობითად გადადის მეორე ეტაპზე და მოწმდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფის საკითხებს. საკასა-

ციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ უკეთეს სააგენტოში წარდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებს ნორმატიულად დადგენილ ფორმალურ წინაპირობებს, აღნიშნული დამოუკიდებლად ქმნის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს (კანონის 18.1 მუხ. „ი“ ქვ.პ.) ისე, რომ შემოწმებას აღარ საჭიროებს განცხადების შინაარსობრივი მხარე, კონკრეტულ პირზე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობა, ბინადრობის ნებართვის გაცემის გავლენა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა თუ წესრიგის დაცვაზე. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატას არ დაუდგენია ა. ხ-ის მოთხოვნა, აღნიშნულმა თავის მხრივ, გამოიწვია იმ ნორმატიული მოთხოვნების დაუდგენლობა, რომელთა შესაბამისიც უნდა ყოფილიყო ა. ხ-ის 17.03.2020წ. განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, შესაბამისად, ვერ ირკვევა აგრეთვე კონკრეტულ შემთხვევაში ნორმატიულად დადგენილ ფორმალურ მოთხოვნათა დაცულობა. უკეთეს დადგინდება, რომ ა. ხ-ის 17.03.2020წ. განცხადება არ შეესაბამებოდა ნორმატიულად დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, აღნიშნული წარმოშობდა მოსარჩელის განცხადებასთან მიმართებით ნეგატიური სამართლებრივი შედეგის დადგომის საფუძველს, რაც გამოიწვია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველების არსებობის დასადაგენად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან ინფორმაციის გამოთხოვის საჭიროებას.

განსახილველ შემთხვევაში, ა. ხ-ის განცხადების ნორმატიულად დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე მსჯელობის გარეშე, სააპელაციო პალატამ შეაფასა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნა და მიიჩნია, რომ არ არსებობდა ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი საფუძველები. პალატამ მიუთითა აგრეთვე იმ გარემოებებზე, რომ მოსარჩელეს არაერთხელ ჰქონდა მიღებული ბინადრობის ნებართვა, იგი რამდენიმე წელია ცხოვრობს საქართველოში, საუბრობს ქართულ ენაზე, არის დასაქმებული და ნასამართლევი არასდროს ყოფილა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარსულში უცხოელის სახელზე ბინადრობის ნებართვის გაცემა იმთავითვე არ გულისხმობს უცხოელის ყოველი შემდგომი მოთხოვნის დაკმაყოფილების სავალდებულობას. მართალია, როდესაც სახელმწიფო უცხოელს ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას აძლევს, ამით სახელმწიფო უშვებს უცხოელის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის, მის მიერ ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობას, თუმცა აღნიშ-

ნული არ ავალდებულებს სახელმწიფოს მუდმივად აცხოვროს ასეთ ურთიერთობებში მყოფი უცხოელი თავის ტერიტორიაზე და მსგავს სიტუაციაში ადამიანებს ზოგადად არ უნდა ჰქონდეთ ბინადრობის ნებართვის მიღების მოლოდინი. ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს ინდივიდის და მთლიანი საზოგადოების დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიან ბალანსზე (03.10.2014წ. „Jeunesse v. the Netherlands“ (§103, 106)). შესაბამისად, ის გარემოება, რომ ა. ხ-ს შენარჩუნებული აქვს საკუთრება უძრავ ნივთზე, არ გულისხმობს სააგენტოს ვალდებულებას დააკმაყოფილოს მისი განცხადება ყოველი შემდგომი მოთხოვნისას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ უარი არ იყოს თვითნებური და ეფუძნებოდეს შესაბამის დასაბუთებას, კონტროლის სფეროდან აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება არ გამოირიცხება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ დასაბუთებისას მან ტერმინი „ეროვნული უშიშროება“ მოიშველია (20.06.2002წ. „Al-Nashif v. Bulgaria“ (§121), 24.04.2008წ. „C.G. and others v. Bulgaria“ (§40, 43, 57)). ბინადრობის გაცემის ვალდებულებას არ წარმოშობს აგრეთვე ა. ხ-ის მიერ დანაშაულის ჩაუდენლობა, საქართველოში დასაქმებისა და ცხოვრების ფაქტი. აღნიშნულ გარემოებებს შესაძლოა მნიშვნელობა მიენიჭოს საქმის გარემოებათა ერთობლივი შეფასების კონტექსტში, ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის დასაბუთების საკითხზე მსჯელობისას, საჯარო და კერძო ინტერესთან ურთიერთშეპირისპირებისას, თუმცა ამ გარემოებათა არსებობა იმთავითვე არ გამოირიცხავს უცხოელის მიერ წარდგენილი განცხადების მოთხოვნის კონკრეტულად იდენტიფიცირებისა და კანონთან შესაბამისობის დადგენის საჭიროებას.

კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის პირობებში სააგენტო ვერ მიიღებდა დადებით გადაწყვეტილებას, რადგან მოკლებულია დეპარტამენტის დასკვნის გაცნობისა და რევიზიის შესაძლებლობას, არ ასაბუთებს სადავო აქტის კანონიერებას, რადგან „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონით დადგენილია სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების წესი, კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო საიდუმლოებასთან როგორც სახელმწიფო ორგანოს, ასევე ინდივიდუალური დაშვების უზრუნველყოფას (მე-19, მე-20 მუხ.). სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს დაშვება გაიცემა იმ სახელმწიფო ორგანოზე, დაწესებულებაზე, რომელსაც აქვს ფიზიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული შესაძლებლობა სათანადოდ მოეპყრას სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას და აქვს ასეთი ინფორმაციის გაცნობის საჭიროება (19.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში ბინადრო-

ბის ნებართვის გაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 14.1 მუხ.) და არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომლის დასკვნაც არის სააგენტოს გადაწყვეტილების განმსაზღვრელი ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფაქტორი. სააგენტოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება არ გულისხმობს გადაწყვეტილების საქმის გარემოებათა სათანადო გამოკვლევის გარეშე მიღების შესაძლებლობას. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის განმარტება ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ კონკრეტული საიდუმლო ინფორმაციის დამუშავებას ემყარება, შესაბამისად, სააგენტო ვალდებულია მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების ფარგლებში, თავის უფლებამოსილებათა კანონშესაბამისად შესასრულებლად, განახორციელოს სათანადო მოქმედებები შესაბამისი დასკვნის შინაარსთან დაშვების უზრუნველყოფის მიზნით (სუსგ 06.04.2023წ. №ბს-631(კ-21), 26.01.2023წ. №ბს-1190(კ-21), 26.01.2023წ. №ბს-115(კ-22)), თუმცა აღნიშნული ქმედებების განხორციელების საჭიროება დგება მხოლოდ უცხოელის მიერ წარდგენილი განცხადების ფორმალური გამართულობის შეთხვევაში, რომელიც სააგენტომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან ინფორმაციის გამოთხოვამდე უნდა გადაამოწმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააგენტომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან შესაძლოა გამოითხოვოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მას გადაწყვეტილების მისაღებად რეალურად არც სჭირდება, რაც ადმინისტრაციული ორგანოების რესურსების დაუსაბუთებელ ხარჯვასა და განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღების პერიოდის უსაფუძვლო გახანგრძლივებას გამოიწვევს. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ კანონით დადგენილ წინაპირობებთან განცხადების შეუსაბამობა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს ქმნის და უცხოელის საქართველოში ყოფნის მიზანშეუწონლობის საკითხის გამორკვევას აღარ საჭიროებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის გადაწყვეტისას მიზანშეუწონილობის ასპექტებზე მსჯელობის საჭიროება დგება კანონიერების ასპექტის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ. ამდენად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაცული, ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძველად არსებული ინფორმაციის შეფასება დღის წესრიგში დადგება ა. ხ-ის განცხადების ნორმატიულად დადგენილ წინაპირობებთან შესაბამისობის დადასტურების შემდეგ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტები ბინადრობის ნებართვის თითოეულ სახესთან მიმართებით ადგენს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომელთაც უცხოელის მიერ სააგენტოში წარდგენილი განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს. ამ მოთხოვნათა დაუცველობის, საჭირო დოკუმენტაციის სააგენტოში წარუდგენლობის ნეგატიური სამართლებრივი შედეგები სწორედ დაინტერესებული პირის პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია 17.03.2020წ. ა. ხ-ის მიერ სააგენტოსთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით მიმართვის ფაქტი, ასევე დადგენილად ჩაითვალა, რომ არსებობდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის საფუძვლები. ამის მიუხედავად სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნის წარდგენისას მოქმედ ნორმატიულ მონესრიგებაზე, თუმცა მოახდინა კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის 17.03.2020წ. განცხადების წარდგენისას მოქმედი რედაქციის ციტირება, რომელიც უცხოელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მინიმალურ ფასად 100 000 აშშ დოლარს და არა 35 000 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარში) ასახელებს. ამასთანავე, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას ბინის 47000 აშშ დოლარად შეფასების შესახებ. ამდენად, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ისეთი ფაქტობრივი გარემოებები და გამოიყენა ისეთი ნორმატიული მონესრიგება, რომელთა ერთობლივი შეფასებაც გადანყვეტილებით დამდგარ სამართლებრივ შედეგს – სარჩელის დაკმაყოფილებას გამოორიცხავდა, რადგან თუ ა. ხ-ი უძრავი ნივთის საკუთრებაში ყოფნის საფუძვლით მოითხოვდა არა გაგრძელებას, არამედ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემას, როგორც ამას მოსარჩელე და ქვედა ინსტანციის სასამართლოები უთითებენ, მაშინ ამ პერიოდში მოქმედი ნორმატიული მონესრიგების გათვალისწინებით, განცხადების დასაკმაყოფილებლად ა. ხ-ის საკუთრებაში არსებული ფართის საბაზრო ღირებულება უნდა ყოფილიყო 100 000 აშშ დოლარზე მეტი, თუმცა ა. ხ-ის საკუთრებაში რიცხული ფართი 47 000 აშშ დოლარად იყო შეფასებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადანყვეტილება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ასახული მოსაზრებები არ ასაბუთებს საქმეზე დამდგარ სამართლებრივ

შედეგს, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს ქმნის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით, 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.06.2021წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-67(კ-22)

05 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ს. დ. ბ-ამ 29.11.2019წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 20.11.2019წ. №1000630020 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და მოპასუხისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზნით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში წარადგინა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი. სააგენტომ განცხადება განიხილა ნორმატიულად დადგენილი წესების დარღვევით, მოსარჩელე არ ყოფილა ჩართული ადმინისტრაციულ წარმოებაში, ამასთანავე, სადავო აქტი გამოცემულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე, სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების მითითებების უგულვებელყოფით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.02.2020წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 20.11.2019წ. №1000630020 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ს. დ. ბ-ასათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალება იმთავითვე არ გულისხმობს წარმოების ხელახლა ჩატარების შედეგად მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მოპასუხის მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა მოხდეს სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტი გამოცემულ იქნა სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების უგულვებელყოფით, სააგენტოს მიერ რაიმე დამატებითი გარემოებების კვლევა თუ მტკიცებულებათა შეფასება არ დგინდება, მან მხოლოდ ხელახლა გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან. სასამართლოს მოსაზრებით, უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას შეადგენს, თუმცა ეს არ ათავისუფლებს მას საქმის გარემოებათა სათა-

ნადოდ გამოკვლევისა და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებისაგან. სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ პრიორიტეტულად მიიჩნევს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, თუმცა მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული. კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის გაცნობის შედეგად სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დადასტურდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.02.2020წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.2021წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.02.2020წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 22.11.2017წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მიეცა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა 2018 წლის 24 ნოემბრამდე მოქმედების ვადით. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, მოსარჩელის საკუთრებაშია ბათუმში, ...ის ქუჩა №15ბ-ში, მე-7 სართულზე მდებარე ფართი, რომლის საბაზრო ღირებულება შპს „შ...ის“ დასკვნის თანახმად შეადგენს 161 214,24 ლარს. ს. დ. ბ-ამ 19.09.2018წ. განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 23.09.2018წ. წერილით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისაგან მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძვლების გამოსავლენად. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 02.10.2018წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ს. დ. ბ-ასთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 18.10.2018წ. გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ს. დ. ბ-ას უარი ეთქვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, რაც სასამართლოში გა-

საჩივრდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.01.2019წ. გადაწყვეტილებით ს. დ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 18.10.2018წ. გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ამ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 22.04.2019წ. წერილით განმეორებით გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისაგან მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძვლების გამოვლენის მიზნით. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 22.05.2019წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, დეპარტამენტს ს. დ. ბ-ასთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნდა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 23.05.2019წ. გადაწყვეტილებით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ს. დ. ბ-ას უარი ეთქვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, რაც სასამართლოში გასაჩივრდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.07.2019წ. გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 23.05.2019წ. გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 04.11.2019წ. წერილით ხელახლა გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისაგან მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძვლების გამოვლენის მიზნით. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 09.11.2019წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად

მიაჩნდა ბინადრობის ნებართვის გაცემა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 20.11.2019წ. №1000630020 გადაწყვეტილებით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ს. დ. ბ-ას უარი ეთქვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლზე, მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტზე, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე, საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-3, მე-12² მუხლებზე, მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე, სსკ-ის მე-10 მუხლებზე, ყურადღება გაამახვილა სასამართლოს აქტების შესრულების სავალდებულობაზე და აღნიშნა, რომ სააგენტოს სადავო აქტი მიღებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, თუმცა იგი არ შეიცავს რაიმე მითითებას ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომელთა გამოკვლევის შედეგად კვლავ უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. სადავო აქტის გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 09.11.2019წ. წერილი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტური ორგანოს დასკვნაა. აღნიშნულ დოკუმენტს საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომელიც კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სრულად დასკვნაში ვერ აისახებოდა. სააპელაციო პალატა მიუთითა სზაკ-ის მე-6, მე-7 მუხლებზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მინიჭებული აქვს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, პირისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გა-

ცემის საკითხთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღებისას. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადანყვეტილებით სააგენტოს დავალებული ჰქონდა სადავო საკითხის გადანყვეტა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, თუმცა მოპასუხემ სადავო აქტი მხოლოდ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის გათვალისწინებით გამოსცა, რომლითაც მიზანშეუწონლად არის მიჩნეული ს. დ. ბ-ასთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის გაცნობის შედეგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა მოსარჩელის მხრიდან ქვეყნის უშიშროებისთვის საფრთხის შექმნის თაობაზე საფუძვლიან ვარაუდს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარდგენილია მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებული ფაქტები არ აისახა სასამართლო გადანყვეტილებაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი მართებულიად დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.2021წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ. კასატორმა ყურადღება გაამახვილა ბინადრობის ნებართვის სამართლებრივ მნიშვნელობასა და მისი გაცემის თანამდევ შედეგებზე, უცხოელებთან მიმართებით სახელმწიფოს ვალდებულებებზე. კასატორი თვლის, რომ ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს საჯარო და კერძო ინტერესების მხედველობაში მიღებით კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან ყველაზე მისაღები გადანყვეტილების შერჩევის დისკრეციულ უფლებამოსილებას. სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა „უცხოელთა და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი, თუმცა არასწორად განმარტა იგი. სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, ადმინისტრაციული ორგანო გამოითხოვს მტკიცებულებებს, რაც ხდება გადანყვეტილების მიღების საფუძველი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს არ აქვს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონ-

ტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის გაცნობის და რევიზიის უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში, სააგენტომ ნორმატიულად დადგენილი პროცედურების დაცვით, მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთი უფლებამოსილი ორგანო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტია. სააგენტოს მოსაზრებით, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის პირობებში სააგენტოს არ შეეძლო განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, რადგან ვერ მოიპოვებდა განსხვავებულ მტკიცებულებებს.

საკასაციო პალატაში წარმოდგენილ წერილობით მოსაზრებაში ს. დ. ბ-ამ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს ჯერ კიდევ 2017 წელს მიენიჭა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა 2018 წლის 24 ნოემბრამდე მოქმედების ვადით, 2018 წლის სექტემბერში მოსარჩელემ კვლავ მოითხოვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა, რა დროსაც სსიპ სახელმწიფო სერვისების სააგენტომ გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, რომელმაც მიზანშეუწონლად მიიჩნია მოსარჩელისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა. ს. დ. ბ-ა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ამ პერიოდში ძალაში იყო მისთვის 2017 წელს მინიჭებული ბინადრობის ნებართვა, რომლის ძალადაკარგულად გამოცხადება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის საჭიროების მოტივით არ მომხდარა. სადავო აქტი გამოცემულ იქნა სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებების მითითებების უგულვებელყოფით, სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევა, რაც სააგენტოს მიერ არ შესრულდა. ს. დ. ბ-ას სარჩელის საფუძველზე მიმდინარე ორ სასამართლო დავაში სასამართლომ გამოითხოვა და გაცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ და მიიჩნია, რომ დასკვნა დაუსაბუთებელი იყო, სათანადოდ არ დგინდებოდა მოსარჩელის საქართველოში ყოფნით ქვეყ-

ნის უშიშროებისთვის საფრთხის შექმნა. სასამართლომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციაში სავარაუდოდ ვერ ამოიკითხა ისეთი გარემოებები, რომლებიც მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის გონივრულ ეჭვს მილმა სტანდარტს მაინც დააკმაყოფილებდა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სააგენტო მიზანმიმართულად არ ატარებს სრულყოფილ ადმინისტრაციულ წარმოებას, რითიც არღვევს ბინადრობის მაძიებელთა უფლებებს. სასამართლოს სააგენტოსთვის არ დაუვალებია კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნაში მითითებული მონაცემების გადამოწმება თუ გაბათილება. მოსარჩელემ მიუთითა საქმეზე „ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ“ და აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების მიხედვით, როდესაც საქმე ეხება პირის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას, ხელისუფლებისადმი მინიჭებული სამართლებრივი დისკრეცია შეუზღუდავი არ არის, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ადეკვატური და ქმედითი დაცვის საშუალებები დისკრეციის ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად. აღნიშნულ საქმეზე უფლების დარღვევა იქნა დადგენილი, რადგან განმცხადებელს არ მიენოდა რაიმე ინფორმაცია დეპორტაციის საფუძვლებთან დაკავშირებით, ხოლო სასამართლო განხილვას ჰქონდა ფორმალური სახე, განმცხადებელმა ვერ ისარგებლა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გამოვლენილი თვითნებობისაგან მინიმალური დაცვით.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 22.11.2017წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მიეცა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა 2018 წლის 24 ნოემბრამდე მოქმედების ვადით. 19.09.2018წ. ს. დ. ბ-ამ განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 23.09.2018წ. წერილით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისაგან მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძვლების გა-

მოსავლენად. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 02.10.2018წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 18.10.2018წ. გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ს. დ. ბ-ას უარი ეთქვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, რაც სასამართლოში გასაჩივრდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.01.2019წ. გადაწყვეტილებით ს. დ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 18.10.2018წ. გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემაზე სადავო უარი ეფუძნებოდა მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილს, უარის თქმის სხვა საფუძვლების არსებობა ორგანოს არ გამოუკვლევიან, უგულვებელყოფილ იქნა მოსარჩელის საკუთრებაში უძრავი ქონების აღრიცხვის ფაქტი, შედეგად სადავო აქტი არ იქნა მიღებული საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის შედეგად. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 22.04.2019წ. წერილით განმეორებით გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისაგან მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძვლების გამოვლენის მიზნით. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 22.05.2019წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, დეპარტამენტს ს. დ. ბ-ასთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნდა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 23.05.2019წ. გადაწყვეტილებით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ს. დ. ბ-ას უარი ეთქვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებარ-

თვის გაცემაზე, რაც სასამართლოში გასაჩივრდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.07.2019წ. გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 23.05.2019წ. გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევა, თუმცა საქმის მასალებით არ დადასტურდა ახალი აქტის გამოცემისას რაიმე დამატებითი გარემოებების შესწავლა, სათანადო მტკიცებულებათა სრულყოფილად შეფასება, ადმინისტრაციულმა ორგანომ უგულებელყო მოსარჩელის საკუთრებაში უძრავი ქონების აღრიცხვის ფაქტი და ის გარემოება, რომ მოსარჩელეს სახელმწიფოსათვის საფრთხის შემქნელი ქმედებები არ განუხორციელებია. სასამართლომ მიიჩნია აგრეთვე, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნა არ ქმნიდა მოსარჩელის მიერ ქვეყნისათვის საფრთხის შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 04.11.2019წ. წერილით ხელახლა გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისაგან მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძვლების გამოვლენის მიზნით. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 09.11.2019წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ბინადრობის ნებართვის გაცემა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 20.11.2019წ. №1000630020 გადაწყვეტილებით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ს. დ. ბ-ას უარი ეთქვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოში უცხოელის შემოსვლა თუ გარკვეული დროით ყოფნა, მათ შორის საქართველოში მდებარე უძრავი ქონების საკუთრებაში აღრიცხვის დროს, არ არის აბსოლუტური უფლება, სათანადო საფუძვლების არსებობისას აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, ამ მიმართულებით სახელმწიფოს შეფასების ფართო ფარგლები აქვს, მით უფ-

რო მაშინ, როდესაც დღის წესრიგში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საკითხი დგას. ის, რომ სახელმწიფოს, მასზე დაკისრებული საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულებიდან გამომდინარე, აქვს თავის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, დარჩენის და ყოფნის ხანგრძლივობის კონტროლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადანყევტილებაში განიმარტა: კონვენცია არ ახდენს კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლისა და ყოფნის უფლების უზრუნველყოფას (იხ. მაგ. 08.06.2006წ. „Lupsa v. Romania“ (§25), 20.06.2002წ. „Al-Nashif v. Bulgaria“ (§114), 06.12.2007წ. „Liu v. Russia“ (§49), 28.06.2011წ. „Nunez v. Norway“ (§66), 21.06.1988წ. „Berrehab v. the Netherlands“ (§28), 03.10.2014წ. „Jeunesse v. The Netherlands“ (§100), 13.12.2012წ. „De Souza Ribeiro v. France“ (§77), 24.04.1996წ. „Boughanemi v. France“ (§41) და სხვ.), თუმცა სახელმწიფოს მიერ უცხოელთა მიმართ განხორციელებული ქმედებები სათანადო ნორმატიულ საფუძველს უნდა ეფუძნებოდეს. საქართველოში უცხოელთა შემოსვლის, ყოფნის და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი, რომლის თანახმად, საქართველოში შემოსვლის და ყოფნის ერთ-ერთი საფუძველია ბინადრობის ნებართვა (მე-5 მუხ. „ბ“ ქვ.პ.), მისი გაცემა ხდება საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, უკეთუ იგი კანონით განსაზღვრულ წინაპირობებს აკმაყოფილებს (14.1 მუხ.). კანონის მე-15 მუხლი ადგენს ბინადრობის სახეებსა და კონკრეტული სახის ბინადრობის ნებართვის გაცემის ფორმალურ წინაპირობებს. კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის სახეებს შორის სახელდება მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოში მდებარე კონკრეტული ღირებულების უძრავ ქონებაზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა) საკუთრების უფლების მქონე უცხოელზე. განსახილველ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სადავო არ გამხდარა მოსარჩელის საკუთრებაში კონკრეტული ღირებულების უძრავი ქონების აღრიცხვის ფაქტი, თუმცა მის სახელზე ბინადრობის ნებართვის გაცემა არ მოხდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის საფუძველით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონით დადგენილი ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი იმთავითვე არ წარმოშობს ბინადრობის ნებართვის გაცემის შე-

სახებ ვალდებულებას, სააგენტოში წარდგენილი განცხადების ფორმალური გამართულობის, ბინადრობის კონკრეტული სახის გაცემისთვის ნორმატიულად დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, თუმცა სათანადოდ უნდა იკვეთებოდეს უარის თქმის საფუძველი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიცია სადავო აქტის მართლზომიერებასთან დაკავშირებით ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნის პირობებში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომეტებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სააგენტო მოკლებული იყო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად (კანონის 17.10 მუხ.). საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მიხედვით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველების გამოსავლენად სააგენტო ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან (13.5 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, რომლის წერილით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით, რომლებიც ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას უცხოელის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივ წესრიგისთვის საფრთხის შემქმნელი საქმიანობის განხორციელებისას. საკასაციო სამართლოს მიერ 14.02.2022წ. №ბს-67(კ-22) განჩინებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომელიც საფუძველად დაედო მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევას, სააგენტოს სადავო აქტის გამოცემას. საკასაციო პალატა გაეცნო კონტრდაზვერვის დე-

პარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსს, საქმეში დაცულ მასალებს და მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი მართებულია. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით („ა“, „გ“ ქვ.პ.) გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დასადგომად – ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად უნდა დადასტურდეს ნორმითვე გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა, კერძოდ, საქართველოში უცხოელის ყოფნით ქვეყნის უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსაზრება ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ არ არის საკმარისი, მისი მოსაზრება სათანადოდ უნდა დასაბუთდეს. განსახილველ შემთხვევაში, საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემების გათვალისწინებით, ასეთი დასაბუთება იკვეთება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არის შემთხვევები, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემები და დასკვნები იმთავითვე გამოორიცხავს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის დასაბუთებულობის, აღწერილი საფრთხის რეალიზების საკმარისი ალბათობის, განვითარებული მსჯელობის გონივრულობისა და სარწმუნოობის გამო. ამასთანავე, მაშინაც კი, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაცია პირზე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სათანადოდ ასაბუთებს, არ გამოირიცხება კერძო და საჯარო ინტერესთა ურთიერთშეპირისპირების საჭიროება, თუმცა ასეთ დროს კერძო ინტერესი უკან იხევს, რადგან კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სათანადოდ დასაბუთებული დასკვნა ცხადს ხდის საჯარო ინტერესის პრიორიტეტულობას. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელესთან დაკავშირებით კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ალბათობის საკმარისი ხარისხით ადასტურებს ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი სათანადო საფუძვლების არსებობას. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოში უცხოელის დაშვების დამაბრკოლებელი გარემოებების დამდგენი მონაცემები შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს სისხლის სამართლის საქმეზე გამოსატანი განაჩენის „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტს. მთავარია საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემების ერთობლიობა ქმნიდეს სავარაუდოობის გარკვეულ ხარისხს, რაც შექმნის გონივრულ ეჭვს, დასაბუთებულ მოლოდინს უცხოელის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის დამაბრკოლებე-

ლი რომელიმე გარემოების არსებობის, ბინადრობის გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოში წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის შინაარსი აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტს. ამასთანავე, ის გარემოება, რომ ამ დრომდე მოსარჩელის მიერ სახელმწიფოსა თუ საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული რაიმე ქმედების ჩადენა სათანადოდ არ დასტურდება, არ ასაბუთებს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის უკანონობას, რადგან ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი გარემოებების ნორმატიული საფუძვლების გამოვლენა მიზნად ისახავს არა მხოლოდ რეპრესიულ, არამედ პრევენციულ რეაგირებასაც და მიმართულია არა იმდენად რეალიზებული, არამედ უმეტესად მომავალში მოსალოდნელი, რეალიზებადი საფრთხეების თავიდან აცილებისკენ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის თანახმად, კანონითვე დადგენილი გამონაკლისის გარდა საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორიც – საქართველოს მოქალაქეს (1-ლი პ.), საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს (მე-3 პ.). ამდენად, ბინადრობის ნებართვის გაცემით სახელმწიფოსა და უცხოელს შორის ჩამოყალიბებული სამართალური თვითობის შედეგად, სახელმწიფო უცხოელის მიმართ გარკვეული ვალდებულებებით იტვირთება. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემა ხდება არა ერთეულ შემთხვევებში, არამედ ჯამურად მრავალ პირზე, შესაძლოა მოხდეს სახელმწიფოს დამატებითი ვალდებულებებით გადატვირთვა, რაც სახელმწიფოს შეზღუდული რესურსის მხედველობაში მიღებით არ იქნება საჯარო ინტერესის შესაბამისი. ზემოაღნიშნულის გარდა მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სხვა არაერთი ინტერესი, რომლის დაცვასაც სახელმწიფოში უცხოელის ყოფნის რეგულირება ემსახურება. ქვეყანაში უცხოელთა შემოსვლისა და ყოფნის რეგულირება ხორციელდება არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის, სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და დანაშაულთან ბრძოლის მიზნით (19.01.2012წ. „Popov v. France“ (§137)). საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს, არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეო-

ბის შესახებ“ კანონის 25.4 მუხ.). შესაბამისად, უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემისას ყოველთვის არსებობს საჯარო ინტერესი, რომლის დაცვის საჭიროებაზე მითითებაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, თუმცა რომელიმე საჯარო ინტერესზე აბსტრაქტული მითითება როგორც წესი არ ქმნის უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სათანადო, თვითკმარ დასაბუთებას. სახელმწიფოებს არ ეკრძალებათ უცხოელთა ქვეყანაში შესვლისა და იქ დარჩენის ხანგრძლივობის რეგულირება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდთა უფლებებში ჩარევა იყოს აუცილებელი და მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული (21.06.1988წ. „Berrehab v. The Netherlands“ (§28), ამასთანავე, სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში გადანაცვტილების მიღებისას სახელმწიფოს დისკრეციის ფარგლები განსაკუთრებით ფართოა (26.03.1987წ. „Leander v. Sweden“), მაგრამ ეს არ გამოორიცხავს აუცილებლობისა და პროპორციულობის საკითხების შეფასების, საჯარო და კერძო ინტერესის ურთიერთშეპირისპირების საჭიროებას. ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც კი, გადანაცვტილებები, რომლებმაც პირის უფლებებში ჩარევა გამოიწვია, უნდა დაექვემდებაროს სათანადო კონტროლს, რომელიც უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი, კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება შეეძლება (20.06.2002წ. „Al-Nashif v. Bulgaria“ (§123, 124), 15.11.1996წ. „Chahal v. The United Kingdom“ (§127, 145)). ამდენად, ევროპული სასამართლო არ უარყოფს სახელმწიფოს მიერ უცხოელის თავის ტერიტორიაზე შესვლის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა იმ პირობით, რომ სახელმწიფო ორგანოს გადანაცვტილებას ექნება შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი და რომ მასზე ქმედითი კონტროლი განხორციელდება. განსახილველ შემთხვევაში საკითხზე გადანაცვტილების მიმღები ორგანოს – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის საფუძველად არსებული საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვა, შესწავლა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში განხილვა არ დასტურდება, თუმცა აღნიშნული ხარვეზი შესაძლებელია აღმოიფხვრას სააგენტოს სადავო აქტის მართლზომიერებაზე სასამართლოს რეალური, ქმედითი კონტროლის განხორციელებით. დგინდება, რომ მოსარჩელეს მიეცა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უარყოფითი გადანაცვტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, თავის მხრივ სასამართლოს აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მი-

ღებულის გადანაცვებების კანონიერებაზე სრული კონტროლის განხორციელების კომპეტენცია: იგი გამოითხოვს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაცულ საიდუმლო ინფორმაციას, ეცნობა მას და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასების შედეგად იღებს გადანაცვებებს ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის გაზიარების თუ მის გაზიარებაზე უარის თქმის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ სადავო აქტის მიმართ სასამართლო კონტროლის აღნიშნული წინაპირობები სახეზეა, როგორც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა, აგრეთვე საკასაციო პალატამ გამოითხოვა სადავო აქტის გამოცემის საფუძვლად არსებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაცული ინფორმაცია და შეაფასა საქმეში დაცულ მტკიცებულებებთან, მხარეთა ზეპირ და წერილობით ახსნა-განმარტებებთან ერთობლიობაში. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელესთან მიმართებით ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი სრულად დაცულია, ადმინისტრაციული ორგანოსადმი მინიჭებული დისკრეციის ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად სასამართლოს მხრიდან განხორციელდა „ადეკვატური და ქმედითი“ პროცედურები საქმის „ეფექტიანი განხილვის“ მიზნით (08.06.2006წ. „Lupsa v. Romania“ (§34)). მართალია, უშუალოდ მხარე ვერ გაეცნო სადავო აქტის საფუძვლად არსებულ მონაცემებს, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია შესწავლილი და შეფასებული იქნა სასამართლოს მიერ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ უკეთეს სასამართლო, მათ შორის საკასაციო პალატა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებულ მონაცემებს არასარწმუნოდ და შესაბამისად, მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმას დაუსაბუთებლად მიიჩნევდა, იგი მიიღებდა მოსარჩელის სასარგებლო გადანაცვებებს, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოწოდებული საიდუმლო ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით სადავო აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგი მართებულია. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებებზე სასამართლო კონტროლის სათანადოდ განხორციელების პირობებში, მოსარჩელის მითითება იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში არ ჩართულა, რის გამო მან ვერ უზრუნველყო თავისი უფლებების სათანადოდ დაცვა, არ არის დასაბუთებული. მართალია, კერძო პირის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან დაშვება არ ხდება, თუმცა სადავო გადანაცვებები დაექვემდებარა სრულ სასამართლო კონტროლს, რა დროსაც სასამართლომ მოახდინა საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირება. ასეთ დროს პირის

მიერ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით სათანადო შესაგებლის წარდგენის შეუძლებლობის მიუხედავად, უცხო ქვეყნის მოქალაქის უფლება დაცვის გარეშე არ რჩება, რადგან სასამართლო აფასებს არა მხოლოდ საჯარო ინტერესს, არამედ კერძო პირის ინტერესებსაც, რის შემდეგაც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, თუმცა ინფორმაციის საიდუმლოების გათვალისწინებით სათანადო დასაბუთების ასახვა გადაწყვეტილების ტექსტში არ ხდება. საიდუმლოების დაცვა ილუზორული იქნებოდა, თუ საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტის გაცნობით გახდებოდა ცნობილი. ამასთანავე, სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტიანად მიჩნევა არ არის დამოკიდებული მოსარჩელის სასარგებლო შედეგის დადგომაზე, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა გულისხმობს, რომ სულ მცირე, კომპეტენტური დამოუკიდებელი ორგანო ინფორმირებული იყოს დებორტაციის შესახებ გადაწყვეტილების საფუძვლებზე, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მონაცემი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, ამასთანავე, მითითებული ორგანო აღჭურვილი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მოსაზრებების უარყოფის შესაძლებლობით, თუ იგი ამ მოსაზრებებს დაუსაბუთებლად და თვითნებურად ჩათვლის (ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Al-Nashif v. Bulgaria“, §132, 137). განსახილველ შემთხვევაში, ასეთი ორგანო სასამართლოა, რადგან იგი დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, აღჭურვილია ქვეყანაში უცხოელის დაშვებასა და ყოფნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის და არასარწმუნოებისა თუ დაუსაბუთებლობის შემთხვევაში საიდუმლოდ მიჩნეულ ინფორმაციაში ასახული მონაცემების გაზიარებაზე უარის თქმის, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის უფლებამოსილებით, რის გამო საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელემ ისარგებლა თავისი უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალებით. ამასთანავე, ის გარემოება, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი საიდუმლო ინფორმაცია ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასაკმარისად დასაბუთებულად მიიჩნიეს, საკასაციო პალატას არ უზღუდავს აღნიშნული ინფორმაციის სარწმუნოდ ჩათვლის შესაძლებლობას, რადგან საკასაციო პალატა, როგორც ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი უმაღლესი ინსტანციის სასამართლო, არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ რიგ შემთხვევებში ვალდებულიც არის შეამოწმოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) ასახული დასაბუთების, სამართლებრივი შეფასებების მართებულობა. მაშინ,

როდესაც დავა სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა თუ წესრიგის ინტერესების დაცვას ეხება და ბინადრობის მაძიებელი პირი სადავო აქტის გამოცემის საფუძვლების გასაიდუმლოების გამო სადავო აქტის კანონიერებასა თუ ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა დასაბუთებებთან მიმართებით ვერ ახდენს სრულყოფილი პრეტენზიის წარდგენას, სააპელაციო პალატის მოსაზრებები კონკრეტული მტკიცებულების, მათი თანამდევი სამართლებრივი შედეგების შესახებ არ ართმევს საკასაციო პალატას განსხვავებული შეფასების გაკეთების შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საკასაციო წესით გასაჩივრება ფაქტობრივად აზრს დაკარგავდა. ამასთანავე, მართალია საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი საიდუმლო ინფორმაციის საფუძველზე პირისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის დასაბუთებულობის შეფასება არ არის მოცული ფაქტის დადგენის საკითხით.

განსახილველ შემთხვევაში მართალია სააგენტოს არ გამოუთხოვია და შეუფასებია კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის საფუძველად არსებული დასკვნა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სადავო აქტის კანონიერებაზე კონტროლის განმახორციელებელმა ორგანომ – სასამართლომ მოახდინა კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაცული საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვა, გაცნობა და მისი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასება, რამაც ადმინისტრაციული წარმოებისას დაშვებული ხარვეზების თანამდევი შედეგების აღმოფხვრა უზრუნველყო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად დასაბუთებული აქტის გამოცემის დავალებას, ამასთანავე, აღნიშნული არ გამოორიცხავს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად იმავე შინაარსის გადანაცვლებების მიღებას, იმავე სამართლებრივი შედეგის დადგომას, თუმცა ხსენებული არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფ გადაწყვეტილებაში ასახული მითითებების გათვალისწინების საჭიროებისაგან. განსახილველ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ხელახლა იქნა ინფორმაცია გამოთხოვილი სახელმწიფო

უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, სხვა რაიმე ქმედება არ განხორციელებულა, არ დგინდება აგრეთვე კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის საფუძველად არსებული საიდუმლო ინფორმაციის გაცნობა, მისი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასება, რაც სააგენტოს მხრიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფ გადაწყვეტილებაში ასახული მითითებების უგულებელყოფას, ადმინისტრაციული წარმოების არასრულყოფილად ჩატარებას ადასტურებს, თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ხარვეზები მხოლოდ მაშინ ქმნის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს, უკეთეს აღნიშნულმა პროცედურულმა ხარვეზებმა გავლენა მოახდინა აქტით დამდგარ სამართლებრივ შედეგზე. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ საქმის გარემოებათა არასრულყოფილად გამოკვლევის მიუხედავად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან სააგენტოს გასაჩივრებულ აქტზე სრული სასამართლო კონტროლის განხორციელების ფარგლებში საკასაციო პალატა გაცნო ს. დ. ბ-ასთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძველად არსებულ საიდუმლო ინფორმაციას, რის შედეგადაც თვლის, რომ ალბათობის შესაბამისი ხარისხით დგინდება ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძველების არსებობა, რაც თავის მხრივ, სადავო აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგის მართებულობას ადასტურებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

რაც შეეხება მხარეთა შორის ხარჯების განაწილების საკითხს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები ადმინისტრაციული დავის განხილვისას გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სასკ-ის 1.2 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია სპეციალური ნორმატიული მოწესრიგება, რომლის თა-

ნახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადანაწევტილების გამოტანის შემთხვევაშიც. მოცემული საქმის განხილვისას დადგინდა, რომ სადავო აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგის მართებულობის მიუხედავად, აქტის გამოცემა მოხდა საქმის გარემოებათა სათანადოდ გამოკვლევის გარეშე, რაც სასკ-ის 10.2 მუხლის შესაბამისად პროცესის ხარჯების ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრების საფუძველს ქმნის. საქმის მასალებით დგინდება, რომ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გადახდილია სახელმწიფო ბაჟი, რომელიც უნდა დარჩეს ბიუჯეტში გადახდილად, ხოლო სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ანაზღაურება სააგენტოს უნდა დაეკისროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.2021წ. განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. დ. ბ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გ. კ-ას (პ.ნ. ...) სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 (ასი) ლარის ანაზღაურება;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. მუდმივი ბინადრობა

მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1243(კ-22)

20 თებერვალი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-ემ 2021 წლის 24 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-
ას მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების საა-
გენტოს მიმართ და „მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნე-
ბართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ“ ამავე სააგენტოს 2021
წლის 10 სექტემბრის №1000759720 გადაწყვეტილების ბათილად
ცნობა და მ.ა-ესათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის
თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე – მ. ა-ე რეგისტრირებულ ქორ-
წინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე თ.გ-თან (შემდგომ-
ში-ა-ე), რაც „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამარ-
თლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის თანახმად, მუდმივი
ცხოვრების ნებართვის გაცემის საფუძველია. ბინადრობის ნებარ-
თვის მოპოვების მიზნით მან მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისე-
ბის განვითარების სააგენტოს, თუმცა სააგენტოს 2021 წლის 10
სექტემბრის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამ-
სახურის დასკვნაზე დაყრდნობით, მას უარი ეთქვა მოთხოვნის
დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ სახეზე იყო „უცხოელთა და
მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შე-
სახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნ-

ქტებით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო სადავო შემთხვევაში მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა მას არ დაუსაბუთებია რომელ კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნულიდან გამომდინარე, მას არ შეუძლია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება.

ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა სადავო აქტის ბათილად ცნობა და მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით მ.ა-ეს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე მ. ა-ე 2020 წლის 24 მაისიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე თ. ა-ესთან.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ მ. ა-ემ (დაბ: ...წ.), 2021 წლის 11 აგვისტოს, გაცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მოითხოვა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 12 აგვისტოს №1000759720/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და ითხოვა, ეცნობებინა-არსებობდა თუ არა მ.ა-ესათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები.

საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 9 სექტემბრის SSG 4 21 00126320 წერილობითი მიმართვით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა მ.ა-ესთვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა. ამრიგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 10 სექტემბრის №1000759720 გადაწყვეტილებით მ.ა-ეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე მითითებით აღნიშნა, რომ უცხოელისათვის საქარ-

თველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად უფლებამოსილია, გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სასამართლომ უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით ან/და იმ მიზნის უგულებელყოფით, რის მისაღწევადაც მას მინიჭებული აქვს იგი.

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 9 სექტემბრის SSG 4 21 00126320 წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად დაედო გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომლებიც არც ერთი მხარის მიერ არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სამართალდაცვითი მიზნებისათვის. შესაბამისად, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემისას შეემოწმებინა წერილის საფუძველად მითითებული გარემოებები და დოკუმენტაცია. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააგენტოს მიერ სადავო გადაწყვეტილების „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით დასაბუთება შეესაბამებოდა კანონმდებლობას და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება მ. ა-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 სექტემბრის განჩინებით მ. ა-ეს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინ-

სტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მართებული სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ.ა-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მსჯელობასა და დასაბუთებას დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე საკვანძო საკითხზე, როგორიცაა კერძო და საჯარო ინტერესების კონკურენცია. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების დროს რა საჯარო და კერძო ინტერესი დაუპირისპირდა ერთმანეთს და რატომ გადაწყდა საკითხი ერთ-ერთის სასარგებლოდ. ამასთან, მოცემულ საქმეში მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ოჯახის ერთიანობის პრინციპთან მიმართებით. გასათვალისწინებელია, რომ კასატორი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში საქართველოს მოქალაქესთან, რომელთანაც 2022 წლის 29 სექტემბერს შეეძინა საერთო შვილი – დ. ა-ე.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ დეტალურად უნდა იქნეს განხილული მუდმივი ცხოვრების ნებართვაზე უარის თქმის საფუძველი, ფართოდ იქნეს განმარტებული საიდუმლო საბუთები. ამ კუთხით მან სადავოდ გახადა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 9 სექტემბრის SSG 4 21 00126320 წერილის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ნოემბრის განჩინებით მ. ა-ეს საკასაციო საჩივარი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 7 თებერვლის განჩინებით მ. ა-ეს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწმინა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გან-

ჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-ეს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 სექტემბერის განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე – მ. ა-ემ 2021 წლის 11 აგვისტოს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მოითხოვა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 12 აგვისტოს წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა, ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მ.ა-ესთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 9 სექტემბრის SSG 4 21 00126320 წერილობითი მიმართვით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა მ. ა-ესთვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა. ამრიგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 10 სექტემბრის №1000759720 გადაწყვეტილებით მ. ა-ეს, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ მ. ა-ე 2020 წლის 24 მაისიდან ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე – თ. ა-ესთან.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 9 სექტემბრის SSG 4 21 00126320 წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძველად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში შესაფასებელია მოსარჩელისთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ უცხოელთა საქარ-

თველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს საქართველოს კანონი – „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. ამასთან უცხოელის საქართველოში ხანგრძლივად კანონიერად დარჩენის უფლების მოპოვების ერთ-ერთი შესაძლებლობა სწორედ ბინადრობის ნებართვის მიღებაა, რომელსაც, დასახელებული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე გასცემს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ასევე, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლები-სა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის წინაპირობებს, აღნიშნულის მიხედვით კი მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დეტალურად და ამომწურავად არის განერილი საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. მათ შორის, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ („ა“ ქვეპუნქტი) და თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს („გ“ ქვეპუნქტი).

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის

განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად, ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

სახელმწიფო ორგანო, რომლისგანაც სერვისების განვითარების სააგენტოს შეუძლია, მიიღოს ინფორმაცია უცხოელის მიერ ქვეყნისა და საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნის თაობაზე, არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, რომელიც, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლიდან გამომდინარე, ეწევა ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციასა და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან უნდა გამოითხოვოს ინფორმაცია ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონისმიერი საფუძვლების არსებობის საკითხის დასადგენად. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა – წერილი კი წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორ-

განოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის საკითხის გადანყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. აღნიშნული ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად კი, სააგენტო უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. ამავ მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღნიშნული გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი და ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ამის საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადანყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის საკითხის გადანყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. აღსანიშნავია, რომ განსახილველ შემთხვევაში, 2022 წლის 7 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიმართა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 10 სექტემბრის №1000759720 გადანყვეტილე-

ბით მ. ა-ეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 9 სექტემბრის №SSG 4 21 00126320 წერილი, რომლითაც სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მ. ა-ესთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 7 სექტემბრის მიმართებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ეთხოვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის წარმოდგინა ინფორმაცია/მასალები (მათ შორის, საიდუმლო), რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 9 სექტემბრის №SSG 4 21 00126320 წერილის გაცემას, მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭების მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო აქტი და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, სრულად ვერ აქარწყლებს და პასუხობს კასატორის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, მისი ოჯახის ერთიანობის და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შესაძლო დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობას ამოწმებს არა ფაქტობრივი, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქესთან, ასევე, საკასაციო საჩივარს ერთვის დამატებითი მტკიცებულება: შვილის დაბადების მოწმობა, რომლითაც დასტურდება, რომ მ. ა-ესა და მის მეუღლეს – თ. ა-ეს ქორწინების შემდგომ, 2022

ნლის 29 სექტემბერს, შეეძინათ შვილი – დ. ა-ე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონმებს როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში, საქმის განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოთვის და სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს არსებითად, გამოიკვლიოს, დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საქმეს მისცეს სამართლებრივი შეფასება. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედოს ფაქტობრივი გარემოება/მტკიცებულება, რომელიც სამართალწარმოების პროცესში მხარეთა აქტიური მონაწილეობით სათანადო წესით არ ყოფილა გამოკვლეული და რომელთან დაკავშირებითაც მხარეებს არ მისცემიათ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომ მხედველობაში არ მიუღია და არ გაუთვალისწინებია მოსარჩელის მეუღლის არსებობა, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა აპელანტი სააპელაციო საჩივარში პირდაპირ მიუთითებდა, რომ ის და მისი მეუღლე ელოდებოდნენ შვილს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს ერთმანეთთან არ შეუპირისპირებია, ერთი მხრივ, მოსარჩელის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს უსაფრთხოების მიზნებისათვის მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის აუცილებლობა. საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ დღევანდელი მოცემულობით დასტურდება, რომ მოსარჩელესა და მის მეუღლეს ჰყავთ საერთო შვილი, რომელიც დაიბადა საქართველოში და საქართველოს მოქალაქეა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანია ერთმანეთს დაუპირისპირდეს, ერთი მხრივ, ოჯახის ერთიანობისა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებისათვის პირის ამ უფლებაში ჩარევის თანაზომიერება და აუცილებლობა. ამდენად, სასამართლო

ვალდებულია ყველა მსგავს შემთხვევაში გადანყვეტილება სწორედ ამ ორი საკითხის ურთიერთშეპირისპირების შედეგად მიიღოს, რაც ერთ შემთხვევაში გულისხმობს, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში თანაზომიერი და აუცილებელი ჩარევის კანონიერად მიჩნევას, ხოლო მეორე შემთხვევაში მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის არათანაზომიერად/არააუციელებელ ღონისძიებად მიჩნევას (*Jeunesse v. The Netherlands*, დიდი პალატა, №12738/10, 3 ოქტომბერი, 2014წ.; *Liu v. Russia* №42086/05, 6 დეკემბერი, 2007წ.; *Nunez v. Norway*, №55597/09, 28 ივნისი, 2011წ.).

რაც შეეხება კასატორის არგუმენტს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნების პირობებში საკუთარი უფლებების დაცვის შეუძლებლობასთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებაზე (*Dalea v. France* – 964/07; 02.02.2010), რომელშიც განიმარტა, რომ „განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ყველა ინფორმაციის პირადად გაცნობის შეუძლებლობა, თავისთავად არ ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არ იყო გამართლებული ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საფრანგეთის ხელისუფლების მიერ განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა იყო მიზნის პროპორციული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შესაბამისი ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევა და მხარის მიერ გაცნობის შეუძლებლობა ავტომატურად არ გულისხმობს პირის უფლებაში არათანაზომიერ ჩარევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს სადავო გადანყვეტილება და სააპელაციო სასამართლომ ხელახალი გადანყვეტილება უნდა მიიღოს საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, მოსარჩელის ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადანყვეტილება საქმესთან დაკავშირებით არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებისა და ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის პრინციპის ურთიერთშეპირისპირების შედეგად უნდა იქნეს მიღებული. სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, დავის გადაჭრისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოების დადგენა, მათი სამართლებრივი ანალიზისა და მიღებული დასკვნების სა-

ფუძველზე დავის გადაწყვეტა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრების ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილი შემოწმება.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და პროცესუალურ წინამძღვრებს, სახეზე გვაქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ამავე კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განუხლები სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

აღნიშნავია, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს იდენტურ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები გაკეთებული აქვს 2022 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საქმეზე №ბს-474(კ-20), რითიც კონკრეტულ შემთხვევაში იხელმძღვანელა საკასაციო პალატამ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ა-ეს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის
თქმის კანონიერება**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-631(კ-21)

06 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. აბუსერიძე**

დავის საგანი: ბინადრობის ნებართვის გაცემა, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ა. ფ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ სააგენტოს 18.10.2019წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2018 წლის ოქტომბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე ა. მ-ასთან, რა საფუძვლითაც მოსარჩელემ სააგენტოსგან მოითხოვა მუდმივად ცხოვრების ნებართვის გაცემა, თუმცა სააგენტოს 16.04.2019წ. გადაწყვეტილებით მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული აქტი სასამართლოში გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ, საქმის განხილვის შედეგად სასამართლომ ბათილად ცნო გასაჩივრებული აქტი და სააგენტოს დაავალა საქმის გარემოებათა ხელახლა გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების მიუხედავად სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 18.10.2019წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელეს კვლავ უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი არ ეწევა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველ საქ-

მიანობას, სადავო აქტში უარის საფუძვლად მითითებულ გარემოებებს სიმართლესთან რაიმე კავშირი რომ ჰქონოდა, მოსარჩელე სულ მცირე დაკავებული უნდა იყოს. სადავო აქტის გამოცემისას სააგენტომ არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელე ცხოვრობს საქართველოში, აქ ჰყავს მეუღლე – ა. მ-ა, რომელიც ორსულადაა. საქართველოს კონსტიტუციის 36.2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, კონსტიტუცია იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მოქმედებებისგან, რაც ხელყოფდა და გამოფიტავდა მათ არსს, მნიშვნელობას, უმთავრეს პრინციპებს (23.06.2008წ. №2/2/425 გადაწყვეტილება, II, პ.2). გარდა ამისა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ს.ჯ. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ ადამიანის ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებზე ხელისუფლებამ უნდა დააბალანსოს განმცხადებლის უფლებებში ჩარევა აუცილებელ სოციალურ საჭიროებებთან და ლეგიტიმურ მიზნებთან.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ „ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებებთან მიმართებით ინდივიდების უფლებების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1977 წლის №77(31) რეზოლუციის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში გარანტირებული უნდა იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პირის უფლება იყოს მოსმენილი. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელისთვის ისიც კი არ არის ცნობილი თუ რაში დებენ ბრალს, კონკრეტულად რა ქმედებები განიხილება საფრთხის შემცველად, მოსარჩელეს არ მიეცა შესაძლებლობა თავისი მოსაზრება დაეფიქსირებინა კონტრდაზვერვის სამსახურის მიერ გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით, რის გამო ვერ შეძლო თავისი უფლებების ეფექტური დაცვა. სააგენტოს სადავო აქტს საფუძვლად უდევს მხოლოდ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დაუსაბუთებელი წერილი, მოსარჩელისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმა არ არის დასაბუთებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.02.2020წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 18.10.2019წ. გადაწყვეტილება და სააგენტოს დაევალა მოსარჩელისთვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. ა. ფ-ის მეუღლე ა. მ-ა არის საქართველოს მოქალაქე და აქვს მუდმივი საცხოვრებე-

ლი საქართველოში. ბ. ა. ფ-ი არის შპს „თ-ის“ 100% წილის მმართველი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 02.05.2018 წ. მოსარჩელეს მიეცა შრომითი ბინადრობის ნებართვა 2019 წლის 3 მაისამდე მოქმედების ვადით. ბ. ა. ფ-მა 18.03.2019 წ. განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა. სააგენტომ 01.04.2019 წ. წერილობით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ბ. ა. ფ-ისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 15.04.2019 წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა მოსარჩელისთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის მიწეება. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 16.04.2019 წ. გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით, ბ. ა. ფ-ს უარი ეთქვა მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, რაც მოსარჩელემ სასამართლოში გაასაჩივრა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.06.2019 წ. გადაწყვეტილებით ბ. ა. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 16.04.2019 წ. გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 02.10.2019 წ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან განმეორებით გამოითხოვა ინფორმაცია მოსარჩელისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობის შესახებ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 14.10.2019 წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ბ. ა. ფ-ისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 18.10.2019 წ. გადაწყვეტილებით, ბ. ა. ფ-ს უარი ეთქვა მუდმივი ბინადრობის

ნებართვის გაცემაზე „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო აქტის გამოცემა მოხდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში მყოფი 25.06.2019წ. გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც სააგენტოს დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა. მართალია, აღნიშნული იმთავითვე არ გულისხმობდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ აქტის გამოცემას, თუმცა ახალი აქტის გამოცემისას უნდა მომხდარიყო სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფ გადაწყვეტილებაში ასახული მითითებების გათვალისწინება, საქმის გარემოებათა გამოკვლევა. განსახილველ შემთხვევაში სააგენტომ ხელახლა მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და მისი უარყოფითი შინაარსის დასკვნის მიღების შემდეგ იმთავითვე უარი უთხრა მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი პრიორიტეტულად მიიჩნევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხებს, თუმცა მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ექმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. სასამართლოს მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადაგენად. ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარდგენილი იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. ინფორმაციის გამოკვლევა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებული ფაქტები არ აისახა სასამართლო გადაწყვეტილებაში. ამდენად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის), ასევე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.02.2020წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2021წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.02.2020წ. გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ა. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უცხოელისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. ადმინისტრაციული ორგანოსთვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება გულისხმობს მისთვის გარკვეულ საკითხში მოქმედების თავისუფლების მინიჭებას, გარკვეული საკითხის გადაწყვეტის ორი ან მეტი ალტერნატივიდან შეარჩიოს ერთ-ერთი თავისი შეხედულებისამებრ, რათა ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევას შეუსაბამოს ოპტიმალური გადაწყვეტა კეთილსინდისიერად, მიუკერძოებლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და თვითნებობის გარეშე, კერძო და საჯარო ინტერესების დაცვით, კანონის მიზნის გათვალისწინებით. სასამართლო ვალდებულია სარჩელის არსებობის პირობებში შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებების გამოყენების კანონიერების ფარგლები. ამ მიზნით სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოთხოვილი იქნა სადავო აქტების გამოცემის საფუძველი – კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა, რომლითაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა კვლავაც დაადასტურა დასკვნის შინაარსი. სააპელაციო სასამართლომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს და მხარეებისთვის ხელმისაწვდომი არ არის, დადგენილად მიიჩნია, რომ სააგენტომ დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონის მიზნის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის სამსახურის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, მას შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამდენად, მართლზომიერია სააგენტოს გასაჩივრებული აქტი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ ვინაიდან იგი დაქორწინებულია საქართველოს მოქალაქეზე, აქვს მუდმივი საცხოვრებელი და დასაქმებუ-

ლია საქართველოში, უნდა გაიცეს მუდმივი ცხოვრების ნებართვა, რადგან ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი მოსარჩელეს ეთქვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მისაღწევად, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლით. პალატამ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე „ლეანდერი შვედეთის წინააღმდეგ“ (leander v. Sweden), რომლითაც დადგინდა ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი აპლიკანტის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით, რაც პალატის მოსაზრებით ასევე ადასტურებს იმას, რომ სააგენტოს მიერ ფართო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული აქტი, რომელიც გამოიცა სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის ბინადრობის ნებართვის მიზანშეწონილობის საკითხზე შესაბამისი უწყებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისია. პალატამ მიუთითა აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე „კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ“ (Klass and others v. Germany, 06.09.1978), რომელშიც ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, აპლიკანტის მიერ გასაჩივრებული კანონი (შეზღუდვები ელექტრონული ფოსტის და ტელეკომუნიკაციის საიდუმლოებაზე) მიჩნეულ იქნა საჭიროდ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე და დანაშაულისა და არეულობის პრევენციის მიზნით. აგრეთვე, საქმეზე „სეგერსტედტ-ვიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (Segerstedt-Wiberg and others v. Sweden, 26.06.2006) ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის ინტერესებს უპირატესობა მიენიჭა აპლიკანტის ინტერესებთან შედარებით, მიეღო დაცვის პოლიციაში მასზე არსებული საქმის მასალები. პალატამ მიუთითა აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის პრაქტიკაზე (სუსგ 16.04.2020 წ. №ბს-815 (კ-19), 07.10.2020წ. №ბს-207(კ-20), 07.10.2020წ. №ბს-311(კ-20)) და აღნიშნა, რომ ვინაიდან არსებობდა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოსარჩელის მითითება დაუსაბუთებელი აქტით მისი უფლების დარღვევის თაობაზე, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში, ბ. ა. ფ-ის უფლება შეიზღუდა ლეგიტიმური მიზნის – სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მისაღწევად, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლით. პალატამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ მოსარჩელე მოით-

ხოვდა მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემას, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ დაავალა მოპასუხეს ახალი აქტის გამოცემა მოსარჩელისთვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2021წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ბ. ა. ფ-ის მიერ. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლო ამონშებს ადმინისტრაციული ორგანოების ნორმათშეფარდებითი საქმიანობის კანონიერებას და იგი არ არის შეზღუდული ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციით (სუსგ 11.04.2012წ. №ბს-1655-1627(კ-11)). დისკრეციის ფარგლებში გამოცემული აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიონ პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. შესაბამისად, სააპელაციო პალატის განმარტება, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის პირობებში სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეეძლო, ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლებაა, იგი შეზღუდულია დისკრეციული უფლებამოსილების დამდგენი ნორმის მიზნითა და ფარგლებით. სზაკ-ის 53.4 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული აქტის დასაბუთებაში უნდა აღინიშნოს გარემოებები, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღებისას. განსახილველ შემთხვევაში გაურკვეველია მოსარჩელის კერძო ინტერესთან შედარებით კონკრეტული საჯარო ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭების საფუძვლები. სააგენტომ სრულად უგულებელყო ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ოჯახის ერთიანობის დაცვის პრინციპი. მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ლეგიტიმური საფუძვლების არსებობა არ იკვეთება. გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელე სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში არასდროს ყოფილა მიცემული და არც რაიმე სახის პრობლემები ჰქონია სამართალდამცავ ორგანოებთან.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფითი დასკვნა ავტომატურად წარმოშობდა ბინადრობის უფლების მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა არ არის იმპერატიული, მას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, იგი სააგენტოს უტოვებს საჯარო და კერძო ინტერესების სწორი დაბალანსების გზით კონკრეტული სიტუაციისთვის ყველაზე შე-

საფერისი გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში არ იქნა გათვალისწინებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, კასატორი 2018 წლის ოქტომბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქესთან, რომელთანაც ჰყავს აგრეთვე საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვანი შვილი, არის დასაქმებული, საქართველოში აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთანავე, „ადმინისტრაციული ორგანოების გადანყვეტილებებთან მიმართებით ინდივიდების უფლებების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1977 წლის №77(31) რეზოლუციის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში გარანტირებული უნდა იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პირის უფლება იყოს მოსმენილი. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელისთვის ისიც კი არ არის ცნობილი თუ რაში დებენ ბრალს, კონკრეტულად რა ქმედებები განიხილება საფრთხის შემცველად, მოსარჩელეს არ მიეცა თავისი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა კონტრდაზვერვის სამსახურის მიერ გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით, რის გამო ვერ შეძლო თავისი უფლებების ეფექტური დაცვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36.2 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის კითხვადგობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მიხედვით, კონსტიტუცია იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მოქმედებებისგან, რაც ხელყოფდა და გამოფიტავდა მათ არსს, მნიშვნელობას, უმთავრეს პრინციპებს (23.06.2008წ. №2/2/425 გადანყვეტილება, II, პ.2). კასატორმა ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ მართალია, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და მისი დამატებითი ოქმების ტექსტში, თუმცა ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით, ისინი დადგენილია აგრეთვე ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. საქმეზე „ს.ჯ. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“ (C.G and othets v. Bulgaria) ევროპულმა სასამართლომ ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხზე განმარტა, რომ ხელისუფლებამ უნდა დააბალანსოს განმცხადებლის უფლებაში ჩარევა აუცილებელ სოციალურ საჭიროებებთან და ლეგიტიმურ მიზნებთან (§62). აღინიშნა აგრეთვე, რომ ქვეყნის შიდა სასამართლოების მიერ უნდა მოხდეს შესაბამისი ფაქტების სათანადოდ გამოკვლევა. მტკიცებულებების სასამართლოსთვის წარუდგენლობა და გამოკ-

ვლევის არარსებობა დარღვევად იქნა მიჩნეული (§47).

კასატორმა აღნიშნა, რომ ევროპული კონვენცია არ იცავს პირის წევრ სახელმწიფოში შესვლისა და დარჩენის უფლებას, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის წევრის დეპორტაცია ხელს უშლის ოჯახის შენარჩუნებას, სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს ოჯახის კონკრეტული წევრის გაძევებისგან. საქმეში 21.06.1988წ. „Berrehab v. the Netherlands“ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან განქორწინების შემდგომ პირს ქვეყანაში ცხოვრების უფლების მოქმედების ვადა აღარ გაუგრძელეს, რაც გამოიწვევდა ქვეყნიდან მის გაძევებას და ოჯახური კავშირების შეწყვეტას შვილთან. საქმეში „ლიატიფი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის მაკედონიის წინააღმდეგ“ (Ljati v. the Former Yugoslav Republic of Macedonia, 17.05.2018წ., §37, 38) ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოში სახელმწიფომ წარადგინა იმ გასაიდუმლოებული ინფორმაციის რედაქტირებული ვარიანტი, რომელიც საფუძვლად დაედო უარის თქმას; ერთადერთი, რაც დოკუმენტების მიხედვით განმცხადებლის მხრიდან ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველ ქმედებად იქნა მიჩნეული იყო ის, რომ მან სავარაუდოდ იცოდა და მხარს უჭერდა სხვა პირთა ჩაბმას ქურდობაში და ფარავდა დანაშაულს, თუმცა დოკუმენტაცია არ იძლეოდა შესაძლებლობას დადგენილიყო ამ პირთა ვინაობა, რაოდენობა და მათთან განმცხადებლის დამოკიდებულება, შესაბამისად, უარი დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განცხადებების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელე ბ. ა. ფ-ი ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 02.05.2018წ. გადამწყვეტილებით მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ბ. ა. ფ-ს მიეცა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვა 2018 წლის 03 მაისიდან 2019 წლის 03 მაისამდე მოქმედების ვადით. 09.10.2018წ. მოსარჩელემ იქორწინა საქართველოს მოქალაქე – ა. მ-აზე, რაზეც შედგა ქორწინების აქტის ჩანაწერი და გაიცა ქორწინების მოწმობა. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შპს „კლინიკა ნ-ის“ მიერ 15.03.2019წ. გაცემული ცნობის მიხედვით ა. მ-ა იყო 20-21 კვირის ორსული. 18.03.2019წ. ბ. ა. ფ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო

სერვისების განვითარების სააგენტოს, წარუდგინა ქორწინების მოწმობა, ჯანმრთელობის ცნობა, საბანკო ამონაწერი, ბინადრობის მოწმობა და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც მოითხოვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა. სააგენტოს 01.04.2019წ. წერილით ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, რომლის 15.04.2019წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ბ. ა. ფ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 18.1 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 16.04.2019წ. გადაწყვეტილებით ბ. ა. ფ-ს უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე, რაც სასამართლოში გასაჩივრდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში მყოფი 25.06.2019წ. გადაწყვეტილებით ბ. ა. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 16.04.2019წ. გადაწყვეტილება და სააგენტოს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის პირობებში, მართალია მოპასუხეს შეეძლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა, თუმცა სააგენტომ სათანადოდ არ გამოიკვლია და შეაფასა ის გარემოება, რომ ბინადრობის მაძიებელი პირის მეუღლე საქართველოს მოქალაქეა, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი აქვს საქართველოში, ამასთანავე, სააგენტოს მიერ მოსარჩელის სახელზე გაცემული იყო ბინადრობის ნებართვა. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 02.10.2019წ. წერილით ხელახლა გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, რომლის 14.10.2019წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ბ. ა. ფ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 18.1 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 18.10.2019წ. სადავო გადაწყვეტილებით ბ. ა. ფ-ს უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე „უცხო-

ელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 18.1 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე. საქმეში წარმოდგენილია №... დაბადების მოწმობა, რომლის თანახმად, მოსარჩელე ბ. ა. ფ-ს და მის მეუღლეს (საქართველოს მოქალაქეს) – ა-უ მ-ას შეეძინათ შვილი – ა. ა. ფ-ი, რომლის დაბადების ადგილია ქ. თბილისი, ხოლო მოქალაქეობა – საქართველო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოში უცხოელის შემოსვლა თუ გარკვეული დროით ყოფნა, მათ შორის საქართველოს მოქალაქესთან დაოჯახებისას, არ არის აბსოლუტური უფლება, სათანადო საფუძვლების არსებობისას აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, ამ მიმართულებით სახელმწიფოს შეფასების ფართო ფარგლები აქვს მით უფრო მაშინ, როდესაც დღის წესრიგში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საკითხი დგას. ის, რომ სახელმწიფოს, მასზე დაკისრებული საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულებიდან გამომდინარე, აქვს თავის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, დარჩენის და ყოფნის ხანგრძლივობის კონტროლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადანყევტილებაში განიმარტა: კონვენცია არ ახდენს კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლი-სა და ყოფნის უფლების უზრუნველყოფას (იხ. მაგ. 20.06.2002წ. „Al-Nashif v. Bulgaria“ (§114), 06.12.2007წ. „Liu v. Russia“ (§49), 28.06.2011წ. „Nunez v. Norway“ (§66), 21.06.1988წ. „Berrehab v. the Netherlands“ (§28), 03.10.2014წ. „Jeunesse v. The Netherlands“ (§100), 13.12.2012წ. „De Souza Ribeiro v. France“ (§77), 24.04.1996წ. „Boughanemi v. France“ (§41) და სხვ.), თუმცა სახელმწიფოს მიერ უცხოელთა მიმართ განხორციელებული ქმედებები სათანადო ნორმატიულ საფუძველს უნდა ეფუძნებოდეს. საქართველოში უცხოელთა შემოსვლის, ყოფნის და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი, რომლის თანახმად, საქართველოში შემოსვლის და ყოფნის ერთ-ერთი საფუძველია ბინადრობის ნებართვა (მე-5 მუხ. „ბ“ ქვ.პ.), მისი გაცემა ხდება საქართველოში კანონიერი საფუძველით მყოფ უცხოელზე, უკეთუ იგი კანონით განსაზღვრულ წინაპირობებს აკმაყოფილებს (14.1 მუხ.). კანონის მე-15 მუხლი ადგენს ბინადრობის სახეებსა და კონკრეტული სახის ბინადრობის ნებართვის გაცემის ფორმალურ წინაპირობებს. კანონის მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის სახეებს შორის სახელდება მუდმივი ცხოვრე-

ბის ნებართვა, რომლის გაცემაც საქართველოს მოქალაქის მეუღლესა და მშობელზე დაიშვება. დადგენილია, რომ მოსარჩელეს ჰყავს საქართველოს მოქალაქე მეუღლე და შვილი, თუმცა მის სახელზე ბინადრობის ნებართვის გაცემა არ მოხდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის საფუძველით. მართალია, კანონით დადგენილი ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი იმთავითვე არ წარმოშობს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ვალდებულებას, თუმცა იმ პირობებში, როდესაც სააგენტოში წარდგენილ განცხადების ფორმალური ხარვეზებზე მითითება არ ხდება და ბინადრობის კონკრეტული სახის გაცემისთვის ნორმატიულად დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილება სადავო არ არის, ბინადრობის გაცემაზე უარი მომეტებულ დასაბუთებას საჭიროებს. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიცია სადავო აქტის მართლზომიერებასთან დაკავშირებით ეფუძნება მხოლოდ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნის პირობებში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომეტებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სააგენტო მოკლებული იყო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად (კანონის 17.10 მუხ.). საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მიხედვით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად სააგენტო ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან (13.5 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, რომლის წერილით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით, რომლებიც ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას უცხოელის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივ წესრიგისთვის საფ-

რობის შემქმნელი საქმიანობის განხორციელებისას. საკასაციო სამართლოს მიერ 22.06.2022წ. №ბს-631(კ-21) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ბ. ა. ფ-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის. საკასაციო პალატა გაეცნო კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსს, საქმეში დაცულ მასალებს და მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარი არ არის სათანადოდ დასაბუთებული. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით („ა“, „გ“ ქვ.პ.) გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დასადგომად – ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად უნდა დადასტურდეს ნორმითვე გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა, კერძოდ, საქართველოში უცხოელის ყოფნით ქვეყნის უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსაზრება ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ არ არის საკმარისი, მისი მოსაზრება სათანადოდ უნდა დასაბუთდეს. განსახილველ შემთხვევაში ასეთი დასაბუთების არსებობა არ იკვეთება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არის შემთხვევები, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემები და დასკვნები იმთავითვე გამორიცხავს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის დასაბუთებულობის, აღწერილი საფრთხის რეალიზების საკმარისი ალბათობის, განვითარებული მსჯელობის გონივრულობისა და სარწმუნოების გამო. ამასთანავე, მაშინაც კი, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაცია პირზე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სათანადოდ ასაბუთებს, არ გამოირიცხება კერძო და საჯარო ინტერესთა ურთიერთშეპირისპირების საჭიროება, თუმცა ასეთ დროს კერძო ინტერესი უკან იხევს, რადგან კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სათანადოდ დასაბუთებული დასკვნა ცხადს ხდის საჯარო ინტერესის პრიორიტეტულობას. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელესთან დაკავშირებით კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია იმთავითვე არ ადასტურებს ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი სათანადო საფუძვლების არსებობას.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის

მიხედვით უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ: არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ („ა“ ქვ.პ.) ან/და უცხოელი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს („გ“ ქვ.პ.). თავის მხრივ სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან, სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან, ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან ან ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანი ვაჭრობის ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (18.2 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარი ეთქვა სწორედ სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის მიზნით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის საფუძველზე მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევა ქმნიდა სადავო აქტის გამოცემის საკმარის საფუძველს, ხოლო მოსარჩელე თვლის, რომ სადავო აქტი გამოცემულია საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების გარეშე, უგულებელყოფილია საქართველოს მოქალაქეზე მისი დაოჯახების ფაქტი და მათი მცირეწლოვანი შვილის ინტერესები, ასევე არ ირკვევა მოსარჩელის კონკრეტულად რა ქმედებები მიიჩნიეს სახელმწიფო/საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემქმნელად.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის თანახმად, კანონითვე დადგენილი გამონაკლისის გარდა საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორიც – საქართველოს მოქალაქეს (1-ლი პ.), საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს (მე-3 პ.). ამდენად, ბინადრო-

ბის ნებართვის გაცემით სახელმწიფოსა და უცხოელს შორის ჩამოყალიბებული სამართალურთიერთობის შედეგად, სახელმწიფო უცხოელის მიმართ გარკვეული ვალდებულებებით იტვირთება. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემა ხდება არა ერთეულ შემთხვევებში, არამედ ჯამურად მრავალ პირზე, შესაძლოა მოხდეს სახელმწიფოს დამატებითი ვალდებულებებით გადატვირთვა, რაც სახელმწიფოს შეზღუდული რესურსის მხედველობაში მიღებით არ იქნება საჯარო ინტერესის შესაბამისი. ზემოაღნიშნულის გარდა მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სხვა არაერთი ინტერესი, რომლის დაცვასაც სახელმწიფოში უცხოელის ყოფნის რეგულირება ემსახურება. ქვეყანაში უცხოელთა შემოსვლისა და ყოფნის რეგულირება ხორციელდება არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის, სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და დანაშაულთან ბრძოლის მიზნით (19.01.2012წ. „Popov v. France“ (§137)). საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს, არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 25.4 მუხ.). შესაბამისად, უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემისას ყოველთვის არსებობს საჯარო ინტერესი, რომლის დაცვის საჭიროებაზე მითითებაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, თუმცა რომელიმე საჯარო ინტერესზე აბსტრაქტული მითითება როგორც წესი არ ქმნის უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სათანადო, თვითკმარ დასაბუთებას, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ ინტერესს უცხოელის და მისი ოჯახის წევრთა კერძო ინტერესი უპირისპირდება. ამდენად, სახელმწიფოებს არ ეკრძალებათ უცხოელთა ქვეყანაში შესვლისა და იქ დარჩენის ხანგრძლივობის რეგულირება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდთა უფლებებში ჩარევა იყოს აუცილებელი და მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული (21.06.1988წ. „Berrehab v. The Netherlands“ (§28)), კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა უნდა გამართლდეს უკიდურესი სოციალური საჭიროებით და იყოს მისაღწევი მიზნის თანაზომიერი (24.04.1996წ. „Boughanemi v. France“ (§41)). ამასთანავე, სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას სახელმწიფოს დისკრეციის ფარგლები განსაკუთრებით ფართოა (26.03.1987წ. „Leander v. Sweden“), სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეცია იმის დასადგენად თუ რა

წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფო უშიშროებისთვის (06.12.2007წ. „Liu v. Russia“ (§57)), მაგრამ ეს არ გამოორიცხავს აუცილებლობისა და პროპორციულობის საკითხებზე მსჯელობის, საჯარო და კერძო ინტერესის ურთიერთშეპირისპირების საჭიროებას. ეროვნული უშიშროებისათვის საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც კი, გადანაცვეტილებები, რომლებმაც პირის უფლებებში ჩარევა გამოიწვია, უნდა დაექვემდებაროს სათანადო კონტროლს, რომელიც უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი, კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება შეეძლება (20.06.2002წ. „Al-Nashif v. Bulgaria“ (§123, 124), 15.11.1996წ. „Chahal v. The United Kingdom“ (§127, 145)). ამდენად, ევროპული სასამართლო არ უარყოფს სახელმწიფოს მიერ უცხოელის თავის ტერიტორიაზე შესვლის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა იმ პირობით, რომ სახელმწიფო ორგანოს გადანაცვეტილებას ექნება შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი და რომ მასზე ქმედითი კონტროლი განხორციელდება. განსახილველ შემთხვევაში საკითხზე გადანაცვეტილების მიმღები ორგანოს – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის საფუძველად არსებული საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვა, შესწავლა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში განხილვა არ დასტურდება, თუმცა აღნიშნული ხარვეზი შესაძლებელია აღმოიფხვრას სააგენტოს სადავო აქტის მართლობიერებაზე სასამართლოს რეალური, ქმედითი კონტროლის განხორციელებით. დგინდება, რომ მოსარჩელეს მიეცა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 18.10.2019წ. გადანაცვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, თავის მხრივ სასამართლოს აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადანაცვეტილების კანონიერებაზე სრული კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა: იგი გამოითხოვს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაცულ საიდუმლო ინფორმაციას, ეცნობა მას და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასების შედეგად იღებს გადანაცვეტილებას ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის გაზიარების თუ მის გაზიარებაზე უარის თქმის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ ფორმალურად სადავო აქტის მიმართ სასამართლო კონტროლის აღნიშნული წინაპირობები სახეზეა, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გამოითხოვეს სადავო აქტის გამოცემის საფუძველად არსებული საიდუმლო ინფორმაცია, თუმცა საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებულ კონტროლს ჰქონდა მხოლოდ ფორმალური და არა რეალუ-

რი, ქმედითი ხასიათი, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცავს მხოლოდ ცალმხრივ, აბსტრაქტულ მითითებას საჯარო ინტერესზე, სრულად უგულვებელყოფილია ის გარემოებები, რომ მოსარჩელეს ჰყავს საქართველოს მოქალაქე მეუღლე და შვილი, რომლებიც საქართველოში მუდმივად ცხოვრობენ, ასევე არ არის შეფასებული მოსარჩელის საქართველოში დასაქმების, მის მიერ შპს-ს დაარსების დამდგენი დოკუმენტები. სააპელაციო პალატას არ მოუხდენია საჯარო ინტერესისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის საჭიროების ურთიერთმიმართების შეფასება. მართალია, იმიგრაციასთან დაკავშირებით პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვა არ შეიძლება განიმარტოს, როგორც წყვილების მიერ საცხოვრებლად და საოჯახო მეურნეობის საწარმოებლად არჩეული სახელმწიფოს ვალდებულება მისცეს მათ თავის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება, თუმცა სახელმწიფოდან იმ პირის გაძევებამ, რომლის ოჯახის წევრები ამ სახელმწიფოში ცხოვრობენ, შესაძლოა შექმნას კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევის საფუძველი. უფლებაში ჩარევა დარღვევად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის ჩარევის გამამართლებელი საფუძვლები: ჩარევა უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი და უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში (06.12.2007წ. „Liu v. Russia“ (§49, 50, 52), 28.06.2011წ. „Nunez v. Norway“ (§70)). ამ კუთხით სახელმწიფოს ვალდებულებების მოცულობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გარკვეული სპეციფიური გარემოებები, მათ შორის, ოჯახის კავშირის ხარისხი სახელმწიფოსთან, ოჯახური ცხოვრებისთვის ხელშემშლის ხარისხი, საიმიგრაციო კონტროლთან დაკავშირებული ფაქტორები, ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი საჯარო ინტერესი და სხვ. (28.06.2011წ. „Nunez v. Norway“ (§70), 03.10.2014წ. „Jeunesse v. The Netherlands“ (§107)), რაც განსახილველ შემთხვევაში არ შეფასებულა. გასათვალისწინებელია, რომ მსგავს დავებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ოჯახური ვითარების და თანამდევნი მნიშვნელობის მქონე ფაქტორების სრულად და სიღრმისეულად შეუსწავლელობა, ეროვნული სასამართლოს მიერ გასაჩივრებული აქტის მხოლოდ ფორმალური განხილვით შემოფარგვლა – მიჩნეულ იქნა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევად (26.11.2013წ. „X v. Latvia“ (§70), 08.06.2006წ. „Lupsa v. Romania“ (§41)). ის, რომ სადავო აქტი კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფით მოსაზრებას ეყრდნობა, რომელიც თავის მხრივ საიდუმლო ინფორმაციის დამუშავების შედეგად არის ჩამოყალიბებული, არ გამოორიცხავს კერძო და საჯარო ინტერესების

პროპორციულობის შესახებ მსჯელობის გარკვეული მოცულობის სასამართლოს გადანყვეტილებაში ასახვის საჭიროებას. სასამართლოს ჰქონდა სრული შესაძლებლობა საქმეში დაცული ღია მასალების საფუძველზე განესაზღვრა მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების კერძო ინტერესები, მათი დაცულობის ხარისხი და უზრუნველყოფის საჭიროება და ამ კუთხით არსებული მსჯელობა მაინც აესახა გადანყვეტილებაში.

საჯარო და კერძო ინტერესების სათანადოდ იდენტიფიცირება და მათ პროპორციულობაზე მსჯელობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ დავებში, რომელშიც არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის საჭიროება იკვეთება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, ოჯახის ერთიანობა უცხოელის საქართველოში შემოსვლის, ყოფნის ერთ-ერთი პრინციპთაგანია („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვ.პ.). მშობლებისა და მათი შვილის ერთმანეთთან ურთიერთობა ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს (19.01.2012წ. „Popov v France“ (§134)). სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანია ერთმანეთს დაუპირისპირდეს, ერთი მხრივ, ოჯახის ერთიანობისა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებისათვის პირის ამ უფლებაში ჩარევის თანაზომიერება და აუცილებლობა. სასამართლო ვალდებულია ყველა მსგავს შემთხვევაში გადანყვეტილება სწორედ ამ ორი საკითხის ურთიერთშეპირისპირების შედეგად მიიღოს (28.06.2011წ. „Nunez v. Norway“ (§78-85)). ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ორი ინტერესიდან რომელიმე მათგანი იმთავითვე არ გადაწონის მეორე ინტერესს, მათი შეპირისპირება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებისა და საიდუმლო ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. გადანყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ და შეაფასონ მტკიცებულებათა მიზანშეწონილობა, ლოგიკურობა და პროპორციულობა ბავშვის არამოქალაქე მშობლის გაძევებასთან დაკავშირებული გადანყვეტილების მიღებისას, რათა ყურადღების გამახვილება მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე, რომელზეც განსახორციელებელი ღონისძიება პირდაპირ გავლენას მოახდენს. ბავშვებთან დაკავშირებული ყველა გადანყვეტილების მიღებისას მათი საუკეთესო ინტერესები უმნიშვნელოვანესია. მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული ისინი არ არის გადამწყვეტი, მსგავს ინტერესებზე უნდა გამახვილდეს მნიშვნელოვანი ყურადღება (03.10.2014წ. „Jeunesse

v. The Netherlands“ (§109, 118)). ის, რომ კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლისა და ცხოვრების უფლება გარანტირებული არ არის, არ გამორიცხავს იმ ქვეყანაში ცხოვრების აკრძალვით, სადაც მისი ოჯახის ახალი წევრები ცხოვრობენ, პირის ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევას (08.06.2006წ. „Lupsa v. Romania“ (§25)). ამასთანავე, ოჯახური ცხოვრების უფლება შესაძლოა დაერღვეს არა მხოლოდ უცხოელს, არამედ მის ოჯახის წევრებსაც, მაგ.: როგორც განსახილველ შემთხვევაშია – მეუღლეს და მცირეწლოვან შვილს. ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში, სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, პატივს სცემენ ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს ოჯახური ურთიერთობა („ბავშვის უფლებების შესახებ“ გაეროს 20.11.1989წ. კონვენციის (საქართველოში ძალაშია: 02.07.1994წ.) პრეამბულა, 8.1, 9.1 მუხ., ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-9, 25.1 მუხ.). სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის, განსაკუთრებით - ბავშვის აღზრდისა და კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი გარემოცვის, დაცვასა და მხარდაჭერას (ბავშვის უფლებათა კოდექსის 1.2 მუხ. „ე“ ქვ.პ.). „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპურველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ანალოგიურ დანაწესს შეიცავს აგრეთვე ეროვნული კანონმდებლობა, კერძოდ, ბავშვის უფლებათა კოდექსის 5.3 მუხ.). ამასთანავე, მცირეწლოვან ბავშვებს კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლება გააჩნიათ და ადრეული ასაკი ამ უფლებების რეალიზებისათვის კრიტიკულ პერიოდს წარმოადგენს, მცირეწლოვანი ბავშვები დამოკიდებულნი არიან პასუხისმგებელ ორგანოებზე, რომლებმაც უნდა შეაფასონ და წარმოადგინონ მათი ინტერესები და უფლებები იმ გადანყვებილებისა და ქმედებების დროს, რომლებიც ბავშვების კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას (26.11.2013წ. „X v. Latvia“ (§39)). ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მისი ოჯახურ გარემოში პიროვნული განვითარების უფლება (ბავშვის უფლებათა კოდექსის 5.2 მუხ.). ამასთანავე, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ოჯახის არსებობის ფაქტი იმთავითვე არ გულისხმობს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების სავალდებულო გარანტირებას

(19.01.2012წ. „Popov v France“ (§134)). გადამწყვეტი საკითხია ის, თუ რამდენად იქნა დაცული სამართლიანი ბალანსი სხვადასხვა მონინალმდევე ინტერესებს შორის, კერძოდ, ბავშვის, ორივე მშობლის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებს შორის. სასამართლოს სახელმწიფოსათვის მინიჭებული შეფასების ფარგლების, ოჯახში შექმნილი ვითარებისა და მთელი რიგი ფაქტორების ძირეული შესწავლა მოეთხოვება, რათა მისი დასაბუთება იყოს არაავტომატური, არასტერეოტიპული და საკმარისად დეტალური (26.11.2013წ. „X v. Latvia“ (§95, 104, 107)). ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას როგორც აღმასრულებელმა ორგანოებმა, ასევე სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა განსაზღვრონ და მათი სავალდებულო შეფასება განახორციელონ ბავშვის ყველა სხვა უფლების დაცვის, ბავშვებისადმი თანასწორი მოპყრობის მხედველობაში მიღებით, მულტიდისციპლინური მიდგომით, ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის, მისი სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების შეფასებით (ბავშვის უფლებების კოდექსის 5.5 მუხ.). ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ მიღებული განწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს მათ შორის ისეთი საბაზისო კრიტერიუმების მიხედვით, როგორებიცაა: ბავშვის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, ბავშვსა და მის მშობელს შორის ურთიერთობა, ორივე მშობელთან ბავშვის ურთიერთობის შენარჩუნების ან აღდგენის შესაძლებლობა და სხვ. (ბავშვის უფლებათა კოდექსის 81.3 მუხ.). სასამართლო უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელებას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპების გათვალისწინებით (ბავშვის უფლებათა კოდექსის 95.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება ბავშვისა და მისი მშობლების ინტერესების შეფასების კუთხით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოებების გამოკვლევა, მოსარჩელის საქართველოში ყოფნით სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის დასაბუთებულობა, დაპირისპირებულ ინტერესთან პროპორციულობაზე მსჯელობა. იმის გათვალისწინებით, რომ საიმიგრაციო საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოებს აქვს თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები, ასეთ საქმეებში მთავარი საკითხია ერთი მხრივ მომჩივანისა და მისი ოჯახის პირად ინტერესს და მეორე მხრივ არსებულ საჯარო ინტერესებს, მათ შორის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესს შორის ბალანსის დაცულობა (03.10.2014წ. „Jeunesse v. The Netherlands“ (§121), 24.04.1996წ. „Boughanemi v France“ (§42)), რაც

განსახილველ საქმეში არ შეფასდა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ უნდა მოხდეს როგორც კერძო, ასევე საჯარო ინტერესის განსაზღვრულობის საკმარისი ხარისხით იდენტიფიცირება და კერძო ინტერესის სახელმწიფო უსაფრთხოების არა აბსტრაქტულ ინტერესთან შეპირისპირება, არამედ კონკრეტულად – სახელმწიფო უსაფრთხოების კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის საფუძველად არსებულ საიდუმლო ინფორმაციაში ასახულ საფრთხეებთან შედარება, რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის დასაბუთებულობა, სარწმუნოობა, საფრთხის შინაარსი, მოსალოდნელობა და სხვ..

დავის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელი იყო აგრეთვე, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოსარჩელის სახელზე ერთხელ უკვე იყო გაცემული ბინადრობის ნებართვა. მართალია, ოჯახის ერთიანობის დაცვის საჭიროება იმთავითვე არ წარმოშობს სახელმწიფოს მიერ რომელიმე კონკრეტული სახის ბინადრობის მოწმობის გაცემის ვალდებულებას (06.12.2007წ. „Liu v. Russia“ (§50)) და ბინადრობის ნებართვის ერთხელ გაცემა იმთავითვე არ გულისხმობს უცხოელის ყოველი შემდგომი მოთხოვნის დაკმაყოფილების სავალდებულობას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ როდესაც სახელმწიფო უცხოელს ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას აძლევს, ამით სახელმწიფო უშვებს უცხოელის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის, მის მიერ ურთიერთობების დამყარებისა და მათ შორის ოჯახის შექმნის შესაძლებლობას. მართალია, აღნიშნული არ ავალდებულებს სახელმწიფოს მუდმივად აცხოვროს ასეთ ურთიერთობებში მყოფი უცხოელი თავის ტერიტორიაზე და მსგავს სიტუაციაში ადამიანებს ზოგადად არ უნდა ჰქონდეთ ბინადრობის ნებართვის მიღების მოლოდინი, თუმცა სახელმწიფოს მიდგომა კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით უნდა დასაბუთდეს, ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს ინდივიდის და მთლიანი საზოგადოების დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიან ბალანსზე (03.10.2014წ. „Jeunesse v. the Netherlands“ (§103, 106)). განსახილველ შემთხვევაში საქმეში დაცული მასალებიდან არ იკვეთება დაპირისპირებულ ინტერესთა პროპორციულობის შეფასება, არ ხდება ასევე ისეთ გარემოებებზე მითითება, რომლებიც არ არსებობდა მოსარჩელის სახელზე ბინადრობის ნებართვის გაცემისას და შემდგომ პერიოდში წარმოიშვა, ხოლო თუ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ მითითებული გარემოებები მოსარჩელის სახელზე ბინადრობის ნებართვის გაცემის დროსაც არსებობდა, მაშინ გაურკვეველია ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებების პირო-

ბებში ერთ შემთხვევაში ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილად, ხოლო მეორე შემთხვევაში – მიზანშეწონილად მიჩნევის დასაბუთება.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ საქმეში სადავოდ გამხდარი აქტი გამოცემულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში მყოფი 25.06.2019წ. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. აღნიშნული გადაწყვეტილებით ბ. ა. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 16.04.2019წ. გადაწყვეტილება და სააგენტოს დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ბ. ა. ფ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის პირობებში, მართალია მოპასუხეს შეეძლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა, თუმცა სააგენტომ სათანადოდ არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ ბინადრობის მაძიებელი პირის მეუღლე საქართველოს მოქალაქეა, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი აქვს საქართველოში, ამასთანავე, სააგენტომ მიერ მოსარჩელის სახელზე გაცემული იყო ბინადრობის ნებართვა. სასამართლომ მიუთითა აგრეთვე სააგენტოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპების გათვალისწინების საჭიროებაზე. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მხოლოდ ხელახლა გამოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, სხვა რაიმე მტკიცებულებების გამოკვლევა, მოსარჩელის დაოჯახებისა და დასაქმების, მის სახელზე წარსულში ბინადრობის ნებართვის გაცემის ფაქტების შეფასება არ მომხდარა, სააგენტოს 18.10.2019წ. გადაწყვეტილება სიტყვასიტყვით იმეორებს სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილ 16.04.2019წ. №1000659272 გადაწყვეტილებას. სააგენტოს არ უმსჯელია აგრეთვე მოსარჩელის მცირეწლოვანი შვილის ინტერესებზე (დგინდება, რომ სადავო აქტი გამოიცა 18.10.2019წ., ხოლო მოსარჩელის შვილიწ. დაიბადა), არ შეუფასებია საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობა. არ დგინდება აგრეთვე სააგენტოს მიერ კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მიღებული უარყოფითი დასკვნის საფუძველად არსებული საიდუმლო ინ-

ფორმაციის შესწავლა. აღნიშნული გარემოებების სრული უგულებელყოფით სააპელაციო პალატის საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო – 18.10.2019წ. გადაწყვეტილება მიჩნეულ იქნა კანონიერად.

საკასაციო შესაგებელში სააგენტოს მიერ დაფიქსირებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის პირობებში სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ვერ მიიღებდა დადებით გადაწყვეტილებას, რადგან მოკლებულია დეპარტამენტის დასკვნის გაცნობისა და რევიზიის შესაძლებლობას, არ ასაბუთებს სადავო აქტის კანონიერებას, რადგან „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონით დადგენილია სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების წესი, კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო საიდუმლოებასთან, როგორც სახელმწიფო ორგანოს, ასევე ინდივიდუალური დაშვების უზრუნველყოფას (მე-19, მე-20 მუხ.). სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს დაშვება გაცივმა იმ სახელმწიფო ორგანოზე, დაწესებულებაზე, რომელსაც აქვს ფიზიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული შესაძლებლობა სათანადოდ მოეპყრას სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას და აქვს ასეთი ინფორმაციის გაცნობის საჭიროება (19.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხზე გადანაცვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 14.1 მუხ.) და არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომლის დასკვნაც არის სააგენტოს გადაწყვეტილების განმსაზღვრელი ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფაქტორი, დაინტერესებული პირისათვის სამართლებრივ შედეგს იწვევს არა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა, არამედ საქმის გარემოებების გამოკვლევის, მათ შორის აღნიშნული დასკვნის შეფასების, დაპირისპირებულ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების საქმის გარემოებათა სათანადო გამოკვლევის გარეშე მიღების შესაძლებლობას. დისკრეციის ფარგლებში გამოცემული აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა (სზაკ-ის 7.2 მუხ.). კონტრდაზვერვის დეპარტამენტის განმარტება ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ კონკრე-

ტული საიდუმლო ინფორმაციის დამუშავებას ემყარება, შესაბამისად, სააგენტო ვალდებულია მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების ფარგლებში, თავის უფლებამოსილებათა კანონშესაბამისად შესასრულებლად, განახორციელოს სათანადო მოქმედებები შესაბამისი დასკვნის შინაარსთან დაშვების უზრუნველყოფის მიზნით, რადგან საკითხის კანონშესაბამისად გადასაწყვეტად მას ამ საიდუმლო ინფორმაციის გაცნობა ესაჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არამართლზომიერი იქნება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ბინადრობის გაცემის მიზანშეუწონლობის საკითხთან დაკავშირებით დაუსაბუთებელ დასკვნას მიიღებს. მხოლოდ ის გარემოება, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილის თანახმად, უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონელია, არ ასაბუთებს სააგენტოს გადაწყვეტილების კანონშესაბამისად მიღებას. ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერების დასადასტურებლად სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ უარის თქმის ფორმალურ-ნორმატიული საფუძველი და აბსტრაქტულად დასახელებული ლეგიტიმური მიზანი, არამედ საკმარისად იდენტიფიცირებადი კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა დადასტურდეს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის პროპორციულობა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სასამართლო არ ავალებს სააგენტოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის რევიზიას, თუმცა სააგენტო, სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე, როგორც აქტის გამომცემი ორგანო, უნდა იცნობდეს და შეფასებას აძლევდეს აქტის დასაბუთებას ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზნებისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (სუსგ 26.01.2023წ. №ბს-1190(კ-21), 26.01.2023წ. №ბს-115(კ-22)). განსახილველი ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის შეფასება მით უფრო ეკისრება სადავო აქტის მართლზომიერებაზე კონტროლის განმახორციელებელ სუბიექტს – სასამართლოს. სააპელაციო პალატის მითითება, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნა სააგენტოს აძლევდა ბ. ა. ფ-ის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესაძლებლობას, არ ასაბუთებს სადავო აქტის მართლზომიერებას. კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დანაწესი, რომ სააგენტოს შეუძლია უარი თქვას ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, უკეთუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა უცხოელის საქართველოში ყოფნის მიზანშეუწონლობის

შესახებ, არ გულისხმობს სააგენტოს მიერ სამართლებრივი შედეგის არჩევის სრულ თავისუფლებას და უცხოელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ უარყოფითი დასკვნა არის გაცემული. აღნიშნული დანაწესი განსაზღვრავს ორგანოს ფორმალურ უფლებამოსილებას, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში ზოგადად შესაძლებელია უცხოელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, თუმცა ეს არ გამოირიცხავს აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს და დავის განმხილველი სასამართლოს მიერ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის სათანადოობისა და დასაბუთებულობის შეფასების საჭიროებას, რაც განსაზღვრულ შემთხვევაში არ მომხდარა. სააპელაციო პალატა პროპორციულობის საკითხის უგულვებელყოფით სადავო აქტის კანონიერებაზე მსჯელობისას შემოიფარგლა მხოლოდ ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ფორმალურ-ნორმატიულ საფუძველსა და საჯარო ინტერესზე ზოგადი მითითებით.

სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონმდებლობის არ ასაბუთებს სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითება საკასაციო სასამართლოს განჩინებებზე. საკასაციო პალატის მითითებული განჩინებები (სუსგ 07.10.2020წ. №ბს-207(კ-20), 16.04.2020წ. №ბს-815(კ-19), 07.10.2020წ. №ბს-311(კ-20)) არ შეიცავენ განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნა, იმთავითვე, ყოველგვარი შეფასების გარეშე უცხოელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს ქმნის, მითითებულ დავებში საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ გაეცნო კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის საფუძველად არსებულ დოკუმენტაციას და მიიჩნია, რომ სააგენტოს ჰქონდა უცხოელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლება, საკასაციო პალატამ შეაფასა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის შინაარსი, საფუძვლები და მიიჩნია, რომ იგი მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ქმნიდა ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელ საკმარის წინაპირობას, რაც, რა თქმა უნდა არ გულისხმობს იმას, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნა მისი შინაარსისა და განსაზღვრული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიუხედავად იმთავითვე, ყველა შემთხვევაში ქმნის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს. საკითხის გადამწყვეტის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციულ ორ-

განოს შესაძლოა დასჭირდეს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან გარკვეული ინფორმაციისა და მონაცემების გამოთხოვა, რომელთაც შესაძლოა განმსაზღვრელი მნიშვნელობა მიენიჭოთ საკითხის გადაწყვეტისას, თუმცა ეს არ გულისხმობს საკითხზე გადაწყვეტილების მიმღებად იმ ორგანოს მიჩნევას, რომელმაც მხოლოდ სათანადო ინფორმაციის მიწოდება მოახდინა. უკეთეს საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო სრულად დამოკიდებულია სხვა სუბიექტის მიერ მიწოდებულ მოსაზრებებზე იმდაგვარად, რომ მას ამ მოსაზრებებისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია, მაშინ იგი რეალურად აღარც არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. თავისი ნორმატიული უფლებამოსილებებიდან გამომდინარე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის განმარტებები სახელმწიფო უშიშროების თუ საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შექმნის შესახებ რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია, თუმცა არ გამოირიცხება სააგენტოს, როგორც უცხოელისათვის ბინადრობის მინიჭების საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსაზრებების გაზიარებაზე უარის თქმა ან მათი გაზიარების მიუხედავად, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, პროპორციულობის პრინციპის დაცვით გადაწყვეტილების კერძო ინტერესების სასარგებლოდ მიღება.

სააპელაციო პალატის მითითება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე („Segersted-Wiberg and oth. v Sweden“, „Klass and oth. v Germany“), ასევე არ ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგის მართებულობასა და დასაბუთებულობას. საქმეზე Segersted-Wiberg and oth. v Sweden განიმარტა, რომ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს პოლიციის სახელმწიფო საიდუმლო რეესტრი, რომელიც შექმნილი იქნება ეროვნული უშიშროების დასაცავად და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასევე განიმარტა, რომ ინფორმაციის გამჟღავნება დააზარალებდა სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, შესაბამისად, ამ საიდუმლო ინფორმაციასთან კერძო პირთა დაშვებაზე უარი გამართლებული იყო, ეროვნული უშიშროებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზები გადასწონიდა ინდივიდთა ინტერესებს, გასცნობოდნენ უშიშროების პოლიციის საიდუმლო რეესტრში მათ შესახებ არსებულ სრულ ინფორმაციას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი დავის საგნიდან გამომდინარე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ასახული განმარტებების ციტირება არარელევანტურია,

რადგან მიმდინარე დავის საგანს არ შეადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მოსარჩელის შესახებ არსებული საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოების საკითხი, სასარჩელო მოთხოვნა არ არის ამ ინფორმაციის ლიაობის უზრუნველყოფა, მაშინ როდესაც *Segersted-Wiberg and oth. v Sweden* საქმეზე ეროვნული და ევროპული სასამართლოების განხილვის საგანს შეადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოში დაინტერესებულ პირთა შესახებ დაცულ ინფორმაციასთან ამავე პირთა დაშვებაზე უარის თქმის მართებულობა. განსახილველი დავა წყდება იმ მოცემულობის მხედველობაში მიღებით, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნიდან გამომდინარე ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევას, გასაიდუმლოებულია და მისი განსაიდუმლოების საკითხი განსახილველი დავის საგანს არ შეადგენს. ანალოგიური მსჯელობის განვითარება შესაძლებელია აგრეთვე სააპელაციო პალატის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს „*Klass and oth. v Germany*“ გადაწყვეტილების ციტირებასთან დაკავშირებითაც. აღნიშნულ დავაში მომჩივნები არამართებულად მიიჩნევდნენ სახელმწიფოს მიერ ისეთი ნორმატიული მოწესრიგების დადგენას, რომელიც შესაძლებლად მიიჩნეოდა ინდივიდებისთვის წინასწარი ან შემდგომი შეტყობინების გარეშე ფარული მიყურადებისა თუ თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებას. საქმის განხილვისას ევროპულმა სასამართლომ განმარტებები გააკეთა სახელმწიფოს ხელში ეროვნული უშიშროების დაცვის მიზნებისათვის ეფექტიანი ღონისძიებების არსებობის საჭიროებაზე, ფარული მიყურადებისა და თვალთვალის გარკვეულ პირობებში დაშვების აუცილებლობაზე, დასაშვებობის წინაპირობებზე, სახელმწიფოს ფართო მიხედულების ფარგლებზე, აღნიშნულ ღონისძიებებზე ქმედითი კონტროლის განხორციელების საჭიროებაზე და სხვ.. „*Klass and oth. v Germany*“-ს საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, გაურკვეველია რა კუთხით ასაბუთებს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა განსახილველ დავაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. სადავო არ არის ის გარემოება, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის ეფექტიანი დაცვის მიზნით გარკვეული ფარული ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა, თუმცა გაურკვეველია ამ დებულების რელევანტურობა განსახილველ დავასთან მიმართებით.

საკასაციო პალატა ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას, გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლოა საჭირო გახდეს საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება (06.12.2007წ. „Liu v. Russia“ (§62)). ამასთანავე, ინფორმაციასთან დაშვების პროცედურული შეზღუდვები შეიძლება აუცილებელი იყოს იმ საიდუმლო ინფორმაციის ნებისმიერი სახით გამჟღავნებისგან თავიდან აცილების მიზნით, რომლის ღიაობამაც სახელმწიფო უსაფრთხოებას ზიანი შეიძლება მიაყენოს (20.06.2002წ. „Al-Nashif v. Bulgaria“ (§137), 24.04.2008წ. „C.G. and oth. v. Bulgaria“ (§57)). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო შეზღუდულია დავის ფარგლებით, რომელსაც დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე მოსარჩელე განსაზღვრავს (სასკ-ის 3.1 მუხ., სსკ-ის 3.1 მუხ.). ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებით მოსარჩელის მითითების მიუხედავად, განსახილველი დავის საგანს შეადგენს მხოლოდ ბ. ა. ფ-ისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება და არა „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის 6.1 მუხლის შესაბამისად საიდუმლოდ მიჩნეული ინფორმაციის განსაიდუმლოების, მოსარჩელის ასეთ ინფორმაციასთან დაშვების საკითხი, რის გამო სასამართლო მოკლებულია ამ მიმართულებით კასატორის არგუმენტაციაზე მსჯელობის განვითარების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა სადავო ადმინისტრაციული აქტისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას ამონიშნავს სწორედ დავის საგნის და იმ მოცემულობის ფარგლებში, რომ მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმას საფუძვლად უდევს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელთან დაშვებაც მოსარჩელეს არ აქვს. ამასთანავე, ის გარემოება, რომ მოსარჩელე არ ერთევა ადმინისტრაციულ წარმოებაში და ვერ ეცნობა სადავო აქტის გამოცემის საფუძვლად არსებულ საიდუმლო ინფორმაციას, არ იწვევს პირის უფლებების დარღვევას, უკეთეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებებზე სასამართლო კონტროლი ქმედითი და რეალურია. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო კონტროლი ფორმალურია, არ ხდება ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლის, აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასება, მაშინ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება რჩება სასამართლოს რეალური კონტროლის ფარგლებს მიღმა, რაც თვითნებობის და ამდენად, პირის უფლებების დარღვევის მომეტებულ რისკს ქმნის. ამასთანავე, საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კერძო პირის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან არდაშვება იმ-

თავითვე არ გულისხმობს ადმინისტრაციული წარმოების ხარვეზს თუ მიღებული აქტის არამართლზომიერებას. როდესაც სადავო გადაწყვეტილებები ექვემდებარება სრულ სასამართლო კონტროლს, რა დროსაც სასამართლომ ახდენს საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებას, ასეთ დროს პირის მიერ სათანადო შესაგებლის წარდგენის შეუძლებლობის მიუხედავად, უცხო ქვეყნის მოქალაქის უფლება დაცვის გარეშე არ რჩება, რადგან სასამართლო აფასებს არა მხოლოდ საჯარო ინტერესს, არამედ კერძო პირის ინტერესებსაც, რის შემდეგაც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, თუმცა ინფორმაციის საიდუმლოების გათვალისწინებით სათანადო დასაბუთების დეტალური ასახვა გადაწყვეტილების ტექსტში არ ხდება. საიდუმლოების დაცვა ილუზორული იქნებოდა, თუ საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტის გაცნობით გახდებოდა ცნობილი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უფლებაში ჩარევა მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე უმნიშველოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა, როგორც თავად უფლების დაცვის, ისე კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებისთვის, რადგან სასამართლო არის არაპოლიტიკური ხელისუფლება, რაც განაპირობებს მის ნეიტრალურობას, პერსონალურად და არსებითად დამოუკიდებელ მოსამართლეს შეუძლია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება უფლებაში ჩარევის აუცილებლობის თაობაზე (საკონსტიტუციო სასამართლოს 26.12.2007წ. გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ე. ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-24). ამასთანავე, სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტიანად მიჩნევა არ არის დამოკიდებული მოსარჩელის სასარგებლო შედეგის დადგომაზე, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა გულისხმობს, რომ კომპეტენტური დამოუკიდებელი ორგანო უცხოელის ბინადრობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ინფორმირებული იყოს, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს მონაცემი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი (მაგ.: სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია), ამასთანავე, მითითებული ორგანო აღჭურვილი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მოსაზრებების უარყოფის შესაძლებლობით, თუ იგი ამ მოსაზრებებს დაუსაბუთებლად და თვითნებურად ჩათვლის (20.06.2002წ. „Al-Nashif v. Bulgaria“, §132, 137). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლო სწორედ ასეთი ორგანოა, იგი დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, სასამართლო აღჭურვილია ქვეყანაში უცხოელის ბინადრობის მინიჭების საკითხთან და-

კავშირებით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველად არსებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის და არასარწმუნოებისა თუ დაუსაბუთებლობის შემთხვევაში საიდუმლოდ მიჩნეულ ინფორმაციაში ასახული მონაცემების გაზიარებაზე უარის თქმის უფლებამოსილებით (სუსგ 29.07.2022წ. №ბს-959(კ-21)), თუმცა როდესაც სასამართლო კონტროლი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, ფაქტობრივად უცხოელის უფლება სათანადო დაცვის გარეშე რჩება. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბინადრობის საკითხზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე სასამართლოს მხრიდან რეალური, ქმედითი კონტროლის განხორციელებას.

ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უშიშროების საფრთხე ფარდობითი კატეგორიის ცნებაა, მას არ ახასიათებს აბსოლუტური განსაზღვრულობა, თუმცა იმისთვის, რომ მასზე მითითებით უცხოელს საქართველოში ყოფნაზე ეთქვას უარი, აუცილებელია მოსალოდნელობის გარკვეული ვარაუდი შეიქმნას. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში უცხოელის ბინადრობის დაშვების დამაბრკოლებელი გარემოებების დამდგენი მონაცემები შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს სისხლის სამართლის საქმეზე გამოსატანი განაჩენის „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტს, თუმცა მთავარია საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემების ერთობლიობა ქმნიდეს სავარაუდოების გარკვეულ ხარისხს, რაც შექმნის გონივრულ ეჭვს, დასაბუთებულ მოლოდინს საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების დამაბრკოლებელი რომელიმე გარემოების არსებობის, ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ (სუსგ 29.07.2022წ. №ბს-959(კ-21)). მოსარჩელისთვის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალის წარუდგენლობა არ გამორიცხავს ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზნებისათვის კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობას. ამდენად, კასატორის მითითება, რომ ვინაიდან მისთვის ბრალის წაყენება არ მომხდარა, ამიტომ არ დასტურდება მისი საქართველოში ყოფნით სახელმწიფო უსაფრთხოების თუ საზოგადოებრივი ნესრიგისთვის საფრთხის შექმნა, არ არის დასაბუთებული. ბრალის წარუდგენლობა იმთავითვე არ ადასტურებს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის არასარწმუნოებას ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზნებისთვის. ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხთან დაკავშირებული დავის განხილვისას სასამართლომ ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში კონკრეტული საქმის თავისებურებების მხედველობაში მიღებით უნდა იმსჯელოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის დასაბუთებულობის, მისი გაზიარების შე-

საძლებლობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება, რომ სასამართლომ შეაფასა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის დასაბუთებულობა, დასკვნის საფუძვლად მითითებული გარემოებების ერთობლიობით სახელმწიფო უშიშროებისთვის საფრთხის შექმნის გონივრული მოლოდინის შექმნა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობაზე მითითება, იმთავითვე არ გულისხმობს ბინადრობის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძვლების არსებობის დადასტურებას. მართალია, ეროვნული უშიშროებისთვის საფრთხის წარმომშობი ქმედებები შესაძლოა თავისი ბუნებით და მახასიათებლებით არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, ამასთანავე, მათი წინასწარი იდენტიფიცირება შესაძლოა ვერც განხორციელდეს, მათი ფართო მნიშვნელობის გამო აღმასრულებელ ხელისუფლებას შესაძლოა ჰქონდეს თავისუფლების ფარგლები იმის განსასაზღვრად თუ რა იგულისხმება უშიშროების ინტერესში, თუმცა სასამართლომ უნდა მოახდინოს რეაგირება, თუ კონკრეტულ შემთხვევაში ტერმინის გამოყენებას არ აქვს გონივრული საფუძველი ან არის თვითნებური, კონტროლის სფეროდან აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება არ გამოირიცხება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ დასაბუთებისას მან ტერმინი „ეროვნული უშიშროება“ მოიშველია (20.06.2002წ. „Al-Nashif v. Bulgaria“ (§121), 24.04.2008წ. „C.G. and others v. Bulgaria“ (§40, 43, 57)).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სათანადო სამართლებრივი შეფასება, გადაწყვეტილება მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ ნაწინამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახლა განხილვისას სათანადოდ უნდა შეფასდეს საქმეში დაცული ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის საქართველოს მოქალაქეზე ქორწინებაზე, მის მიერ შპს-ს დაარსებაზე, საქართველოში მის დასაქმებაზე უთითებენ. უნდა დადგინდეს საქართველოსთან მოსარჩელის რეალური კავშირის ხარისხი, უნდა მოხდეს მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების, გან-

საკუთრებით მისი საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვანი შვილის ინტერესების იდენტიფიცირება და შემდგომში მათი საჯარო ინტერესთან შეპირისპირება. ამასთანავე, სათანადოდ უნდა დადგინდეს აგრეთვე საჯარო ინტერესთა არსებობაც, უნდა შეფასდეს კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობა, უნდა დადგინდეს არსებულ საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსი. მართებულია მოსაზრება, რომ კერძო ინტერესთა დაცვა არ უნდა მოხდეს სახელმწიფო უსაფრთხოების ხელყოფის ხარჯზე, თუმცა უნდა დადასტურდეს ამ ხელყოფის გონივრული მოსალოდნელობა, რისკის რეალიზების დასაბუთებადი ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული გარემოებების გამოურკვევლობისა და შეუფასებლობის პირობებში, საკასაციო სასამართლო მოკლებულია საკითხზე არსებითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რადგან ფაქტობრივად ამ ეტაპზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო აქტზე ეფექტიანი და რეალური სასამართლო კონტროლი არ არის განხორციელებული. საკასაციო პალატა ახდენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონშესაბამისობის შემოწმებას, იგი არ არის ფაქტების დამდგენი ან სადავო აქტზე პირველადი კონტროლის განმახორციელებელი სასამართლო. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების არსებითად დაუსაბუთებლობის პირობებში, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოსთვის საქმის განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ბ. ა. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2021წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის
თქმის კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-199(კ-23)

7 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. რ-ნმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – სსიპ სა-
ხელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი მ. რ-ნის
მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის
11 აპრილის №1000749308 გადაწყვეტილება; ბ) დაევალოს სსიპ სა-
ხელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გამოსცეს ახა-
ლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე მ. რ-ნზე
მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ საქართველოს
კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სარჩელის თანახმად, მ. რ-ნმა 2021 წლის 6 მაისს მიმართა სსიპ
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მუდმივი ცხოვ-
რების ნებართვის მისაღებად, რაც არ დაკმაყოფილდა. თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
2021 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნო-
ბილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021
წლის 24 მაისის გადაწყვეტილება მუდმივი ცხოვრების ნებართვის
გაცემაზე უარის თქმის შესახებ და სსიპ სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშ-
ვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემ-
დეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის გამოცემა. 2022 წლის 11 აპრილის №1000749308 გადაწყვე-

ტილებით მ. რ-ნს კვლავ უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე. სააგენტოს გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. შესაბამისად, გაურკვეველია თუ რის საფუძველზე ჩაითვალა მ. რ-ნის საქართველოში საქმიანობა საფრთხის შემცველად.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. რ-ნის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) მოსარჩელე მ. რ-ნი არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე. 2021 წლის 6 მაისს მ. რ-ნმა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მოითხოვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა. საკითხის განხილვის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 6 მაისის №1000749308/01 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მ. რ-ნისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 21 მაისის SSG 0 21 00064767 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია მ. რ-ნისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით მ. რ-ნს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე; ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, საიდანაც 2022 წლის 9 აპრილს მიიღო წერილობითი პასუხი მოსარჩელე მ. რ-ნისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის თაობაზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვის-

სების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 11 აპრილის №1000749308 გადაწყვეტილებით მ. რ-ნს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

სასამართლომ მიუთითა „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ და მე-6 მუხლებზე და აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი გახდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ შეასრულა, სასამართლოს აღნიშნული დავალეზა და სადავო გადაწყვეტილება მიიღო საქმის გარემოებების დამატებითი გამოკვლევის საფუძველზე. ამასთან, სათანადო წესით გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მიღებული გადაწყვეტილება არსებითად შეესაბამება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადგილი არ აქვს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის არსებით დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. რ-ნმა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. რ-ნის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. მ. რ-ნის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი მ. რ-ნისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 11 აპრილის №1000749308 გადაწყვეტილება, დაევალა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მ. რ-ნისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, მე-2 პუნქტზე და განმარტა, რომ მ. რ-ნის მიერ წარდგენილი განცხადების შესწავლისას, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, შემდგომ კი საერთო სასამართლოების მიერ უნდა შეფასდეს უცხოელის მიმართ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა ხომ არ შეუქმნის საფრთხეს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

პალატის მითითებით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 9 აპრილის SSG 2 22 00056893 ნერილი წარმოადგენს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპეტენტური ორგანოს დასკვნას, ვინაიდან მითითებულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომელიც კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე სრულად აღნიშნულ დოკუმენტში ვერ აისახებოდა. სასამართლო, ისევე როგორც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის შეფასებისას გაითვალისწინოს სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხი.

პალატამ მიუთითა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე და მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებლის მიერ წარდგენილ ყოველ განცხადებაზე უნდა იმსჯელოს დამოუკიდებლად და ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი შესწავლისა და მტკიცებულებების შეფასების შემდგომ უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვე-

ტილება.

პალატამ აღნიშნა, რომ მ. რ-ნის ბინადრობის ნებართვის საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება იმ ინფორმაციის გაცნობასა და შესწავლას, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 9 აპრილის SSG 2 22 00056893 წერილით გათვალისწინებული დასკვნის გაკეთების მიზეზი გახდა. სწორედ ამ მიზნით, სააპელაციო სასამართლომ, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია და დეტალურად გაეცნო მას.

პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელე რამდენიმე წელია საქართველოში ცხოვრობს, ჰქონდა არაერთი ბინადრობის ნებართვა, არასოდეს ყოფილა ნასამართლელი და არც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის გამო გამოძიების დანყების შესახებ არსებობს რაიმე სახის მტკიცებულება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, შესაბამისად, სადავოდ ქცეული აქტით დაუსაბუთებლად იზღუდება მოსარჩელის კანონიერი უფლება და ინტერესი. კონკრეტულ შემთხვევაში, მ. რ-ნის უფლებების შეზღუდვა არ გამომდინარეობს ლეგიტიმური მიზნის – სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მისაღწევად, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლიდან.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტოს 2022 წლის 11 აპრილის №1000749308 გადაწყვეტილება მიღებულია კანონიერების პრინციპის განხორციელების გზით, კონკრეტულად – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის შესაბამისად.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამავე კანონით გათვალისწინებულ

მუდმივი ცხოვრების ნებართვას გაცემის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მონმოზა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა, მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო, გაცემს რა ბინადრობის მონმოზას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ, ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

„საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო, კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სწორედ აღნიშნული ვალდებულების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სააგენტომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გადაუგზავნა წერილი, არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. მიღებული წერილით ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მოსარჩელისათვის „უცხოელთა და

მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია.

სააგენტომ, იხელმძღვანელა რა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ამავდროულად, გაითვალისწინა რა კერძო და საჯარო ინტერესი, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის ფაქტობრივი საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის წერილი.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალების და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, კონტრდაზვერვით საქმიანობას ახორციელებენ სპეციალური სამსახურები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. თავის მხრივ, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთდეროდ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ სააგენტო დაეყრდნო ამ კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. ასევე საყურადღებოა, რომ განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადავოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 23 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოება-

ში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) მოსარჩელე მ. რ-ნი არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე; ბ) 2021 წლის 6 მაისს მ. რ-ნმა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მოითხოვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა; გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 6 მაისს №1000749308/1 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მ. რ-ნისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები; დ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2021 წლის 21 მაისის SSG 0 21 00064767 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია მ. რ-ნისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა; ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით მ. რ-ნს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე; ვ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვის-

სების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 24 მაისის №1000749308 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. რ-ნისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით; ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, რომლის 2022 წლის 9 აპრილის SSG 0 22 00056893 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია მ. რ-ნისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა; თ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 11 აპრილის №1000749308 გადაწყვეტილებით მ. რ-ნს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელე მ. რ-ნისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება და მოპასუხისთვის მოსარჩელის სახელზე მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებებს.

ბათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას (მუხლი 1.2).

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მონმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წევვტს იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მონმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის (საქართველოში ბინადრობის ნებართვის გამცემი ორგანო და ბინადრობის ნებართვის გაცემის ზოგადი პირობები) პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო.

ამავე კანონის მე-15 მუხლში ჩამოთვლილია ბინადრობის ნებართვის სახეები, მათ შორის, მოცემული მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველებს ითვალისწინებს მითითებული კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი უარის თქმის საფუძველად ადგენს ისეთი საქმიანობის განხორციელების დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

ამავე კანონის 18.2 მუხლის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური, თანმიმდევრული, უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებარ-

თვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, საიდანაც 2022 წლის 9 აპრილის წერილით ეცნობა მოსარჩელე მ. რ-ნისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის თაობაზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 11 აპრილის №1000749308 გადაწყვეტილებით მ. რ-ნის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის პირველი მუხლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო

უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვით საქმიანობას ახორციელებენ სპეციალური სამსახურები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 9 აპრილის წერილობითი პასუხი მოსარჩელე მ. რ-ნისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის თაობაზე წარმოადგენს სწორედ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად და რასაც სათანადოობის, საკმარისობის, პრიორიტეტულობისა და, საბოლოო ჯამში, გაზიარების თვალსაზრისით, მისი შინაარსის გათვალისწინებით, გააჩნია არსებითი ხასიათის მტკიცებულებითი ძალა. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოს მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისთვის მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებართვის გაცემა. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტი კანონიერია და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20¹ მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორ-

ციელა საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად და უპირატესობა მართებულად მიენიჭა საჯარო – სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზანს. პალატის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულება, ჩაატარა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება და საქმის მასალების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება, რაც გამორიცხავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სადავო აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი აქტის გამოცემის დავალების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა დაკმაყოფილდეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და არ დაკმაყოფილდეს მ. რ-ნის სარჩელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის პირველ ნინადადებაზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდა მ. რ-ნს უნდა დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება. ამასთან, მ. რ-ნის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 250 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე, 411-ე, 53.1 მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. რ-ნის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მ. რ-ნის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;
5. მ. რ-ნს დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge